

(2212) 9
2 - 936



დავით მარელიავალი

პირიქის ბველი ისტორია



თბილისი

1997

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პახსის სამეცნიერო ცენტრი

დედოფლის დარბაზის რაიონის კულტურის
განყოფილება

დავით გუსტავი გვირგვინი

ქოხის ბეჭი ისტორია
(ძვ.წ. I – ა.ძ.წ. XV სს.)

თბილისი 1997

თბილისის
იურიდიკული
უნივერსიტეტი

რედაქტორი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი პ. ფიცხელაური



ძველქართული, ბერძნულ-რომაული, სომხური, არაბული /
რუსული ისტორიული პირველწყაროების, ადგილობრივი ტოპონიმიული
კის, ისტორიული ძეგლების, ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური
მასალის და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული
შესწავლის საფუძველზე გაშექებულია საქართველოს ერთ-ერთი
უძველესი ქუთხის, ქიზიყის ანუ ძველი კამბეჩოვანის ეთნიკური და
პოლიტიკური ისტორია დაწყებული ძველი წელთაღრიცხვის
მიწურულიდან ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის XV ს-მდე.

ქიზიყი (ძველი კამბეჩოვანი), დღვევანდველი კახეთის სამხრეთ-
აღმოსავლეთი მხარე უძველესი დროიდანვე ფრიად მნიშვნელო-
ვანი რეგიონი იყო, რამდენადაც სამი ამიერკავკასიური სახელმწი-
ფოს – ივერიის (ქართლის), ალვანეთის და სომხეთის – ურთიერთ-
სასახლეორ ტერიტორიას წარმოადგენდა, რომელსაც სამეურნეო
თვალსაზრისითაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც
ინტენსიური მიწათმოქმედების და განსაკუთრებით მდიდარი და
კულტურული საზამთრო საძოვრების ზონას. მასზე გადიოდა ამავე დროს
ზემოხსენებულ სახელმწიფოთა დამაკავშირებელი მაგისტრალური
სავაჭრო და სამხედრო კომუნუკაციები. ზემოთქმულის საფუძველ-
ზე, ბუნებრივია, თუ ძველი კამბეჩოვანის მიწაზე იხლართებოდა
ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სტრატეგიული, ეკონომიკური და
კულტურული ინტერესები. სწორედ ამ უკანასკნელთა ფონზეა განხ-
ილული ამ კუთხის პოლიტიკური და ეთნიკური ისტორია, დადგუ-
ნილია მისი უძველესი ცენტრები, მათი მონაცელება მხარის პოლი-
ტიკური, სამეურნეო და კულტურული ეკონომიკის შედეგად. დასას-
რულ, ზემოხსენებული პროცესების საფუძველზე ახსნილია თუ
რამ განაპირობა ის, რომ ამ კუთხის ძველი სახელწოდება – “კამ-
ბეჩოვანი”, ბოლოს და ბოლოს, “ქიზიყად” შეიცვალა.

ნაშრომს თანდართული აქვს სათანადო რუკები და ქიზიყის
ზოგიერთ ისტორიულ ძეგლთა ფოტოსურათები.

ქიზიყი – საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ეთნოგრაფიული კუთხე კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მოყდავს დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაწმუნდების მიხედვით იგი ორ – სიღნაღისა და დედოფლისწყაროს (ყოფილი წითელი წყაროს) – რაიონადაა დაყოფილი.

1961 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული აღწერის მიხედვით ქიზიყში ერთი ქალაქი – სიღნაღი და ორმოცხე მეტი დაბა და სოფელი ითვლებოდა. ეს უკანასკნელნი შემდეგია: წნორი, ასანური, კვენაკელი, ანაგა, ქვემო და ზემო ბოდები, ბოდისხევი, ვაქირი, ქვემო და ზემო მაღარო, ნუკრიანი, ჭოტორი, საქობო, მაშნაარი, ტიბაანი, პრასიანი, ულიანოვკა, ქვემო და ზემო მაჩხაანი, ფანიანი, ყარაღაჯი, ჯუბაანი, ძეელი ანაგა, ქედელი, დედოფლისწყარო (ყოფ. წითელი წყარო), მირზაანი, პატარა შირაქი, არბოშიკი, ცლუჩაანი, ოზაანი, ქვემო და ზემო ქედი, ელდარი, წითელი საბათლო, ლენინოვკა, ჯაფარიძე, გამარჯვება, არხილოსკალო, სამთა-წყარო.

ისტორიულ მატიანებსა თუ დოკუმენტურ წყაროებში ქიზიყი სხვადასხვაგვარი დაწერილობით გვხვდება: ქიზიყი, ქისიყი, ქისიჭი, ჭიზიყი, ხიზიყი, ყიზიყი. ყველაზე ხშირად გვხვდება: ქიზიყი და ქისიყი, მაგრამ უძველეს, XV ს-ის ხელნაწერში, სადაც პირველად ვხვდებით ამ გეოგრაფიულ სახელწოდებას, იგი ქისიჭი-ს ფორმითაა წარმოდგენილი.

XVIII ს-ის ბოლოს, 1794-1799 წლებში იოანე ბაგრატიონმა, ცნობილმა მწერალმა და მეცნიერმა, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილმა, მამამისის და პაპამისის, ერეკლე II-ის დავალებით შეადგინა “ქართლ-კახეთის სოფლების აღწერა”, წერილობითი და ზეპირი წყაროების გამოყენებით. როგორც ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომის გამომცემლები, თ. ენუქიძე და გ. ბედოშვილი აღნიშნავენ, მას “მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს “ქართლ-კახეთის აღწერა”, რამდენადაც აქ მთელი საქართველოს

გეოგრაფიული ნომენკლატურის სისტემატიზაციის ძალის
საყურადღებო ცდა არის წარმოდგენილი. გარდა ქვეყნის
კახეთის აღწერისა, შრომაში მოცემულია პირიქითი და კულტურული
ქეთი ხევსურეთის, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიანე-
თის, დაღესტნის, ჩანჩეთ-ინგუშეთის რეგიონები, ხოლო ნაწი-
ლობრივ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის, ასევე ახალ-
ციხის სანჯახად წოდებული ადგილები".

ბუნებრივია, რომ იოანე ბატონიშვილს მისი დროის ქიზი-
ყის სოფლებიცა აქვს აღწერილი. მართლაც, საამისოდ მას
ცალკე პარაგრაფი აქვს გამოყოფილი: "...ქისიყი და მისი
ხეობა. სამეფო, საეკკლესიო და სააზნაურო ადგილი და
სოფლები" ... საინტერესოა მის მიერ მოცემული ნუსხის შე-
დარება თანამედროვე ვითარებასთან.

იოანე ბატონიშვილი ქიზიყში შემდეგ სოფლებს ჩამო-
თვლის: ახანაური (ასეა, დ.მ.), ჯუგაანი, ტიბაანი, პრახაანი
(ასეა, დ.მ.), ბედიყურა, ხირსა, ძველი ანაგა, ქუნბათი, ყოდან-
თო, ნიკორწმიდა ანუ ნიკორციხე, ხორნაბუჯი ანუ ჭოეთი –
ძველი ნაქალაქევი, ყარაღაჯი – ზამთრის სამეფო სასახლე, ც-
ლუქაანი, არბოშიკი, მირზაანი ანუ მირტაზანი, ჩობანდა-
დი, ყაჯირდაღი, ჯაღათა, ბეზირგანბულადი, ყუშები, ხირ-
სისხევი, ნაზარლები, ჩანკაანთ საყდარი, ბურდომთა, სიჩახინი,
ბუზაურის ხევი, კოჟეას მარანი, ზილიჩა, ახტაში, მაჩხაანი
(ორი სოფელი, როგორც ჩანს: ქვემო და ზემო, დ.მ.), ბოდ-
ბისხევი, ქედელი, ბოდბე, ფანიანი, მაღარო, ნუკრიანი, ჭოტორი,
ქალაქი სიღნაღი, ბაიდარაანი, ანაგა, როჭიკაანთ ყურე, გა-
რი, ურდო, მაშაანი (ასეა, დ.მ.), ჯიმაანთ ოლგ, საქობო
(ორი სოფელი).

როგორც ვხედავთ, ქალაქ სიღნაღთან ერთად, ჩემს მიერ
იოანე ბატონიშვილის ზემომოტანილ ნუსხაში კურსივით
გამოყოფილი სოფლები დღესაც არსებობს. მათი რაოდენობა
ოცამდე აღწევს. რაც შეეხება დღეს არსებული სოფლების
დანარჩენ ნაწილს, მათგან ზოგიერთი გვიან წარმოქმნილა

(ოზაანი, ქვემო და ზემო ქედი, არხილოსკალო...), ზოგ სახელი სულ უკანასკნელ ხანს, საბჭოთა კავშირის არქეოლოგიური ბის დროს შეერქვა (ულიანოვკა, ლენინოვკა, ჯაფარიძე, გამარჯვება). იოანე ბატონიშვილთან ჩამოთვლილ სოფელთაგან ნაწილი, როგორც ჩანს, მომთაბარე თურქმანთა დასახლებები იყო (იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს კიდევ, რომ ქიზიუში თურქმანთა “ელები მდგარა”), რომლებიც დღეს აღარ არსებობენ, ნაწილი კი ნასოფლარებადაა ქცეული და მათი სახელები მხოლოდ ქიზიურ ტოპონიმიკას თუ შემორჩა (ნიკორციხე, ხორნაბუჯი, ყაჯირდალი, ხირსისხევი, ზილიჩა, ქუბათი, ყოღანთო...).

ქიზიუის აღწერასა და იქაური სოფლების სის XVIII ს-ის პირველი ნახევრის დიდი ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ ნაშრომშიაც – “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” – ვხვდებით. ჯერ განვიხილოთ ქიზიური სოფლების ის ნუსხა, რომელიც მეცნიერ ბატონიშვილსა აქვს და რომელიც, სხვათაშორის, მთლიანად გამოუყენებია ზემოსენებულ “ქართლ-ქახეთის სოფლების აღწერაში” იოანე ბატონიშვილს.

ვახუშტის მიხედვით ქიზიუის სოფლებია: ასანური, ჯუგაანი, ტიბაანი, პრასიანი, ბედიყარი, ხირსა, ქუნბათი, ყოღანთო, ხორნაბუჯი ანუ ჭოეთი, ყარაღაჯი, ცულუკანი (ასეა, დ.მ.) არბოშიკი, მირტაზანი, მაჩნანი (ასეა, დ.მ.), ბოდბისჭევი, ბოდბე, ფანიანი, მაღარო, ჭოტორი, მელაანი, ჩალისუბანი, ძემვისუბანი, იორზე თათრის ობა (ე.ი. თურქმანთა დასახლებანი).

ადვილი დასანახია, რომ ვახუშტის მიერ ჩამოთვლილი ქიზიუის სოფლების უდიდესი რაოდენობა იოანე ბატონიშვილთან აგრეთვე ამ კუთხის სოფლებად აღირიცხება. გამონაკლისია მხოლოდ სამი სოფელი: მელაანი, ჩალისუბანი ანუ იგივე ჩალაუბანი და ძემვისუბანი. იოანე ბაგრატიონი, ცხადია, სამივე სოფელს იცნობს, მაგრამ იგი მათ ათავსებს არა ქიზიუში, არამედ “საენდონიკო ადგილთა სოფელთა” შორის.

კ.ი. თავად ანდრონიკაშვილთა კუთვნილ მიწებზე გარეკანეთში გარდა ამისა, იოანე ბატონიშვილთან ქიზიყში აღნიშნული ხუთი სოფელი: ბაიდარაანი, ანაგა, ვაქირი, მაშრავანი და საქობო ვახუშტისთვისაც ცნობილია (უკანასკნელი საქვაბე-ს ფორმით ტექსტში და საქობის ფორმით ტექსტისთვის თანდართულ სოფლების სიაში), მაგრამ იგი მათ ქიზიყში კი არა, არამედ შიგნით კახეთში ათავსებს. დღეს ეს სოფლები კვლავ ქიზიყში იგულისხმება (ბაიდარაანი – ასეთი სოფელი დღეს აღარ არის).

საინტერესოა, რომ ერთი, 1775 წლის საბუთით ასეთი ვითარება ჩანს: ანაგური გლეხი ივანე რამაზაშვილი ერეკლე II-ს სწერს: “ზაალ ენდრონიკაშვილი ცალკე მედავება – ჩემი ყმა ხარო, ბილან ცალკე მედავება – ჩემი ყმა ხარო და ავთანდილ ნაბიჭვარი ცალკე მეჯიდება – ჩემი ყმა ხარო.

ამდონი თქვენი წყალობა იყოს, რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ, თქვენს ქიზიყს მობრძანებამდინ სამნივ დამებენან. ნურცა ერთი ნუ ამყრიან ანაგიდან.”

ამ საბუთიდან აშკარად ჩანს, რომ სოფ. ანაგა ქიზიყშია და თუკი ეს ასეა, მაშინ დანარჩენი სამი სოფელიც ქიზიყში უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ანაგა დღეს ქიზიყის განაპირა ჩრდილო-დასავლეთი სოფელია, ხოლო ვაქირი, მაშნა-არი|| მაშრაანი და საქობო|| საქვაბე ანაგის სამხრეთ-აღმო-სავლეთით არიან განლაგებული.

დღევანდელი ვითარების, იოანე ბატონიშვილისეული აღწერის და ვახუშტისეული სოფელთა ნუსხისა და მის მიერვე გამოხაზული კახეთის რუკის მონაცემების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ზემოხელნებულ სოფელთა თუ დღეს უკვე ნასოფლართა ადგილმდებარეობის ზუსტი განსაზღვრა.

საქმე ის არის, რომ იოანე ბატონიშვილის მიხედვით ჩრდილო-დასავლეთიდან “ამავე ქიზიყს მოებმის სავაჩნაძო და საენდრონიკო სოფლები და ადგილი” შიგნით კახეთს. იგი შიგნით კახეთის ამ სოფლების ჩამოთვლას იწყებს

სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ქიზიუის საზღვრიდან შამდგენ
თანმიმდევრობით: კარდენახი, ბაკურციხე, კოლაქი და ასეთი შე
ამგვარად, “ქართლ-კახეთის სოფლების აღწერაში” ქუთაისში
მოსაზღვრე შიგნით კახეთის პირველი სოფელია კარდენახი
(ვახუშტის ეკული კარდანები|| კარდენახი; დღვენდელი – კარდა-
ნახი).

ვახუშტი ბატონიშვილის რუკის მიხედვით კარდანების
სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფელთა განლაგების თანმიმდევ-
რობა ასეთია: ბაიდარანი, ანაგა, ვაქირი, მაშრაანი, საქობე,
ასანური, ჯუგაანი, ტიბაანი, პრასიანი, ბედიყარი, ხირსა,
ქუნბათი, ყოდანთო.

იოანე ბატონიშვილის აღწერის მიხედვით: ბაიდარაანი,
ანაგა, როჭიკაანთ უერე, ვაქირი, ურდო, მაშრაანი, ჯიმაანთ
ოლე, საქობო, ასანაური, ჯუგაანი, ტიბაანი, პრასიანი, ბედი-
ურა, ხირსა, ძველი ანაგა, ქუნბათი, ყოდანთო.

ამგვარად, თუმცა კი ბაიდარაანი|| ბაიდარაანი, როჭიკაანთ
უერე, ურდო, ჯიმაანთ ოლე, ბედიყარი|| ბედიყურა, ხირსა,
ქუნბათი და ყოდანთო დღეს როგორც ცოცხალი სოფლები
აღარ არსებობენ და ნასოფლარ-ნაეკლესიარებადღა შემოგვრ-
ჩნენ, მაგრამ მათი მიახლოებითი ადგილმდებარეობა სავსე-
ბით გარკვეულია, მით უმეტეს, რომ ზოგიერთის სახელ-
წოდება ტოპონიმის სახით დღემდეა შემორჩენილი (ხირსა,
ქუმბათი, ყოდანთო...) და ეჭვი არ არის სპეციალური საველე-
ძიება დანარჩენ ნასოფლარებს თუ ტოპონიმებსაც დააფიქ-
სირებს.

იოანე ბატონიშვილის აღწერაში, როგორც ვიცით, აღ-
ნესხელია მთელი რიგი სოფლებისა, რომელიც არც ვახუშ-
ტის სოფელთა სიაშია მოხვედრილი, არც მის რუკაზეა და-
ტანილი და დღესაც ცოცხალ სოფლებს არ წარმოადგენენ.

ასეთებია: ჩობანდაღი, ყაჯირდაღი, ჯაღათა, ბეზირგან-
ბულადი, ხირსისხევი, ნაზარლები, ჩანკაანი, საყდარი,
ბურდო-მთა, სიჩახინი, ბუზაურის ჭევი, კოჟუას მარანი, ზილი-

ჩა, ახტაში...



აქ აღსანიშნავია ერთი რამ: აშკარად ჩანს, რომ ~~უფლებული~~
ნიმთა გარკვეული ნაწილი თურქეთ-აზერბაიჯანულია (ჩო-
ბანდაღი, ყაჯირდაღი, ბეზირგანბელაღი, ახტაში...), ამიტომ
სავარაუდო საქმე გვქონდეს მომთაბარე თურქმანთა
საზამთრო სადგომებთან. ჩვენ ხომ ვიცით ვახუშტის ზემო-
მოტანილი მითითებიდან, რომ ქიზიყში მდ. “იორზე თათრის
ობა” ანუ თურქმან მესაქონლეთა სადგომები არსებობს. ამაზე
ქვემოთაც დავრწმუნდებით, როდესაც ქიზიყის ვახუშტისეულ
აღწერას გავეცნობით. თურქმან მესაქონლეთა არსებობაზე
ქიზიყში ითანე ბაგრატიონიც მიგვითოთებს, როდესაც აღნი-
შნავს, რომ ამ მხარეში თურქმანი “ელები მდგარაო”. (“ელი”
სპარსული სიტყვაა და მესაქონლე ხალხს ნიშნავს, მომთა-
ბარეს; “ობა” ელის შემადგენელი ნაწილია, ერთი გვარუ-
ლობა). ეს ასეა, მაგრამ არ არის გამორიცხული თვით ეს
“თათრის ელები” საზამთრო საძოვრებზე ძველი ქართული
მოსახლეობის ნასოფლარებზე სახლობდნენ. ამის საბუთია
ის, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვახუშტი ქიზიყის ტერიტო-
რიაზე ბევრი ნაოხარ-ნასოფლარის არსებობას მიუთითებს.
ამისავე საბუთია მდ. ივრის ქვემო წელის მარჯვენა სანა-
პიროზე კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965 წ.
დაზვერვების დროს მიგნებული ნასოფლარი ყაჯირი (ითანე
ბაგრატიონის ყაჯირდაღი), რომლის ტერიტორიაზე XI-XII
საუკუნეების მასალა იქნა აკრეფილი, ხოლო მის მახლობ-
ლად ამართულ სალი კლდეების მასივში გამოკვეთილი
ქართული ეკლესიის ნანგრევები აღმოჩნდა, რომლის კედლები
თავის დროზე ფრესკებით ყოფილა მოხატული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ითანე ბაგრატიონის აღწერაში
მოხსენიებული ამ სოფლების, უკეთ მათი დიდი ნაწილის
ლოკალიზება სავსებით შესაძლებელია. საქმე ის არის,
ზოგიერთი მათგანი ტოპონიმის სახით დღემდეა შემორჩენი-
ლი და კერძოდ დაფიქსირებულია რუსეთის გენერალური

შტაბის ე.წ. ხუთვერსიან რუკაზე. ესენია ჩობანდაღი, ჭავჭარი, ჯადათა ივრის ქვემო წელსა და მტკვარს შორის ტერიტორიაზე; ბეზირგანბულაღი და ზილიჩა მდ. ალაზნის-ზელ ქვემო წელის მარჯვენა სანაპიროზე და ნაზარლები და ბურდა-მთა ივრისა და ალაზნის ქვემო დინებათა შორის მთიან ზეგანზე. იოანე ბაგრატიონისეულ “ახტაშ” შეიძლება შეესატყვისებოდეს ხუთვერსიანი რუკის “ახტახტა თაფა” ჩობანდაღს და ჯადათას შორის.

ეხლა უკვე საკმაო ზედმიწევნილობით შეგვიძლია მოვხაზოთ ის ტერიტორია, რომელიც გვიან შუასაუკუნეებში ქიზიყად იწოდებოდა. თუკი გავითვალისწინებთ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების აღწერათა მონაცემებს და აგრეთვე მხოლოდ იოანესთან შემონახული ქიზიყის ზემოხსენებული სოფლების ლოკალიზაციას, თავისუფლად შეგვიძლია იმის კონსტატაცია, რომ გვიანი შუასაუკუნეების ქიზიყი მოიცავდა კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ უკიდურეს ნაწილს, რომელიც მოქცეული იყო ალაზნის ქვემო წელსა და მტკვარს შორის და რომელსაც შუაზე ჰქვეთს მდ. იორი. ეს არის დაბალი მთაგრეხილებით და ფართო ველებით დასერილი, უწყლო საზამთრო საძოვრების ტერიტორია. დღეს და, როგორც ჩანს, შუა საუკუნეებშიც ინტენსიურად დასახლებული იყო მისი ჩრდილო-დასავლეთი ტყიანი ნაწილი და სწორედ აქ არის ყველაზე ძნელი შუასაუკუნეების ქიზიყის სასაზღვრო ხაზის დადგენა.

როგორც ვიცით აქ ვახუშტისა და იოანე ბატონიშვილების ჩვენებებს შორის განსხვავებაა და თუ დღევანდელი გარეკახუთის სოფლები მელაპი და ჩალაუბანი (და ძევისუბანი, რომელიც დღეს აღარ არსებობს, თუმცა შესაძლებელია იგი ხუთვერსიანი რუკის “ზედუბანს” ემთხვეოდეს, რომელიც მელაპანთან მდებარეობდა) ვახუშტით ქიზიყშია, იგივე სოფლები იოანე ბატონიშვილს ქიზიყში არ შეაქვს. მეორე მხრივ, ქიზიყსა და შიგნით კახეთს შორის საზღვარს ვახუშტი სოფ-

ლებს საქობოსა და ასანურს შორის დებს, და სოფლებს /
საქობოს, მაშრაანს, ვაქირს, ანაგას, ბაიდარანს და კარდაჩებს/
შიგნით კახეთს მიაკუთვნებს, მაშინ როდესაც იოანესთვებს
შიგნით კახეთის ქიზიყის მოსაზღვრე პირველი სოფელი
კარდენახია და ბაიდარაანი, ანაგა, ვაქირი, მაშრაანი და
საქობო კი ქიზიყის მიეკუთვნებიან ისევე, როგორც ეს დღესაა.

ძნელი სათქმელია ასეთი განსხვავებული სურათი რა
მიზეზით შეიძლება აიხსნას: მოხდა რაიმე ცვლილება XVIII
ს-ის პირველ და მეორე ნახევარს შორის და მოხდა სოფელთა
“ადმინისტრაციული გადადგილება” ქიზიყის სამოურავოსა
და ვაჩნაძეებისა და ანდრონიკაშვილების სათავადო მამუ-
ლებს შორის თუ, უბრალოდ, ვახუშტი ბატონიშვილს მოხ-
დის შეცდომა. ეს უკანასკნელი თითქოს ნაკლებად სავარაუ-
დოა, იმდენად ნიშანდობლივია ამ უკანასკნელის მიერ ქიზი-
ყის საზღვრების და კერძოდ მისი ჩრდილო-დასავლეთი
საზღვრის კოორდინაცია.

მოვუსმინოთ თვით ვახუშტის: “არამედ საქვაბე-ასანურამ-
დე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა ცივის
მთიდამ ჩამოსულსა... და უძეს ქისიყის: აღმოსავლით ველი
შირაქი ალაზნამდე; სამჭრით უფადარი და წინა მინდორი
ხორანთა-იორამდე; ჩრდილოთ მთა ცერეთისა. ხოლო მზღვრის:
აღმოსავლით ალაზანი; დასავლით ლაკბის ჭევი და ხაზი
მისი იორამდე გასული; სამჭრით იორი ანუ მტკვარი; ჩრდი-
ლოთ მთა ცივისა, კარდანებსა და ქისიყის შორისი, და ხაზი
ასანურ-საქვაბეს შორის გასული ალაზნამდე.”

კონტექსტში რომ გავერკვეთ, ზოგიერთი განმარტებაა
საჭირო. ჯერ ერთი უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის, როგორც
ეს კარგად ჩანს მის მიერ გამოხაზული კახეთის რუკიდან,
ქვეყნის მხარეების დერძი რამდენადმე აღმოსავლეთისკენ
აქვს გადახრილი, ისე რომ, თუკი სინამდვილეში ჩვენთვის
საინტერესო რეგიონში მდინარეების მტკვრის, იორის და
ალაზნის დინებანი მიმართულია თითქმის ერთმანეთის პარა-

ლელურად ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ-
საკენ, ვახუშტიანი იხინი, შეიძლება ითქვას ჩრდილოეთიდან
სამხრეთისაკენ მიედინებიან. ამიტომ როდესაც ვახუშტი სამ-
რობს “აღმოსავლეთს”, ხინამდვილეში ეს ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთია. შესაბამისად, ვახუშტის “სამხრეთი” – სამხრეთ-აღ-
მოსავლეთია; “დასავლეთი” – ჩრდილო-დასავლეთი და ა.შ.
ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ შირაქის ველი ქიზიყის
ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია. უფადარი და წინა მინ-
დორი – ეს არის ალაზნის მარჯვენა სანაპირო ველი ყარაღა-
ჯის აღმოსავლეთით (უფადარი) და ვიწრო ველი ასევე ალაზ-
ნის მარჯვენა სანაპიროს გაყოლებით უფადარის ქვემოთ,
ვიდრე იორ-ალაზნის შესართავამდე. მართლაც, სხვა ადგი-
ლას იგივე ვახუშტი აღნიშნავს: “კვალად ყარაღაჯის სამჭრით,
ალაზნის კიდურთა ზედა, ასტყდების კმოდე და მივალს ვი-
დრე ხორანთამდე (იორ-ალაზნის შესართავამდე, დ.მ.) და
არს ალაზნისკენ მცირებულიანი და ბალახიანი და აღვხილი
ხადირთა დიდ-მცირეთი. და კმოდეს ზეით არის ველი ხორა-
ნთიდან ქისიყამდე, წოდებული – კმოდეს ქვეით, ალაზნი-
სკენ, წინამინდორი, ხოლო ზეით, ყარაღაჯითურთ, უფადარი”.

კმოდე ანუ კბოდე ე.ი. კლდოვანი ქედი, რომელიც “ყარა-
ღაჯს სამხრით”, სინამდვილეში კი ყარაღაჯის სამხრეთ-
აღმოსავლეთით “ასტყდების” და ალაზნის გაყოლებით იორ-
ალაზნის შესართავამდე გრძელდება, ეს არის შირაქის ვე-
ლის ჩრდილოეთიდან შემომსაზღვრელი ალაზნის ველისპი-
რა ქედი ზილიჩას ქედიანად, რომელიც ასევე გაუყვება
ალაზნის ქვემო დინებას მარჯვნიდან ჩრდილოეთიდან სამხრე-
თისაკენ. შესაბამისად “წინა მინდორი” ეს არის ალაზნის
ველის ვიწრო ზოლი აღნიშნულ ქედებსა და ალაზნებს შორის,
ხოლო “უფადარი” ალაზნის მარჯვენა სანაპიროს ფართო
ველი ყარაღაჯის ჩრდილოეთით.

რაც შეეხება “პერეთის მთას” ეს იგივე “ცივის მთაა”,
რომელიც, მართლაც, ქიზიყის ჩრდილო-დასავლეთ ცენტრა-

ლურ ნაწილში ეშვება და რომელიც ინტენსიურად ათვისებული ქიზიური სოფლების მიერ. ასე რომ სახელმწიფო სწორია ვახუშტი, როდესაც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს არის “ადგილი ქიზიურია, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთიდამ ჩამოსულსა”.

მდ. ლაპბე ანუ ვახუშტისეული ლაპბის-ხევი. რომელიც მის მიხედვით ქიზიური დასავლეთი (სინამდვილეში – ჩრდილო-დასავლეთი) საზღვარია, ცივის მთას გამოსდის მელან-ჩალაუბნის დასავლეთით და მდ. იორისკენ მიედინება დაახ-ლოებით სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით. გარეჯის უდაბ-ნოების ტერიტორია, როგორც ჩანს, არ ითვლებოდა ქიზიური ტერიტორიად.

* ამგვარად, საბოლოო ჯამში, ვახუშტის მიხედვით, ქიზიური ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მტკვარსა და იორს შორის გადიოდა გარეჯის უდაბნოების აღმოსავლეთით, შემდეგ მიჰყვებოდა იორს ჩრდილო-დასავლეთისაკენ მდ. ლაპბეს შესართავამდე, აჟყვებოდა აღმა ლაპბეს დინების ხაზს ცივის მთამდე, რაღაც მონაკვეთზე ამ მთას ჩამოჰყვებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და საქობო-ასანურს შორისი (იოანე ბატონიშვილით: კარდენახ-ანაგას შორისი) ხაზით გადასჭრიდა ალაზნის მარჯვენა მხარის ველს თვით მდ. ალაზნამდე დანარჩენი საზღვრები გარკვეულია: ჩრდილო-აღმოსავლე-თიდან და აღმოსავლეთიდან – ალაზნი; სამხრეთით – მტკვარი, ალაზნის შესართავიდან დაახლოებით მდ. აღსტაფის (ძვ. ალისტევის) შესართავამდე. *

შემოსაზღვრული ტერიტორია მის უდიდეს ნაწილში არის შესანიშნავი საზამთრო საძოვრების ზონა ფართო ველებით, მლაშე ტბებით. აი როგორ ახასიათებს ამ ტერიტორიას ვახუშტი ბატონიშვილი: “ხოლო იორს არარაი ვითარი მდინარე ერთვის ანუ ჭევი საგარეჯომდე (თვით მდ. ლაპბეც ზაფხულობით შრება და იორამდე ვერ აღწევს. ამიტომაც ამბობს ვახუშტი, რომ ქიზიური საზღვრავს “დასავლით ლაპბის-ჭევი

და ხაზი მიხი იორამდე გასული”, დ.მ.), და არს მუნამდევ ალაზნიდამ ველი. და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი ბალახიანი, მცირეთოვლიანი, ნადირ-ფრინველიანი, პრეზენტორი მშვენი, ხოლო ზაფხულის ცხელი, ხაშმიანი, გაუძლისი”... ტერიტორია “საგარეჯოს ქვეით, უტყვო მცირეთაგან კიდე, ჩალიან-ბალახიანი, ლერწმოვანი, უმდინარო, თუნიერ იორის მდინარისა, და მცირე წყარონი. ხოლო პავითა არიან მშვენი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, მცირეთოვლიანი, უყინულო, უყივნო, ვინათგან ვეროდეს განპყინავს მდინარეთა, და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო, არამედ ალაზნისა და იორის კიდენი და მისი ქვემოთნი ფრიად ხაშმიანი, ცხელნი და გაუძლისნი”... “არამედ იორს და მტკვარს შეა ასტყდების მცირე მთა ხორანთიდამვე (ე.ი. იორ-ალაზნის შესართავიდან, დ.მ.), რომელსა ეწოდების გძელტბა და გარეჯა... მდებარებს მთა ესე, ვითარცა მდინარე იორისა (ე.ი. მდ. იორის მარჯვენა სანაპიროს მიჟვება შესართავიდან აღმა მის პარალელურად, დ.მ.), და არს უტყო, თუნიერ ძეჭუთა, და თუთუბოთა (უწყლო ადგილებში გავრცელებული ჯუჯა ხეები, დ.მ.), და ეგეთთა სხვათა მრავალთა. არა სდის მდინარე და იშვით წყარო-ტბანი, არამედ თუ სადმე არს, მლაშენი და მწარენი. გარნა არს ბალახიანი ზამთარც, და გამოიზრდებიან სიმრავლე არვეთა (“ჯოგი თხათა და ცხოვართა”, საბა), მროწლეთა (ნახირი, დ.მ.), ჯოგთა, რემათა იმიერ და ამიერ. გარნა არს ზაფხულ ცხელი და გაუძლები”.

მგონია გახუშტისეულ ამ შესანიშნავ დახასიათებას ქიზიყის ბუნებრივ-კლიმატური პირობებისას არაფრის დამატება აღარ სჭირდება: ქიზიყი იყო შესანიშნავი საზამთრო სამოვრების ზონა, სადაც ზამთრობით “გამოიზრდებოდა” აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთის დიდალი საქონელი.

ზემოაღნიშნული ბუნებრივი პირობების გამო ქიზიყი სანატრელი მხარე იყო მომთაბარე მესაქონლე ელებისათვის,

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პოლიტიკური ავტობისაგან ქიზიყის დიდი ნაწილი დაიცალა მკვიდრი მოსახლეობის განსაკუთრებით ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ “შემდგრმად დასხენეს ელნი ამათ ადგილთა აწინდევლთა მეპატრონეთა, ვითარცა ბატონმან თეიმურაზ და ხანგბმან, და სთესდენ ესენი ყოველსავა; და ესენიცა წარიყვანა შანადირ და დასხენა ხორასანს”; ან კიდევ: “შემდგომად დასხენეს ელნი, და უმეტეს ხანთა – ელი ფადარი, დიდი, მრავალი. განა იგიცა აჟარა შანადირ იორის პირის ელითურთ”. ამგვარად ქიზიყის მკვიდრი, შეთხელებული მოსახლეობის კომპენსაციას მომთაბარე ელების ხარჯზე თვით ქართველი მეფეებიც კი ცდილობდნენ, რომლებიც ამავე დროს ამ მხარეს სამეფო ნადირობისთვისაც იყენებდნენ. ქიზიყის მრავალფეროვანი ფაუნა საამისოდ მეტად ხელსაყრელი იყო, რადგან ალაზნისპირა ველები, კერძოდ, წინამინდორი და უფადარი, როგორც ვახუშტი ამბობს “არს ესე სანადირო კეთილი”. ასევე იყო ივრის ზეგანიც: “იორის პირს ყოფილა სასახლე, დამპალას, აწინდელთა კახთა მეპატრონეთა, საზამთროთ ნადირობისათვეს, არჩილ მეფისამდე, კეთილს ადგილს, შვენიერს წყაროიანსა”.

უფრო ძველად კი, როგორც ვახუშტი აღნიშნავს, ქიზიყის მთელი ტერიტორია, და არა მხოლოდ მისი ჩრდილოდასაც დასაცლეთი ნაწილი, ფრიად ინტენსიურად ყოფილა დასახლებული: “გარნა იყო ალაზნის შესართავადმდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოკრდა გამოსლვასა ბერქასსა და შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელი ჩანან დღესაც”. ეს დახასიათება მდ. ივრის ზეგანს შეეხება. ასევე იყო ალაზნის პირას: “გარნა ყოფილ არსცა ძველად შენობა დაბნებთა, არამედ შემდგომად ბერქას გამოსვლისა ოჭერ არს. კვალად ყოფილ არიან ალაზნის მოსაბრუნენსა შინა ძველად შენობა ქრისტიანეთა”...

ქიზიყის ძველი ისტორიის საფუძვლიანი შესწავლისათვის

სრულიად აუცილებელია ვახუშტის ამ ჩვენებათა შემოწმება და ქიზიყის ალაზნისპირა და ივრის ზეგანზე თუ მტკიცებელი პირებში ოდესაც არსებული მკვიდრი მოსახლეობის ზნარეფლარების მეცნიერული ფიქსაცია. ყაჯირის წასოფლარის მიგნება საამისოდ იმედის მომცემია.

* ქიზიყი დღეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ კახეთის ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ კუთხედ ითვლება. ცოტა სხვაგვარი ვითარებაა ძველი წყაროების ჩვენებათა მიხედვით. *

თემურაზ ბაგრატიონი, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ერთ-ერთი ვაჟიშვილი, ცნობილი მწერალი და მეცნიერი, უფროსი ძმის ცხოვრებისადმი მიძღვნილ თავის თხზულებაში (1831 წ.) პირდაპირ აღნიშნავს: “კიზიყი ანუ ქიზიყი არს ერთი ჩინებულთა პროვინციათაგანი კახეთისა”.

ასევე თემურაზის ძმა, ბაგრატ ბაგრატიონიც თავის ისტორიულ თხზულებაში “ახალი მოთხრობა” (1819 წ.) ერთგან აღნიშნავს, რომ 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ საქართველოს მთავარმართებელმა მარკიზმა პაულუჩიმ “განაწესა, რათა პოლკი ერთი იდგეს თელავსა ციხესა შინა ლიანარალითა და მეორე ქიზიყსა, და ამათ მართონ საქმენი კახეთისანი”. კონტექსტით ცხადია, რომ თელავიცა და ქიზიყიც ორივე კახეთშია.

ასევეა XVIII ს-ის შეახანებში ერეკლე II-ის მიერ შედგენილ ე.წ. “კახეთის ბაჟების გარიგებაში”. მეფე ერეკლე წერს: “ჩვენ მეფემან კახეთისამან ირაკლიმ... ეს განახენი გავარიგეთ, ოდეს ვიგულისხმეთ, რაც ძველთაგან დავთრები ან წიგნები იყო კახეთისა ყველა გავსინჯეთ...” შემდეგ კი ამას მოსდევს მუხლობრივი ჩამოთვლა ქიზიყის მოსახლეობის მეფისა და ქიზიყის მოურავის წინაშე სხვადასხვა მოვალეობებისა: “ქიზიყის გამოსავლისა საბატონოსი თუ სამოურავოსი”... “ბატონი თუ ქიზიყში არ ბრძანდებოდეს და ან მოურავი არ იყოს”... “როცა ნაცვალი ქიზიყში იყოს” და სხვ. მოსახლეობას ესა

და ეს ევალებაო. აქედანაც სავსებით ცხადია, რომ ამ საბუთო
ქიზიყის მხარე კახეთში იგულისხმება.

საქართველო

სამართლი

დაბოლოს, ამას გვიმოწმებს იგივე ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც მისი თანამედროვე ანუ XVIII ს-ის პირველი მეოთხედის კახეთის საზღვრებზე საუბრობს: “და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამჯრით დიდისა ალაზნისა და პატარას ალაზნის (ანუ მდ. იორი, დ.მ.) შესართავი და მუნიდამ ხაზი კავკასამდენ გავლილი, და კვალად ხაზი მტკვრამდე მისული; აღმოსავლით მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორის; დასავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვწერეთ, და, მწარე-წყალს ქვეით, მტკვარი, და ჩრდილოთ მთა კავკასივე”. რამდენადაც ვახუშტისეული კახეთის აღმოსავლეთი საზღვარი იორ-ალაზნის შესართავზე გამავალ ხაზს გასდევს, ცხადია, ქიზიყს ვახუშტი კახეთში გულისხმობს.

კიდევ მეტი, ერთი გვიანდელი ხელნაწერის მიხედვით, VI ს-ის ცნობილი მოღვაწე სტეფანე ხირსელი, რომელსაც ჩვენ ქვემოთ კიდევ არა ერთხელ დავუბრუნდებით, მოღვაწე-ობდა ზენონ იყალთოელთან ერთად კახეთს და მან “ქუმრ კახეთს, ადაშენა მონასტერი თვესი ხირსის სოფლის მოახლო”. ხირსა, როგორც უკვე ვიცით სწორედ ქიზიყის სოფელია და ამდენად გამოდის, რომ ქიზიყი იგივე “ქუმრ კახეთია”.

მაგრამ იმავე ხანებისათვის ჩვენ გვაქვს ისტორიული მასალა, რომელიც სხვაგვარი დასკვნის საშუალებასაც იძლევა.

ასე მაგალითად იგივე ბაგრატ ბაგრატიონის “ახალ მოთხრობაში” მოხსენიებული არიან “მღვდელნი ქიზიყისა და კახეთისა”. 1801 წლით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს ნუსხას იმ სოფლებისა და მამულებისას, რომელსაც ფლობდა ერეკლე II-ის მეუღლე დარეჯან დედოფალი, ეს უკანასკნელი წერს: “კახეთში და ქიზიყში რაც სამდებროები არის, ისიც უველა მე მეჭირა”. 1795 წლის თვის, ადამაკმად ხანთან მებრძოლთა შორის იხსენიებიან

“რჩეულნი მხედარნი კახნი და ქიზიყელნი”. ხოლო 1768 წ.
ერეპლე მეორე თავის სიგელში პაპა ბებურიშვილის დამცი
სწერს: ლეკები რომ “უარლის ციხეს შემოადგნენ, ციხეს
რომ საქმე გაუჭირეს და აღებაზედ მიწურეს, იმ დროს შენ
და სოლომონ მდივნის შვილი, კახეთიდამ და ქართლიდამ
სამი-ოთხი საპატიოს კაცის შვილები და აზნაურიშვილები,
ყიზიყიდამ ას სამი კაცი, და კახეთიდამ და ქართლიდამ
ოთხმოცდახვიდმეტი გლეხი კაცით, ამ ორასის კაცით და
მრავლის ტყვია-წამლით მიგაშველეთ”...

ყველა ზემომოტანილ ამონაწერში, როგორც ეს ცხადად
ჩანს, ქიზიყი ისეთივე რანგის, მოდერნიზებული ტერმინო-
ლოგია რომ ვიხმაროთ, საქართველოს ადმინისტრაციულ-
ტერიტორიული ერთეული ჩანს, როგორც ქართლი და კახე-
თი და ამიტომ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთ შემთხვე-
ვებში ქიზიყი არ იგულისხმება კახეთში შემავალ ეთნოგრაფი-
ულ კუთხედ.

რატომ ხდება ეს? ამაზე პასუხის გაცემას ჩვენ ქვემოთ
შევაცდებით.

ახლა კი რამოდენიმე სიტყვა თვით ამ კუთხის სახელ-
წოდებაზე – “ქიზიყი”.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული პირველად ეს სახელ-
წოდება XV ს-ის ხელნაწერში გვხვდება. ეს არის ეწ. “ასურელ
მამათა”, ითანე ზედაზნელის მოწაფეთა ცხოვრების ვრცე-
ლი რედაქცია, რომელსაც წინ ასეთი განმარტება უძღვის:
“სახელები წმიდათა მოწაფეთა იოვანე ზედაძნელისათა: დავით
გარეჯელი, სტეფანე ქისიგელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ
იყალთოელი, ანტონი მარტომყოფელი, ისე წილკნელი, თათა
სტეფანწმიდელი, ილია დიაკონი, შიო მღვიმელი, ისიდორე
სამთავნელი, მიქაელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი, აბიბოს
ნეკრესელი”.

ამ ტექსტში, მართალია იხსენიება არა საკუთრივ გეოგრა-
ფიული ტერმინი “ქიზიყი”, არამედ VI ს-ის, ჩვენთვის უკვე

ცნობილი მოღვაწე სტეფანე ქიზიუელი (იგივე სტეფანე ხირსელი) და თუკი XV ს-ში არსებობდა ასეთი წარმომავლობითი ტერმინი “ქიზიუელი”, ცხადია, რომ უკვე უნდა არსებულიყო გეოგრაფიული ცნება “ქიზიუ”. 

მაგრამ რას გულისხმობს ამ კონტექსტში ეს ცნება?

თუკი ჩვენ დავუკვირდებით იოანე ზედაზნელის სხვა ჩამოთვლილ მოწაფეთა ზედწოდებას, დავრწმუნდებით რომ ეს წარმომავლობითი სახელდებანი გეოგრაფიული პუნქტებიდან ანუ ტოპონიმებიდან იწარმოება: გარეჯელი, ალავერდელი, იყალთოელი, მარტომყოფელი (=მარტყოფელი), წილკნელი, სტეფანწმიდელი, მღვიმელი, სამთავნელი, ულუმბელი, ბრეთელი, ნეკრესელი. ამიტომ სავარაუდოა, სტეფანეს ზეწოდება “ქისიველი” არა ხორონიმიდან (მხარის სახელწოდებიდან), არამედ ტოპონიმიდან იყოს ნაწარმოები.

ასე რომ, სავარაუდოა, “ქიზიუ” თავდაპირველად რომელიდაცა გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება უნდა ყოფილიყო.

ასეთ დასკვნამდე მივყავართ თავადი მიშეცეისა და დიაკი კლუხარევის კახეთში 1640-43 წლების ელჩობის ანგარიშს მოსკოვის მეფისადმი, სადაც ისინი ლექთაგან და სპარსთაგან გაჩანაგებული კახეთის უმნიშვნელოვანეს დასახლებულ პუნქტებად მარტყოფს და ქიზიუს ასახელებენ.

ამის დასადასტურებლად, მგონია, სხვა ისტორიული მასალაც არსებობს.

ასე მაგალითად, ზემოთ ერთხელ უკვე მოხსენებული ბაგრატ ბაგრატიონის “ახალ მოთხოვბაში” ასეთ პასაუებს ვხვდებით:

1800 წ. ერეკლე “მეფის ძემან ალექსანდრემ წარმოიყვანა ომარ ხან (ხუნდახის ბატონი, დ.მ.) და განვიდა ალაზანსა. ენება რათა შემოადგეს ტფილისა და აღილოს ტფილისი და წარსწყმიდოს მმა თვისი გიორგი, რომელიცა მას უამს სნეულობდა და მდებარე იყო წყლის მანკიერებით. მეფე გიორგიმ

მსმენელმან ამისმან მეფემან მიუწერა ძესა თვისსა ბაგრატიონი ზანიშინსა კახეთისასა, რათა შეკრიბოს კახთა მხედრომაში და შერთდეს უფროსსა მასა თვისსა ფელციხმესტრსა, ესე იგი თოვჩიბაშსა, რომელსაცა წარატანა თანა ტფილისით ორნი ბატალიონი რუსთა მხედრობისა და ორნი ზარბაზანიცა საქართველოს არტილერიისა წინაძღომითა დიანარალ ლაზაროვისა და ლიანარალ გულაკოვისთა. ამათ მისრულს ქიზიყს შეეყარა მეფის ძე ბაგრატცა მხედრობითა თვისითა ზემო კახითა, თუშ-ფშავ-ხევსურითა. წარემართნენ და მივიდნენ წინა მხარს, ძველს ანაგად წოდებულსა ადგილსა, რომელიც შორავს ქიზიყსა თრითა უკცე ფარსანგითა. ხოლო ომარ ხანცა გამოსრულმან დაიბანაკა ყარალაჯ წოდებულსა ადგილსა, რომელიცა შორავს ძველსა ანაგასა ერთითა უკცე ფარსანგითა. ენებათ უკცე ადგილსა მას ომი, გარნა არამნებელი ომარ ხან ადიყარა დამესა მას და წარემართა უკანა მხრისა გზით დასაპყრობელად საგარეჯოისა და გარემოთა სოფლება...”

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ლეკებისა და რუს-ქართველთა დაპირისპირება თავდაპირველად მოხდა “წინა მხარში” ანუ ქიზიყის ალაზნისპირა მხარეს, სადაც მდებარეობს სოფელი ძველი ანაგა, რომელიც, ერთის მხრივ, დაშორებულია ორი ფარსანგით (დაახლ. 15 კმ) ქიზიყს, ხოლო, მეორე მხრივ, ერთი ფარსანგით (დაახლ. 7 კმ) – ყარალაჯს. ცხადია ამ კონტექსტში “ქიზიყი” პუნქტიად უნდა ვიგულისხმოთ.

1812 წ. “შემჭირვებულთა კახთა რუსთა მიერ... იძულებითა აღადგინეს ანბოხი, მოუწოდეს ალექსანდრეს, მეფის ირაკლის ძეს, რომელიცა იყო მას ჟამს ერევანს, და იწყეს მაგრება. მსმენელმან უპირველეს მართებელმან საქართველოსმან რტიშევმა... მაშინ წარგზავნა პირისპირ კახთა საბრძოლველად დიმიტრი ყაფლანიშვილი და ლიანარალი სვიმონოვისი. მისრულთა ამათ მოეგება ალექსანდრე მანავს. შეიძნენ რუსნი

და კახნი. იძლია რუსთაგან ალექსანდრე და მივიდა ქიზიური, განამაგრა ქიზიყი და დგა მუნი.

სამოცვალი
სამუშაო

აქაც კონტექსტით “ქიზიყი” პუნქტი უნდა იყოს, რომელ-შიც ალექსანდრე “დგა” და რომელიც მან “განამაგრა”. სხვა-გვარი გაგება ამ ადგილისა, ვითომ ალექსანდრე ქიზიყის მხარეში იდგა და მთელ მხარეს ამაგრებდა, ჩემი აზრით, ნონსენსია.

იმავე 1812 წ. კახეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ საქართველოს მთავარმართებელმა პაულუხიმ, როგორც ზე-მოთ უკვე იყო მითითებული, “განაწესა, რათა პოლკი ერთი იდგეს თელავსა ციხესა შინა, ღიანარალითა და მეორე ქი-ზიყსა”. თელავის დაპირისპირება ქიზიყთან, მგონია, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ კონტექსტითაც “ქიზიყი” პუნქტად ივარაუდება.

რომელი პუნქტი უნდა იყოს ეს ქიზიყი?

იგივე ბაგრატ ბაგრატიონი, როდესაც კახელთა 1812 წლის აჯანყების დასაწყისზე მოგვითხრობს, აღნიშნავს რომ აჯან-ყებულებმა “სრულებით მოპსწყვიტნეს რუსთა მდიაბეგნი თელავს და ქიზიყს-სიღნაღს და იასაულნი მათნი და გამოყა-რეს მხედრობად რუსთა კახეთით”.

ვფიქრობთ, რომ ზემომოვანილი მაგალითის მსგავსად, აქაც თელავის დაპირისპირება “ქიზიყ-სიღნაღთან”, იმას უნდა მოწმობდეს, როგორც პირველ შემთხვევაში, ამჟამადაც ავ-ტორისათვის “ქიზიყ-სიღნაღი” პუნქტია და თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ქალაქ სიღნაღის, რომელიც წყაროებში XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება, ძველი სახელწოდება “ქიზი-ყი” უნდა ყოფილიყო. “სიღნაღი” თავდაპირველად ქალაქის ციხეს უნდა რქმეოდა საკუთრივ და შემდეგ უნდა შერქმეოდა მთელ ქალაქს (სიღნაღი თურქული სიტყვაა და ნიშნავს “თავშესაფარს”, “სახიზნოს”).

ამას შეიძლება ადასტურებდეს თეიმურაზ ბაგრატიონის ზემოხსენებული თხზულების ის ადგილი, სადაც იგი აღნი-

შნავს, რომ ერეკლე II-მ “მრავალნი ქალაქნი, დაბანი და სოფელნი აღაშენნა მტერთა მიერ აოხრებულნი და სახელოფენი ციხენი აღაშენა: სიღნაღისა ციხე, რომელიც პრეზიდენტის ქალაქსა წიზიუისა, სახელოვანისა მის კახეთის პროვინციისასა”. ჩვენ ამ ამონაწერის კონტექსტი ასე გვესმის: ერეკლემ აღაშენა სიღნაღის ციხე ქალაქ წიზიუში, კახეთის პროვინციაში.

ჩვენი ვარაუდის დასტურად უცილობლად გამოგვადგება ბაგრატ ბაგრატიონის ზემოხსენებული ცნობა ქიზიყის, ძველი ანაგისა და ყარაღაჯის ურთიერთდაშორების შესახებ: სოფ. ძველი ანაგა მართლაც, დაახლოებით 15 კმ-ითაა სიღნაღს დაშორებული სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, ხოლო ყარაღაჯს – 7 კმ-ით ჩრდილო-დასავლეთისკენ. მაშასადამე ქიზიყი იგივე სიღნაღია.

ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, სავარაუდებელია, რომ “ქიზიყი” თავდაპირველად ჩვეულებრივი დაბა-სოფლის სახელწოდება იყო, რომელიც გარკვეული დროიდან ქალაქად განვითარდა. თვით ეს ქალაქი ქიზიყი, ცხადია, განსაზღვრული მხარის ცენტრად უნდა წარმოვიდგინოთ, მხარისა, რომელსაც გვიან შუასაუკუნეებში თვით ამ ცენტრის სახელი შეერქვა. ეს არის სწორედ საქართველოს ერთ-ერთი ეთნოგრაფიული კუთხე “ქიზიყი”, რომლის საზღვრების დადგენაც ჩვენ ზემოთ ვცადეთ. ის რომ ამა თუ იმ მხარეს შეიძლება შეერქვას მისი ცენტრის სახელწოდება, ეს ძველი საქართველოსთვის და, საერთოდ, ამიერკავკასიისთვის ჩვეულებრივი ამბავია და არ არის უცხო არც ევროპისა და აზიის ქვეყნებისათვის.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც “სიღნაღის” ციხე აშენდა, ქალაქის ძველი სახელწოდება მის “ქვეყანას” შერჩა, ხოლო ამ “ქვეყნის” ცენტრს კი სიღნაღი ეწოდა.

ამგვარად, “ქიზიყი” საქართველოს ჩვენთვის საინტერესო კუთხისათვის გვიან შუასაუკუნეებში წარმოქმნილი სახელ-



წოდებაა.

საინტერესოა რა ერქვა ამ კუთხეს უფრო ძველად? საქაბეგ-ასანჭამდე ვახუშტი ბაგრატიონი წერს: “არამედ საქაბეგ-ასანჭამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთიდამ ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კანბეგზოვანი”... როგორც ვხედავთ ვახუშტი თვლიდა, რომ ქიზის ძველად (პირველ) კანბეგზოვანი ერქვა.

გვხვდება თუ არა ძველ ქართულ წყაროებში მხარე ასეთი სახელწოდებით?

ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად ეს ტერმინი გვხვდება არსენი საფარელის თხზულებაში “განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა”, რომლის ავტორს X ან XI საუკუნის მოღვაწედ თვლიან. მისი სიტყვით VII ს-ში მწვალებლობისათვის სომხეთიდან გააძვევს ვინმე იოანე ბერი, რომელიც “წარვიდა ოტებული კავკასისა მთასა და მუნით უკ-მოიქცა მსწრაფლ, რამეთუ არა შეიწყნარეს იგი მთეულთა მათ კაცთა, რამეთუ იყვნეს იგინი კერპომსახურ და გარდამოვიდა კანბეგ-ჩანს და დაემკუდრა ჭევსა შინა მცირესა, რომელსა პრქვია ჭევი სომხითისა”...

ლეონტი მროველი, XI საუკუნის ქართველი დიდი ისტორიკოსი, რომელსაც ეკუთვნის ქართველთა უძველესი ისტორიის ამსახველი თხზულება, “ქართლის ცხოვრებაში” შესული ასეთი სახელწოდებით: “ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა” ანუ მარტივად – “ჰამბავი მეფეთა”, და რომელიც თავისი თხზულების შესაქმნელად, როგორც ამჟამად ეს კარგად არის გარკვეული, ზეპირი გადმოცემების ანუ ფოლკლორის გარდა იყენებდა წერილობით წყაროებსაც, კერძოდ კი ძველ ქართულ მატიანეებს თუ ქრისტიანებს, რომელთაგან უმეტესობას დღემდე არ მოუღიერებია, I საუკუნის პოლიტიკური ამბების გადმოცემის დროს მოგვითხოვთხობს, რომ არმაზელმა და აზორქმა, რომლებიც ქართლში ერთდროულად მეფობდნენ, “განიზრახეს ძიება საზღვარ-

თა ქართლისათა” ანუ იმ ტერიტორიების უკან დაბრუნება, რომლებიც მაშინ სომხებს პქონდათ ქართველთაგან, მიღწეული ცებული. “და ამათ მეფეთა ქართლისათა შემოქრიბნებული ნპრეზე თუსნი და შეკრბა ესე ყოველი სიმრავლე ურიცხვ. და სიმარჯვით ფარულად შეკრბებს, ვიდრე შეკრბებოდეს სპასი სომებთანი. და შევიდეს სომხითს და უგრძნეულად წარმოსტყუენეს შირაკუანი და ვანანდი ბაგრევანამდე და ბასიანამდე, და შეიქცეს და ჩატყუენეს დაშტი ვიდრე ნახტევანამდე, და აღიდეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ და აღივხნეს ყოვლითავე ხუასტაგითა და გამოვლეს გზა ფარისოსისა. მაშინ სუმბატ ბივრიტიანმან (სომებთა მხედართმთავარმა, დ.მ.) მოუწოდა სპათა სომხითისათა, და შეკრბეს მსწრაფლ სომები და დევნა უყვეს, ხოლო ესე ყოველი ჩრდილონი განსრულ იყვნეს მტკუარსა და მისრულ იყვნეს კამბეჩოანს, და დაებანაკათ იორსა ზედა, და განიყოფდეს ტყუესა და ნატყუენავსა”.

მხარეს ამ სახელწოდებით იცნობს ისტორიკოსი ჯუან-შერიც, რომელმაც დაგვიტოვა ისტორიული თხზულება – “ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა”. იგი წერს: “და ესხნეს ვახტანგს ბერძნის ცოლისაგან სამ ძე და ორ ასულ. ხოლო ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისაგან, დაჩის, მისცა ქალაქი ჭერამისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი”.

მეორეგან იგივე ჯუანშერი, როდესაც აღწერს სპარსთა მეფის ქართლის სამეფო შემოსევას, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა ვახტანგ გორგასლისთვის, აღნიშნავს: “და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი, და ჭერმისა ციხე, და ველის-ციხე. და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა.”

სუმბატ დავითის-ძე, ასევე XI ს-ის ისტორიკოსი, ავტორი უაღრესად საინტერესო ქრონიკისა – “ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით უამითგან

უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა”, – როდესაც ბაგრატიონთა
ბიბლიურ მამამთავართაგან წარმომავლობაზე მიუთხოვდეს
აღნიშნავს: “სოლომონ შვა შვიდნი ძმანი, რომელნებიც იგი
მისცნა ღმერთმან ტყუეობასა შინა. და ესენი შვიდნი ძმანი,
ძენი ამის სოლომონისნი, წარმოვიდნენ ქუეყანით ფილის-
ტიმით (პალესტინიდან, დ.მ.), ტყუეობით წარმოსულნი ჰური-
ანი და მოიწივნეს ეკლეცის (ევფრატის ზემო წელზე, დ.მ.),
წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ იღეს. და
დაშთეს იგინი ქუეყანასა სომხითისასა და მუხ დღეინდლად
დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს. და ოთხნი ძმანი
მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით
გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი
ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრა-
ტიონიანნი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამი-
სანი. ხოლო ძმა მისი, სახელით საპაპ, წარვიდა კახეთს და
დაემზახა (დაემოყვრა, დ.მ.) იგი ნერსეს (რომელიც მაშინ,
ჩანს, მთავრობდა კახეთში, დ.მ.). და სხუანი ორნი იგი ძმანი
ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს,
და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი (რომელიც მაშინ, ჩანს,
განაგებდა ამ მხარეს, დ.მ.) და დაიპყრეს კამბეჩანი, და
დასხდეს იგინი მუხ ცხოვრებად ხორნაბუჯეს. და ამა უამამ-
დე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა.” ცოტა უფრო ქვე-
მოთ სუმბატ დავითის ძე კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ
ფაქტს: ...”ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს,
და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაპარ ჩუბინისსა,
და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს კამბეჩოანი”.

კამბეჩოვანს იცნობს თამარ მეფის ეჭ. პირველი ისტორი-
კოსიც (XIII ს. დასაწყისი). ანონიმური ავტორი შესანიშნავი
თხზულებისა “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”,
მოგვითხობს, რომ თამარ მეფის პირველი მეუღლის, რუსე-
თის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილის საქართველო-
დან მეორედ გაძევების შემდეგ, ეს უკანასკნელი წარვიდა

კონსტანტინოპოლიდან, “მივიდა ათაბაგისა (ე.ი. განძის) მმართველთან, დ.მ.) და მისგან აიღო არანის ქუეყანისა სამყოფა ფი, შემსგავსებული სკსა მისისა. მუნიდალმან შემურელი ლაშქართა განძისა და არანისათა მოვიდა ქუეყანასა კამბე-ჩანისასა და შიგნით მინდორი მოარბია, და აიღო სიმრავლე ტყვსა და ნატყვენავისა. მაშინ ხორნაბუჯისა პატრონმან საღირ მახატლის ძემან ცნა ესე და შეიყარა მცირედითა ლაშქრითა და მიეწია სამითა შვილითა წავისა”.

უამთაადმწერელი, XIV საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსიც ფრიად საინტერესო ცნობებს იძლევა კამბეზიონის შესახებ. ასე მაგალითად, აღწერს რა ჯალალ ედ-დინის საქართველოში შემოსვლის პერიპეტიებს, მოგვითხობს: “ესრეთ რა მოაოხრეს ტფილისი, იწყეს რბევად, ტყვენვად, ჭოცად და კლვად სომხითისა და კამბეზიანისა და იორის პირთა, ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორას და ანისის მიმდგომთა ქვეყანათა”.

მონგოლთა გაბატონების შემდეგ, XIII ს-ის ორმოციან წლებში “განახინეს თათართა ბევრისა მთავარი, რომელსა დემნის თავად უწოდეს, და გამოარჩივნეს მთავარნი, პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო არა ნიჭთა მქონობელი საკმართა, და მას ხელთ უდგეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეზიანისა, ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა”.

ჰულაგუ ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული მონგოლთა მხედართმთავარი “საბერძნეთს მდგომი დედაწულითა, რომელთა თავადი იყო ალათემურ ვინმე, კაცი სახელოვანი, აიყარა ბარგითა და დედაწულითა, და ივლტოდა, და მიმართა სამცხით კერძო”... აქედან “ალათემურ აიყარა ბარგითა და დედაწულითა, და გამოვლო მტკუარი და მიმართა ჯავახეთით კერძო”. აქ მან დაამარცხა ქართველი ფეოდალი მურვან გურკლელი, “ხოლო თათართა განვლეს ჯავახეთი, და თრი-

ალეთი, და რუსთავს მტკუარს გავიდეს, და მრავალგან მოქმედების მიზნებს თათარნი (პულაგუს მომხრენი, დ.მ.) და სომხითარების ლაშქარნი... ყოველგან ალათემურ მძლე ექმნა. და გვიცვლეს კამბეჩიანი, კახეთი, ჰერეთი, ყოველგან ომითა, და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა. შევიდეს ღუნძეთს, რამეთუ წინა-განეჭყო მეფე ღუნძთა, და სძლიერ თათართავე, და განმარჯვებული მივიდეს ბერქა ყაენს წინაშე. და ესრეთი საკურველი საქმე ქმნეს”...

1265 წ. როდესაც გარდაიცვალა ერანის ილხანთა ყაენი პულაგუ, ოქროს ურდოს ყაენმა დრო იხელთა და “მას უამსა გამოვიდა დიდი ყაენი ბერქა გზასა დარუბანდისასა აურაცხელითა ლაშქრითა... ბერქამან მოაოჭრა ქუეყანა შირვანისა, პერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე... ხოლო ბერქა ყაენი დადგა მთათა შინა გარეჯისათა”. აქ რომ ცნება “ყოველი იორის პირი” პირველ რიგში, მაინცდამაინც, კამბეჩოვანს გულისხმობს, ეს კარგად ჩანს უამთააღმწერლის კიდევ ერთი ცნობიდან: “ამათ უამთა კუალად მოვიდა (საქართველოში, დ.მ.) იგივე არღუნ (მონაგოლთა ხოინი, დ.მ.), რომელსა აღერიცხვნებ ყოველნი საბრძანებელნი ყოველთა ყაენთანი, რათა აღთუალოს ქუეყანა და ცნას ვითარდი ქუეყანა აღშენდა, გინა აოჭრდა. აღთუალა ახლად და ცნა, რამეთუ კამბეჩის ვაკენი მოოჭრებულ იყო გამოსლვასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაენი დიდი ბერქა”.

აქედან ცხადია, რომ ბერქასაგან მორბეული “ყოველი იორის პირი” იგივე, მისგანვე “მოოჭრებული კამბეჩის ვაკენია” ანუ იგივე ქიზიყი, რომელიც, როგორც ვახუშტის ცნობა ბიდან ვიცით, “მოოჭრდა გამოსლვასა ბერქასა” ანუ “შემდგომად ბერქას გამოსვლისა ოჭერ არს”.

ასეთია ცნობები კამბეჩოვანის შესახებ ძველ ქართულ წყაროებში.

პირველ რიგში – სახელწოდების შესახებ. როგორც

ზემომოგრანიდ ამონაწერებიდან ჩანს, ძველ ქართულ იხტორი/ულ წყაროებში ეს ხორონიმი სხვადასხვაგვარად გამოიყოფა ქმოდა: კამბექონი (ლეონტი, ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე), კამბექონი (ჯუანშერი), კამბექანი (არსენი საფარელი, სუმბატ დავითის ძე, თამარ მეფის ისტორიკოსი), კამბექიანი (ქამთააღმწერელი), კამბექი (ქამთააღმწერელი). ამგვარად, როგორც ჩანს, ყველაზე ხშირად იხმარებოდა “კამბექონი” – სამ სხვადასხვა ავტორთან და “კამბექანი” – ასევე სამ სხვადასხვა ავტორთან, რომელთაგან სუმბატ დავითის ძე, შესაძლებელია სხვადასხვა პირველწყაროს გამოყენების გამო ორივე ტერმინს პარალელურად ხმარობა.

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ჯუანშერთან ერთხელ ნახმარ ტერმინს – “კამბექონანი”, რომელიც “კამბექონის” სრულყოფილ ფორმას წარმოადგენს და რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი ხმარობს “კანბექონანის” ფორმით. ვფიქრობთ ეს იმითაცაა გამართლებული, რომ ეს ფორმა შემონახულია ლეონტი მროველთან და ჯუანშერთან, რომლებიც საქართველოს უძველეს ისტორიას წერდნენ და ამდენად სავარაუდოა, რომ მათ მიერ გამოყენებულ ძველ ქართულ პირველწყაროებში სწორედ ეს ფორმა – “კამბექონანი” – იხმარებოდა.

მეორე: რა ტერიტორიაა ეს “კამბექონანი” და სწორია თუ არა ვახუშტი, როდესაც მას ქიზიყთან აიგივებს? თუ მოვიგონებთ “ქართლის ცხოვრებიდან” ახლახან მოტანილ სათანადო ცნობების ზოგიერთ დეტალს, ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. კერძოდ, როგორც ვიცით, ლეონტი მროველის მიხედვით, კამბექონანს მისულ ლაშქარს ქართველთა მეფეებისას “დაებანაკათ იორსა ზედა”, ხოლო ქამთააღმწერელი გამოთქმას “კამბექიანი და იორის პირნი”, ყოველი ეჭვის გარეშე, ერთ გეოგრაფიულ ცნებად გაიაზრებს. კამბექონის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობების აღსანიშნავად “ისტორიათა და აზმათა” ავტორი ისეთ არსებით ას-

კექტს “უსვამს ხაზს, როგორც “შიგნით მინდორი ქუყანის/კამბეჩანისა”, ხოლო ფამთააღმწერელი – “კამბეჩის გადასაცემა/უკელაფერი ეს რომ შევადაროთ ზემომოტანილ, ჩვენთვის უკვე ცნობილ ვახუმტისეულ აღწერას ქიზიყისას და საერთოდ საქართველოს ამ კუთხის რეალურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ თვისებებს, აღარ დაგვრჩება მიზეზი ეჭვისათვის და ცხადი გახდება, რომ “კამბეჩოვანი” და “ქიზიყი” ერთსა და იმავე რეგიონს ეწოდება.

მაინც თუ გვაქვს დამატებითი კონკრეტული მონაცემები ძველ ისტორიულ წყაროებში კამბეჩოვანის საზღვრების წარმოსადგენად?

კამბეჩოვანი გარდა ქართულისა მოიხსენიება არაბულ, ძველსომხურ და ძველ ბერძნულ ისტორიულ თუ გეოგრაფიულ წყაროებში. მათ შესახებ საგანგებოდ ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ, ამჟამად კი აღვნიშნავთ ჩვენთვის საინტერესო ასპექტით ზოგიერთი დეტალის შესახებ.

ერთ-ერთი ფრიად საინტერესო ძველსომხური ისტორიულ-გეოგრაფიული წყარო – “აშხარაცუიცი” (“ქვეყნის მაჩვენებელი” ანუ მსოფლიო რეგის საძიებელი), რომელიც ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსის, კლავდიოს პტოლემაიოსის (II ს.) “გეოგრაფიულ სახელმძღვანელოს” საფუძველზეა შექმნილი, როგორც ფიქრობენ, VII ს-ის პირველ ნახევარში – შეიცავს ფრიად საინტერესო ცნობებს ქავებისა და, კერძოდ, ამიერკავკასიის ქვეყნების (კოლხეთის, ივერიის, ალვანეთისა და სომხეთის) შესახებ. როგორც ფიქრობენ, ეს ცნობები გაცილებით უფრო ძველ ვითარებას ასახავს, ვიდრე თვით ეს “აშხარაცუიცია” შედგენილი და კერძოდ, ჩვენი აზრით, ამიერკავკასიისათვის იქ, ჩანს, IV ს-ის მეორე ნახევრისა და V ს-ის პირველი ნახევრის პოლიტიკურ-გეოგრაფიული სურათია გადმოცემული.

და აი, სომხური “აშხარაცუიცის” ვრცელ რედაქციაში კითხულობთ: “პოლვინცია ეხნი (მდებარეობს) ალუანის

(ალაზნის) მდინარის პირას და ქამბეჭანი – მტკვრის პირას¹⁷. წვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ პროვინცია “ეხნი” ალაზნის გადამდებარებული მხარში ანუ მის მარცხენა სანაპიროზე უნდა ყოფილიყო, დაახლოებით დღევანდელი ლაგოდეხის რაიონის და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის რაიონის ტერიტორიაზე. მაშასადამე “ეხნისა” და მის მეზობლად მდებარე “ქამბეჭანის” ანუ იგივე კამბეჩოვანის პროვინციას შორის საზღვარი მდ. ალუანზე ანუ ალაზანზე უნდა გასულიყო, კერძოდ, მის ქვემო დინებაზე, ხოლო თვით “ქამბეჭანი მტკვრის პირას” რადგანაც მდებარეობს, ცხადია, ეს ძველსომხური წყაროც იმას გვიდასტურებს, რომ IV-VII საუკუნეებშიც კამბეჩოვანი მტკვარსა და ალაზანს შორის იყო მოქცეული, ისევე როგორც ქიზიყი XVIII საუკუნეში.

ვახუშტი ბატონიშვილს ამ კუთხის სახელწოდების ეტიმოლოგიის ცდაც აქვს: “ამას ეწოდა პირველ კანბეჩოვანი, კანბეჩთა სიმრავლისათვის”. ასეთ ეტიმოლოგიას ზოგიერთი მეცნიერიც (მ. ბროსე, ლ. მელქისეთბეგი) იზიარებს. სრულიად მიუღებელია აზერბაიჯანელი მეცნიერის, ი. ალიევის მოსაზრება, თითქოს ეს სახელწოდება აქ მოსახლე მომთაბარე აღმოსავლურ-ირანული ტომისაგან – კამბოჯა – წარმოსდგება (ამის შესახებ ქვემოთ).

★ კამბეჩოვანის ცენტრი იყო ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი. ამაზე ეჭვს არ ტოვებს ჯუანშერის ზემომოტანილი მხოლოდაზროვანი განსაზღვრება: “ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი”.

ამ ციხე-ქალაქის ლოკალიზაციას ეხება ვახუშტი ბატონიშვილი: “ხოლო ყარაღაჯის სამხრით, სადაც დასწყდების პერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი, და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ, კლდესა ზედა, შენი არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი. ესეც ბერქას გამოსვლასა მოოქრდა”.

ხორნაბუჯის გრანდიოზული ციხე-სიმაგრის ნანგრევებს დღეს “თამარის ციხეს” უწოდებენ. იგი წვენ 1965 წ. მოვინა-

ხულეთ პირველად კახეთის არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს. მეორედ – ერთდღიანი ექსკურსიის დროს გენერალ ივანე შაიშმელაშვილთან ერთად 1967 წლის 8 მაისს. იგი მაღალი კლდის მასივზე მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროს ჩრდილოეთით რამოდენიმე კმ-ზე. ციხე-სიმაგრე გადაყურებს ალაზნის მარჯვენა სანაპირო ველის (ვახუშტისეული უფადარი და წინა მინდორი) უზარმაზარ სივრცეს. უკან მოსდგამს (სამხრეთიდან) ქიზიუის მაღლობი, რომელზედაცაა განლაგებული დედოფლის-წყარო. ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრე ჰკეტავს ალაზნის ველიდან ამ მაღლობზე ამომავალ გზას, რომელიც უშუალოდ იმ კლდის ძირს გასდევს, რომელზედაც იგი დგას. გზა ციხე-სიმაგრის ქვეშ კლდეკარში გადის. ეს კლდეკარი, ნაწილობრივ მაინც, უკველია, ხელოვნურადაა გაჭრილი. გზის გარდიგარდმო მაღალი კლდეგები ორივე მხრივ საგანგებო კედლებითაა დამატებით გამაგრებული. კლდეკარის ერთ მხარეს თვით ციხე-სიმაგრის მთავარი ნაგებობა, “თავადი ციხე” დგას, ხოლო მეორე მხარეს მცირე სათავდაცვო შენობების ნაგრძევებია.

კომპლექსის მთავარი კორპუსი წარმოადგენს უძველესი ფეოდალური ციხე-სიმაგრეებისათვის დამახასიათებელ ნაგებობას – ციტადელით (“თავადი ციხე”) და ქვედა ციხით (გალავნით – “სახიზნოთი”). ციტადელში, რომელიც ძლიერ დანგრეულია, სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებია შემორჩენილი, მათ შორის წყალსაცავი (კედლებშელესილი გადახურული მიწისქვეშა ნაგებობა) და თითქოს კარის ეკლესიის ნაშთიც. კედლების ქვის წყობა აქ დიდ ნაწილში გაცილებით უფრო გვიანდელი უნდა იყოს შედარებით იმ პერიოდთან, როდესაც ეს ციხე-სიმაგრე პირველად იხსენიება ჩვენს წყაროებში. ცხადია, სტრატეგიულ აღგილზე აგებული დიდად მნიშვნელოვანი პროვინციის ცენტრი, “ქალაქი კამბეჩოვანისა” არაერთხელ იქნებოდა დანგრეული და, როგორც ვიცით, ჩვენსათანადო ჩვენებებიც გვაქვს ისტორიულ წყაროებში. მეორე

მხრივ, ეს ციხე-სიმაგრე არაერთხელ რესტავრირებულია იქნებოდა გვიან საუკუნეებში, რაც იმით მტკიცდება რომ XIII ს-ში ბერქა ყაენის მიერ დანგრეული ეს ციხე-სიმაგრე გვიანაც გამოიყენებოდა. ასე მაგალითად, როსტომ მეფე 1656 წელს როინ ჯავახიშვილისა და მისი შვილებისადმი მიცემულ სიგელში წერს: “ჩუენს ძმისწულს მეფეს სუიმონზედა ნამ-სახურნი იყვენით და იმათის ერდგულობისათვის ბატონს თეიმურაზს დაეტყვევენით და ხორნაბუჯის ციხეში ჩაეგდე-ვით”... ბერქა ყაენის დროს “მოოხრებული” ციხე-სიმაგრის კედლები უფრო გვიან რომ არ შეუშენებინათ, ცხადია, მეფე თეიმურაზი იქ პატიმრებს ვერ გამოჰკეტავდა.

ქვედა ციხე ანუ “სახიზნო”, რომელიც “თავადი ციხის” ჩრდილოეთითაა განლაგებული საქმაოდ დაბალ (ზედა ციხეს-თან შედარებით) ტერასზე, შექმნილია ორი ურთიერთპარალე-ლური კედლისგან, რომლებიც ჰქეტავენ კლდის ორ დიდ მასივს შორის მოთავსებულ მცირე მინდვრის ტერიტორიას. კედლები მიმართულია სამხრეთიდან ანუ “თავადი ციხის” კლდოვანი ფუნდამენტიდან ჩრდილოეთისაკენ. ჩრდილოეთის მხრიდან პარალელურ კედლებს შორის მოქცეული სივრცე გადაკეტილია ასევე მაღალი, ბუნებრივი კლდის უზარმა-ზარი მასივით, რომლის თხემზეც სათვალთვალო კოშკის ნაშთია, რომელიც ალაზნის ველს გადაჰყურებს. “სახიზნოს” აღმოსავლეთი და დასავლეთი პარალელური კედლები საკ-მაოდ კარგადაა შემონახული, მათი ქვების წყობის თარაზუ-ლობა დიდ სიძველეზე უნდა მიუთითებდეს. არ არის გამორიც-ხული ისინი ვახტანგ გორგასლის დროინდელი ნაგებობის ნაშთებს წარმოადგენდნენ. აქედან ჰქონია ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრეს მთავარი შემოსასვლელი კარი (საურმე), რომელ-საც ოთხკუთხი კოშკი იცავს. სხვა რაიმე ნაგებობის კვალი ქვედა ციხის ტერიტორიაზე არ ჩანს. მის შიდა სივრცეში 60-იანი წლების დასაწყისში დაზვერვითი თხრა უწარმოებია კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრს პროფ. რ. რამი-

შვილს. გათხრამ დიდალი კერამიკული მასალა გამოაცვინა, მათ შორის XII-XIII საუკუნეთა ჭურჭლის ნატეხები.

უქველია ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრე ფრიად სტრატეგიულ ადგილზეა აგებული. იგი ფლობდა მის წინ გადაშლილ უზარმაზარ ველს აღაზნისას და აგრეთვე მის უკან მოძღვარ ქიზიყის მაღლობს. იგი მნიშვნელოვან გზათა საყარზე იდგა და აკონტროლებდა არა მარტო “წინა მხრიდან” (აღაზნის ველიდან) “უკანა მხარში” (ივრის ზეგანზე) გარდამავალ მთავარ გზას, არამედ შირაქიდან ქისიყის ზეგანზე მომავალ გზასაც, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბოლოს ჩვენ ერთი საკითხი დაგვრჩა კამბეჩოვანის ზოგად დახასიათებასთან დაკავშირებით.

როგორც ზემოთ განხილულ წყაროთა მონაცემები მოწმობენ კამბეჩოვანი საქართველოს ცალკე დამოუკიდებელი მხარე იყო ისევე, როგორც ქართლი, კახეთი, პერეთი, ჯავახეთი, სამცხე და სხვ. ასე იყო XI ს-ში (სუმბატ დავითის-ძე: “საჰაკ წარვიდა კახეთს... და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი... წარვიდეს კამბეჩანს”), XII ს-ში (“ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი”: გიორგი რუსი “მივიდა ქუეყანასა კამბეჩანისასა”), XIII და XIV საუკუნეებშიც (ეამთააღმწერელი: “სპა პერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა”; აღათემურის ლაშქართა “განვლეს კამბეჩიანი, კახეთი, პერეთი, ყოველგან ომითა”).

ასევე იყო უფრო ადრეც (“აშხარაცუიცის” და არსენი საფარელის ცნობები). სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ უფრო გვიანაც “კამბეჩოვანი” ახლა უკვე “ქიზიყად” სახელდებული კვლავ, როგორც აღვნიშნეთ, ქართლისა და კახეთის თანატოლ ეთნოგრაფიულ ცნებად გაიაზრებოდა. თუმცა ჩვენ ისიც ვიცით რომ XVIII-XIX საუკუნეების ზოგიერთ წყაროში და დღესაც “ქიზიყი” კახეთის შემადგენელ ეთნოგრაფიულ კუთხედად მიჩნეული. ამასაც თავის მიზეზი აქვს და, ვფიქრობთ, ამაში კამბეჩოვანის უძველესი, საინტერესო პოლიტიკური და ეთნიკური ისტორია გაგვარკვევს.

ანტიკური ხანის სახელგანთქმული გეოგრაფოსი, ხტრ/ ბონი (ძვ.წ. 64 – ახ.წ. 24 წ.) თავის მონუმენტურ შრომაშენი რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს იმდროინდელი შნოუ-ლიო გეოგრაფიული ცოდნის შეჯამებას, საკმაოდ დეტალურად აღწერს ამიერკავკასიის ქვეყნებსაც. თვით სტრაბონი ქ. ამასიაში (დღ. თურქეთში) დაიბადა და ბევრს მოგზაურობდა. დედამისის ბიძა, მოაფერნი, ერთ დროს კოლხეთის მმართველიც კი იყო. სარგებლობდა სტრაბონი თვითმხილველთა ცნობებითაც, კერძოდ ძვ.წ. 65 წ. ამიერკავკასიაში სახელგანთქმული რომაელი სარდლის პომპუსის თანამოღაშქრების ჩვენებებითაც. ამიტომ მისი აღწერა კავკასიის პოლიტიკური, ეთნიკური თუ გეოგრაფიული ვითარებისა, ფაქტობრივად, ძვ.წ. I ს-ის მდგომარეობას ასახავს და საქმაო სანდოობით გამოირჩევა.

სტრაბონი ამიერკავკასიის ქვეყნების აღწერისას რამოდენიმეჯერ ახსენებს ერთ-ერთ პროვინციას, რომელსაც “კამბისენე” ეწოდება. მეცნიერები, სავსებით სამართლიანად სტრაბონისეულ “კამბისენეს” ქართულ კამბეჩან–კამბეჩოვანთან აიგივებენ.

ჯერ კიდევ მარი ბროსე აღნიშნავდა, რომ “კამბისენე, კამბეჩოვანი ანუ კამეჩთა ველი, შეესატყვისება ყარაღაჯისა და შირაქების სტეპებს”.

ივ. ჯავახიშვილიც კამბისენეს აიგივებს ქართულ კამბეჩოვანთან და დასძენს: “შესაძლებელია ეს ადგილი ეხლანდელი შირაქის მინდვრები იყოს. კამბეჩოანს დიდი სივრცე ჰქონია”.

ს. კაკაბაძე აღნიშნავდა, რომ კამბისენეს “წარმოადგენს ეხლანდელი შირაქის ველი” და “კამბეჩოვანი უწევდა მდ. იორამდის”.

ამგვარად, სტრაბონთან მოხსენიებული “კამბისენეს” და ქართული “კამბეჩან-კამბეჩოვანის” იდენტურობაში ეჭვი არავის ეპარება. მართლაც, “კამბისენე”, როგორც ჩანს სრული შესატყვისია ქართული “კამბეჩანისა” (ასევე სომხური შესატყვი-

სი სახელწოდებისა), განსხვავება, ფაქტობრივად, მხოლოდ
იმაშია, რომ ასო “ჩ”-ინის ბერძნულ ენაში უქონლობის გამო
მას “ს”-იგმით გადმოხცემდნენ.

ეხლა განვიხილოთ თვით სტრაბონის ცნობები კამბეჩო-
ვანის შესახებ.

ბერძენი გეოგრაფოსი სამგან იხსენიებს ამ მხარეს:

1. “ხორზენე და კამბისენე სომხეთის ყველაზე უფრო
ჩრდილოეთი და ოოვლიანი მხარეებია, რომლებიც მისდგამენ
კავკასიის მთებს, ივერიას და კოლხეთს” (XI, 14, 4).

2. “სომხეთი ნაწილობრივ წარმოადგენს ველს, ნაწილობ-
რივ კი მთიანი მხარეა, როგორც, მაგალითად, კამბისენე,
სადაც სომხები ერთდროულად ემიჯნებიან ივერიელებსაც
და ალგანელებსაც” (XI, 4, 1).

3. “გასასვლელი ივერიიდან ალვანეთში მიდის უწყლო
და ქვიან (უსწორმასწორო) კამბისენეზე მდინარე ალაზნისა-
ქენ” (XI, 4, 5).

დავიწყოთ ბოლოდან.

ჯერ ერთი, უნდა აღვნიშნოთ, რომ ალვანეთი (ან კავკასიის
ალბანეთი) ეს იყო ქრისტიანული ქვეყანა, სახელმწიფო,
რომელიც მოიცავდა დაახლოებით დღევანდელი აზერბაიჯა-
ნის ტერიტორიას, დასახლებული იყო კავკასიური ტომებით
(მათ ნაშთად დღევანდელ უდებს ვარაუდობენ) და ამგვარად
ივერიას ანუ ქართლის ძველ სამეფოს აღმოსავლეთიდან
ემიჯნებოდა. ასე იყო ადრე შუასაუკუნეებში. უფრო გვიან
ძველი ალვანეთის ტერიტორიაზე შარვანის (შირვანის) –
მტკვრის ჩრდილოეთით, და არანის – მტკვრის სამხრეთით –
მაპმადიანური სახელმწიფოები წარმოიქმნა, რაშიც გადამწყვე-
ტი როლი არაბთა და შემდეგ თურქსელჩუქთა შემოსევებმა
ითამაშეს.

მაგრამ ეს შედარებით გვიან მოხდა. ამჟამად ჩვენთვის
საინტერესო პერიოდში ივერიის აღმოსავლეთით ალვანეთის
სამეფო მდებარეობდა.

როგორც ვხედავთ სტრაბონი აღნიშნავს, რომ მთავარ
გასასვლელი გზა ივერიიდან ალვანეთში “უწყლო და ~~ქამბისენ~~
კამბისენე ზე” გადიოდა. გეოგრაფოსის მიერ ამ მხარის ~~სამხრი~~
ნიშანდობლივი დახასიათება უნებლივ ასოციაციას იწვევს
1772 წლის ერთი ქართული საბუთის ანალოგიურ კვალიფიკა-
ციასთან: ზურაბ გომბაშაბიშვილი, ქართლელი მემამულე,
ერეკლე II-ს სწერს: “ჩემის მამულიდამე გარდმოვარდნილი
(გადმოხვეწილი) აქამდით ქიზიყს გახლდი, ხმელსა და უწყ-
ლოს ალაგუ... გასაოცარია ამ მხარის, კამბისენე|| კამბეზოვანის
ანუ გვიანდელი ქიზიყის ამ ორი, თვრამეტი საუკუნით დაშორე-
ბული, ლაკონიური, ნიშანდობლივი დახასიათების იდენტუ-
რობა!

სტრაბონის ამ ცნობიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ
სახელმწიფო საზღვარი ივერიასა და ალვანეთს შორის
სადღაც კამბისენე|| კამბეზოვანზე უნდა გადიოდეს მდ. ალაზ-
ნის, ცხადია, ქვემო დინების მახლობლად. ამასვე გვავარაუ-
დებინებს იგივე ბერძენი გეოგრაფოსის კიდევ ერთი ცნობა,
ივერიაში შემოსასვლელ მთავარ მაგისტრალურ გზებს რომ
ეხება. აქ, სხვათაშორის, ვკითხულობთ, რომ ამ ქვეყანაში
“შემოსასვლელი ალვანეთიდან თავიდან გადის კლდეში
გამოკვეთილ ბილიკზე, შემდეგ კი კავკასიონიდან მომდინარე
ალაზნის ჭალებზე” (XI, 3, 4). აქედან ცხადი უნდა იყოს,
რომ სტრაბონის მიხედვით სახელმწიფო საზღვარი ივერი-
ასა და ალვანეთს შორის სადღაც ალაზნის ქვემო დინებასთან
უნდა გადიოდეს, ალაზნის “მოსაბრუნიდან” მის მტკვართან
შეერთებამდე და კ.ი. კამბისენე|| კამბეზოვანი სასაზღვრო
მხარეა ივერია-ალვანეთს შორის.

მაგრამ სტრაბონის დროს ამ მხარეში, როგორც ჩანს,
მხოლოდ ივერია და ალვანეთი კი არ ესაზღვრება ერთმა-
ნეთს, არამედ სომხეთიც. ამაზე პირდაპირ მიგვითითებს
გეოგრაფოსის მეორე ცნობა, საიდანაც გამომდინარეობს რომ
კამბისენეში ერთმანეთს ერთდროულად ემიჯნებიან სომხები,

ივერიელები და ალვანელები. ჩვენ ზემოთ უკვე გვმოადგინდა
აღნიშნული, რომ სტრაბონის კავკასიის პოლიტიკური გვერ-
თარების შესახებ ცნობები ძვ.წ.-ის 60-იანი წლების პირველი
ნახევრის მდგომარეობას უნდა ასახავდეს. ხოლო ამ დროს
სომხეთს დაპყრობილი ჰქონდა ალვანეთის სამხრეთი ტერიტო-
რია მტკვრამდე და ამდენად კამბეჩოვანსაც ემიჯნებოდა და
შესაძლებელია მისი მტკვარ-იორშორისი ტერიტორია დაპყრო-
ბილიც ჰქონდა.

ეხლა უკვე გასაგებია სტრაბონის მესამე ცნობაც, რომ
“კამბისენე სომხეთის ყველაზე უფრო ჩრდილოეთი მხარეა”.

სხვათაშორის გეოგრაფოსის ეს ჩვენება მეცნიერთა არა-
სწორი ინტერპრეტაციის შედეგად, გახდა საფუძველი მცდარი
ისტორიულ-გეოგრაფიული წარმოდგენისათვის. ასე მაგალი-
თად, ს. კაკაბაძე თვლიდა, რომ “სტრაბონის დროს კამბეჩო-
ვანი გაშლილი ყოფილა მტკვრის სამხრეთითაც და ერთი
ნაწილი მისი (ჩრდილოეთი) ეკუთვნოდა ალბანიას, მტკვრის
სამხრეთით მდებარე კი შედიოდა სომხეთში”. დაახლოებით
ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული ს. ჯანაშიას: “კამ-
ბისენეს ნახევრად ბარისა ნახევრად მთიანი პროვინციის –
სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ იბერია, ალბანია და არმენია
– სომხეური ნაწილი არმენიის ყველაზე ჩრდილოეთით მდე-
ბარე და ყველაზე მაღალმთიანი თემთაგანი იყო. რადგანაც
ლიტერატურაში მიღებული გაიგივება კამბისენესი კამბეჩან-
თან სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ, გამოდის, რომ კამ-
ბისენეს სომხეური ნაწილი იორ-ალაზნის შუაწყლის სამ-
ხრეთით მდებარე მაღალი ქედების – ბამბაკის აღმოს. ნაწი-
ლისა და შაჰ-დაღის – მთიანეთში უნდა ვეძიოთ. მის ჩრდი-
ლოეთით უკვე იბერია იქნება”.

ჩვენ ზემოთ, როდესაც კამბეჩოვანის ტერიტორიული
სივრცის შესახებ ვსაუბრობდით, ვნახეთ რომ სამხრეთი მიჯნა
ამ თემისა მტკვარი იყო და იგი მტკვრის მარჯვენა სანა-
პიროზე აღარ ვრცელდებოდა.

რომ მტკვრის სამხრეთით კამბეჩოვანი არ გადადიოდა, /
ზემოთქმულის გარდა ამას კარგად მოწმობს ალვანელი სამხრეთია
რიკოსის, მოსე კალანკატუელის (VII ს.) ცნობა, რომელიც
შეეხება მის თანამედროვე ალვანეთის მთავარ ჯივანშირს.
ისტორიკოსის სიტყვით, სპარსელებთან მებრძოლი ჯივანში-
რი “სწრაფად მიბრუნდა თავისი მამეული ქვეყნის საზღვრუ-
ბიდან მტკვარგაღმა კაპიტანის მხარეში”. ჯივანშირის “მა-
მეული ქვეყანა”, ანუ უბრალოდ, მამეული, იყო გარდმანი (შამ-
ქორის ხეობაში) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. მაშასა-
დამე ალვანთა მთავარი გარდმანიდან გადასულა მტკვრის
მარცხენა სანაპიროზე, კამბეჩოვანში. აქედანაც ცხადია, რომ
კამბეჩოვანის სამხრეთი საზღვარი მდ. მტკვარზე გადიოდა
და მისი ტერიტორიის გავრცელება მტკვრის მარჯვენა მხა-
რეს მართებული არ არის. //

სტრაბონის ზემოხსენებულმა ჩვენებამ კიდევ უფრო
მცდარ დასკვნამდე მიიყვანა სომეხი მეცნიერი ა. მნაცაკანი-
ანი, თუმცა კამბეჩოვანის მდებარეობის შესახებ მას, როგორც
ჩანს, სწორი წარმოდგენა აქვს.

სომეხი მეცნიერი წერს: სტრაბონის “ამ ცნობებიდან
გამომდინარეობს, რომ იგი კამბეჩანის თემს მტკვრის ჩრდი-
ლოეთით ათავსებს, ალვანეთსა და იბერიას შორის და სრული-
ად გარკვეულად განიხილავს მას, როგორც ისტორიული
სომხეთის ნაწილს, რომელიც მტკვრის გადაღმა ვრცელდე-
ბა”. შესაბამისად ამ მეცნიერს სურს დაამკვიდროს გეოგრაფი-
ული ცნება – “მტკვრისიმიერი სომხეთი”, რომელიც უაქტო-
ბრივად კამბეჩოვანს გულისხმობს.

ა. მნაცაკანიანის ამ შეხედულებებს ჩვენ ქვემოთ კიდევ
დაუკავშირებულებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ თვით სტრაბონის
ცნობათა ანალიზი არ იძლევა საფუძველს ასეთი დასკვნი-
სათვის.

მართლაც, თუკი ჩვენ სტრაბონის პირველ ცნობას იზო-
ლირებულად განვიხილავთ, სავსებით შესაძლებელია ა. მნაცა-

კანიანისეული დასკვნა გამოვიტანოთ, რომ კამბისენე-კამბი
წოვანი სომხური თემია. მაგრამ, ჯერ ერთი, უნდა აღინიშ-
ნოს, რომ ბერძენი გეოგრაფოსის ეს ჩვენება საერთოდან
არის ზუსტი, რადგან აქედან ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ
კამბისენე მადალმთიანი “თოვლიანი თემია”, რაც, რა თქმა
უნდა, სწორი არ არის. საქმე ის არის, აქ კამბისენე “ხორზენეს
თემთან” ერთადაა მოხსენიებული, ხოლო “ხორზენე” კი
ძველქართულ ისტორიულ მხარეს, ტაოს, გულისხმობს,
რომელიც, მართლაც, მაღალმთიანი მხარეა. ამდენად, სტრა-
ბონს უნებლიერ, კონტამინაციის შედეგად შესაძლოა შეც-
დომით ტაოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი თვისებები
კამბისენეზეც გაევრცელებინა. ამ ცნობის უზუსტობა, სხვა-
თაშორის, იქიდანაც ჩანს, რომ კონტაქსტით ისე გამოდის,
თითქოს ხორზენეც და კამბისენეც ერთდროულად კოლხეთ-
საც და ივერიასაც ემიჯნებიან. ეს, რა თქმა უნდა, არ არის
სწორი, რადგან, თუკი ხორზენე-ტაო, მართლაც, ამ დროს,
შესაძლებელია, კოლხეთის სამეფოს ესაზღვრებოდა, ამის
თქმა კამბისენე-კამბერვანზე, თუკი მის ტერიტორიას დღევან-
დელი ქიზიყის იდენტურად ჩავთვლით, ყოვლად შეუძლებე-
ლია.

სწორედ ამიტომ მეორე სომები მეცნიერი, ა. ჰაკობიანი
თვლის, რომ არსებობდა ორი კამბისენე, რომელთაგან ერთ-
ერთი, კერძოდ “ალაზნისპირა კამბისენე” არასოდეს არ შე-
დიოდა სომხეთის ფარგლებში, არამედ ალვანეთს მიეკუთვნე-
ბოდა, ხოლო მეორე დაახლოებით დღევანდელ სამცხე-ჯავა-
ხეთის ტერიტორიას მოიცავდა და სწორედ ამ ტერიტორიას
უნდა გულისხმობდეს სტრაბონისეული პირველი და მეორე
ცნობები. მაგრამ რადგან მეორე ცნობაში სტრაბონთან ალ-
ვანელები არიან დასახელებული და ამ უკანასკნელთ კი
სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიასთან არაფერი საერთო არა-
სოდეს არ ჰქონიათ, ამიტომ “ალვანელების” ამ კონტაქსტში
დასახელება ბერძენი გეოგრაფოსის შეცდომაა.

ამასთან დაკავშირებით იმის თქმა შეიძლება, რომ არაფინანსურირებული ტერორისტი კამბისენე და არც ორი კამბეჩოვანი ისტორიულმა წყაროებმა არ იცის და ამდენად ა. პაკობიანის მოხაზულება სრული გაუგებრობაა. გარდა ამისა, სტრაბონის ჩვენეული მეორე ცნობა იმდენად ნიშანდობლივია, რომ აქ აღვანთა ხსენება გეოგრაფოსის შეცდომად ჩაგვეთვალა სრულიად გამორიცხულია.

ყველა ამ გაუგებრობის მიზეზი ის გახლავთ, რომ სტრაბონის ცნობათა ანალიზს ზემოხსენებული მეცნიერები კომპლექსურად არ უდგებიან და მათი შინაარსის იზოლირებულ ინტერპრეტაციას გვაძლევენ. მართლაც, მივუბრუნდეთ სტრაბონის ჩვენებებს: როდესაც იგი ამბობს, რომ მაგისტრალური გასასვლელი გზა ივერიიდან ალვანეთში “უწყლო და უსწორმასწორი კამბისენეზე” გადისო, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აქ მხოლოდ გვიანდელი ქიზიყი შეიძლება იგულისხმებოდეს. თუ ეს ასება, გამოდის დღევანდელი ქიზიყის ტერიტორია, ძველი კამბეჩოვანი, სასაზღვრო ტერიტორიაა ივერიასა და ალვანეთს შორის, რადგან “გასასვლელი” გულისხმობს საზღვარს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც გადის ორი ქვეყნის შემაერთებელი მაგისტრალი და სადაც ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს უშუალოდ ემიჯნება, გამორიცხულია მესამე ქვეყნის მფლობელობა. ანუ კამბისენე // კამბეჩოვანის იმ ტერიტორიაზე, რომლითაც ივერია და ალვანეთი ერთმანეთს უკავშირდება სომხეთს არაფერი ესაქმება. ჩვენი აზრით ეს უნდა იყოს კამბეჩოვანის იორ-ალაზანს შორისი ტერიტორია, რომელზედაც უნდა გაევლო სტრაბონისეულ გზას. სწორედ ასე ესმის ეს ცნობა მ. ბროსეს, როდესაც აღნიშნავს, რომ “სტრაბონის ალვანეთი ივერიას ესაზღვრებოდა კამბისენეს მეშვეობით ანუ დღევანდელი კამბეჩოვანით იორსა და ალაზანს შორის”. ამ გზის ზუსტი მიმართულების დადგენა, სანამ ქიზიყის დეტალური ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვა არ განხორციელებულა, ცხა-

დია, შეუძლებელია, მაგრამ ის კი თითქოს ცხადია; რომ
ალვანეთიდან მომავალი ეს მაგისტრალი ალაზნის ჭალების გადაკვეთის შემდეგ ზილიჩას, მართლაც ოღონ-ჩოდრო, ქვიან
მთიანეთს გადაკვეთდა და შემდეგ შირაქის ველის ან ელდა-
რის ველის გაყოლებით შემოდიოდა შიდა ივერიაში. არც ის
არის გამორიცხული და პირუკუ, ჩვენი აზრით, უფრო რეალუ-
რია ივერია – ალვანეთის დამაკავშირებელი მხოლოდ ერთი
გზა არ ყოფილიყო, რომელიც კამბისენებს ამ ნაწილს ჰქვეთდა.
სტრაბონს აღნიშნული აქვს მხოლოდ ის მაგისტრალი, რომ-
ლითაც, ჩანს, რომაელი ლეგიონერები სარგებლობდნენ.

ამგვარად, ძვ.წ. I ს-ში კამბისენებს ალაზან-იორს შორის
ფართო ტერიტორიაზე ერთმანეთს ემიჯნებოდნენ ივერიელები
და ალვანელები. საზღვარი სადღაც მდ. ალაზნის სულ ქვემო
დინების ახლოს უნდა გასულიყო.

მაგრამ სტრაბონის არაერთგზისი მითითებით მის დროს
კამბისენეში სომხეთის მფლობელობაც აშკარაა და საკუთრივ
სომხებიც კი სახლობენ ამ ტერიტორიაზე. ეჭვის შეტანა ამ
ცნობაში არ არის მართებული, მით უმეტეს რომ, როგორც
უკვე აღვნიშნე, ძვ.წ. I ს-ის 60-იანი წლების დამდეგისათვის
სომხეთის სამეფო ტიგრან დიდის ზეობის დროს თავისი
არსებობის მანძილზე სიძლიერის კულმინაციას აღწევს: იგი
იპყრობს ნაწილობრივ ქვემო ქართლის ტერიტორიას, სადაც
ეწ. “გუგარქის საპიტიახშოს” ანუ “ქართველთა საპიტიახ-
შოს” აარსებს; იპყრობს ალვანეთის სამეფოს მტკვრის
სამხრეთ ტერიტორიას და საზღვარი ალვანეთთან მტკვრის
ქვემო დინებაზე გადმოაქვს. არ არის გამორიცხული სომ-
ხეთს თავისი ექსპანსია, ნაწილობრივ, მტკვრის ჩრდილოეთი-
თაც განეხორციელებინა და სწორედ ამის ანარეპლი გვგო-
ნია ჩვენ სტრაბონის ის ცნობა, რომ “კამბისენე სომხეთის
უკალაზე უფრო ჩრდილოეთი თემია”. მაგრამ სტრაბონის ზე-
მოგანხილული უქალელი ცნობიდანვე გამომდინარე ცხადი
ხდება, რომ სომხებს კამბისენეს მხოლოდ ერთი ნაწილი

სტერიათ და, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, მტკვართან შიძლება/ ბარე ნაწილი, ე.ი. კამბისენე|| კამბენოვანის იორსა და მტკვართან შორისი ტერიტორია. სწორედ აქ შეიძლება ამ დროისათვის სომხური მოსახლეობის კოლონიების არხებობა ვიგულის-ხმოთ. ამას, სხვათაშორის, გვავარაუდებინებს III ს-ის დასაწყი-სის რომაელი ისტორიკოსი, დიონ კასიოსი, რომელმაც პომპეუ-სის ამიერკავკასიაში ლაშქრობა აღწერა.

დიონ კასიოსი მოგვითხრობს, რომ ალვანეთზე კოლხე-თიდან სომხეთზე გავლით გალაშქრებული პომპეუსი “გავი-და კირნოსზე (ძდ. მტკვარზე) ფეხდაფეხ, სადაც ის ადგილი გასასვლელი გახდა ზაფხულის სიცხეების გამო... მან უბრძანა გადასვლა დინების გაყოლებით ჯერ ცხენოსან ჯარს, შემ-დეგ აღალს და ბოლოს ქვეითებს, იმისთვის, რომ ცხენებს თავისი სხეულით შეეჩერებინათ დინება, ხოლო თუ აღალი-დან რამე მაინც გადატრიალდებოდა, შეხვედროდა ორივე მხრივ მიმავალ ხალხს და არ ყოფილიყო უფრო შორს წალე-ბული. აქედან კამბისამდე (ძდ. იორამდე) მას არავითარი ვნება არ შეხვედრია მოწინააღმდეგისაგან, მაგრამ დიდად შეაწუხა სიცხემ და ამის გამო წყურვილმა მთელ მის ჯარ-თან ერთად, თუმცა გზის დიდი ნაწილი დამით გაიარა; მეგ-ზურებმა, რომლებიც ტყვეთა რიცხვიდან იყვნენ, წაიყვანეს ისინი ნაკლებად მოსახერხებული გზით, თუმცა არც მდინარე აღმოჩნდა მათთვის სასიკეთო: არაჩვეულებრივად ცივმა წყალ-მა, რომელიც დიდი რაოდენობით დალიეს, ბევრს ავნო. არც აქ შეხვდათ მათ არავითარი წინააღმდეგობა და ისინი მივიდ-ნენ აბანტუმდე (ძდ. ალაზნამდე), თან მიქონდათ მხოლოდ წყალი, რადგან დანარჩენს ნებაყოფილობით ღებულობდნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რის გამოც არაფრით ავიწრო-ვებდნენ მათ”.

რომაელი ისტორიკოსის ასე ცოცხლად აღწერილი ერთი ეპიზოდი რომაელთა ამიერკავკასიაში ლაშქრობისა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციასაც შეიცავს. ჯერ ერთი ცხადი

ხდება, რომ სომხეთიდან აღსტაფის ხეობით (დღევანდველი თბილის-ერევნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მიმართულებით) მომავალი რომაული ლაშქარი, საჭლებული მტკვარზე ფონით გადასული მდინარის მარცხენა სანაპიროზე, უმაღლ ჩვენთვის უკვე ნაცნობი ბუნებრივი პირობების გარემოცვაში აღმოჩნდა: საშინელი სიცხვ, უწყლობა, მოუხერხებელი გზა. არ შეიძლება არ მოგვაგონდეს სტრაბონისული დახასიათება – “უწყლო და უსწორმასწორო კამბისენე”, ანდა ზურაბ გომბაშაბიშვილისეული ჩივილი – “ქიზიყს გახლდი, ხმელსა და უწყლოს აღაგს”.

ლაშქარი ბოლოსდაბოლოს, მიაღწევს მდინარეს, რომელსაც “კამბისი” ეწოდება. მდ კამბისი, რომ იგივე მდ. იორია, ეს ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში გერმანელმა მეცნიერმა ი. მარკვარტმა აღნიშნა. ბუნებრივია თუ ამა თუ იმ მხარის სახელწოდება და მასზე გამავალი მთავარი მდინარის სახელდება ურთიერთდაკავშირებულია.

მაგრამ ამ ცნობაში ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს ის ფაქტი, რომ ალვანელების წინააღმდეგ გალაშქრებულ რომაელთა ლაშქარს აღგილობრივი მოსახლეობა “ნებაყოფილობით” ამარაგებდა სურსათ-სანოვაგით. საკითხავია: თუკი ეს “აღგილობრივი მაცხოვრებელნი” ალვანელები იყვნენ, მაშინ რატომდა დაეხმარებოდნენ მათ წინააღმდეგ წამოსულ ლაშქარს? ბუნებრივი ჩანს, ვივარაუდოთ რომ ეს აღგილობრივი მოსახლეობა ალვანური არ იყო და ამდენადვე ბუნებრივია ვარაუდი, რომ პომპეუსის ლაშქრობის მარშრუტის გაყოლებით კამბისენე|| კამბეზოვანის მონაკვეთზე მოსახლეობა სომხური ყოფილიყო.

ამგვარად, სწორი უნდა იყოს სტრაბონი, როდესაც აღნიშნავს, რომ კამბისენეში “სომხები ერთდროულად ემიჯნებიან ივერიელებსაც და ალვანელებსაც”.

რაც შეეხება ბერძენი გეოგრაფოსის იმ ცნობას, რომ “კამბისენე სომხეთის ყველაზე ჩრდილოეთი თემია”, სწორია

და იგი ეხება სომხეთის კუთვნილ კამბისენეს ნაწილს არსებითად კამბეჩოვანის იორ-მტკვრის შორის სივრცეს არსებითად კამბეჩოვანის იორ-მტკვრის შორის სივრცეს

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ძვ.წ. I ს-ში კამბეჩოვანის თემი სამი ამიერკავკასიული სახელმწიფოს პოლიტიკური და ეთნიკური საზღვრების ურთიერთგადაკვეთის ზონა იყო და იმ დროს აქ იხლართებოდა ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესები. ამის მიზეზი მხოლოდ ამ თემის გეოგრაფიული მდებარეობა და ამდენად სტრატეგიული მნიშვნელობა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მისი ეკონომიკური პოტენციალიც, კერძოდ ის, რომ კამბეჩოვანს მიწათმოქმედების ხელსაყრელი პირობების გარდა (განსაკუთრებით მის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში, რომელიც ამ დროს უეჭველია ივერიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით), ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობისათვის, კერძოდ კი – მეცხვარეობისათვის: კამბეჩოვანი, რომლის “შიგნით მინდორნი” და “ვაკენი” შესანიშნავ საზამთრო საძოვრებს წარმოადგენდნენ, ამ თვალსაზრისითაც მეტად სახარბიელო და საჭირო უნდა ყოფილიყო სამივე ამიერკავკასიური სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. გარდა ამისა, როგორც ვიცით, კამბეჩოვანზე გადიოდა უკვე ძვ.წ. I საუკუნეში არაერთი მაგისტრალური სამხედრო და სავაჭრო გზა, რომლის დაუფლებაც ასევე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ივერიისათვის ისე სომხეთისა და ალვანეთისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ეს მაგისტრალები მხოლოდ ივერია-ალვანეთს კი არ აკავშირებდა, არამედ სომხეთ-ალვანეთსაც (ამდენადვე – ივერია-სომხეთსაც!) და სწორედ ამით განისაზღვრებოდა კამბისენე-კამბეჩოვანის სტრატეგიული მნიშვნელობაც.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის ავტორიცაა ზემოთ უკვე მოხსენიებული აზერბაიჯანელი მეცნიერი ი. ალიევი, რომ სტრაბონის დროს კამბისენეს მოსახლეობას შეადგენდნენ მომთაბარული ერანულ-

ენოვანი ტომები. არავითარი საამისო საბუთები არ არსებოდს, ხოლო ამის საწინააღმდეგოდ კი ისიც საკმარისია მოვიგონოთ სტრაბონის არაერთგზის უკვე დამოწმებული ცნობა, რომ მისი დროისათვის კამბისენჯ-კამბეჩოვანში მოსახლეობენ არა ურანულებენოვანი ტომები, არამედ მკვიდრი ქართული, ალვანური და სომხური მოსახლეობა. რომ ამ ტერიტორიაზე არავითარი მომთაბარეები არ ცხოვრობდნენ, ამას დიონ კასიუსის ზემომოტანილი ცნობაც აშკარად მოწმობს.

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ქართულ-ალვანურ-სომხური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შეჯახება კამბეჩოვანის ტერიტორიაზე შემთხვევითი მოვლენა არ არის. ვნახავთ, რომ ეს თემი ხშირად გადადიოდა მომდევნო საუკუნეებში და ადრეულ შუასაუკუნეებშიც, ასე ვთქვათ, ხელიდან ხელში და მას ხან ქართული სახელმწიფო ეუფლებოდა, ხან კი – ალვანური. მიმდინარეობდა კულტურული ქიშკობაც კამბეჩოვანის მოსახლეობის დაუფლებისათვის ქართველ, სომები და ალვანელ საეკლესიო მოღვაწეებს შორის. და რადგან ასეთი ვითარების მინიშნებას ჩვენ უკვე სტრაბონთან ვადასტურებთ, ამდენად გვაქვს უფლება ამ პროცესის დასაწყისი კიდევ უფრო შორს საუკუნეთა სიღრმეში გადავიტანოთ. თანაც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი თანდათანობით, მაგრამ განუხერელად ქართველთა უპირატესობის ტენდენციით ხასიათდება. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ კამბეჩოვანს ან ივერია-ალვანეთის ურთიერთობას არ შეეხება. ასეთივე ვითარება უძველესი დროიდანვე შეიმჩნევა ქართლის სამეფოს სამხრეთ პროვინციებშიც, სომხეთან ლიმიტროფულ ტერიტორიებზე, კერძოდ, გოგარენეს (ქვემო ქართლი) და ხორზენეს (ტაო) პროვინციებში. აქაც ეს ხანგრძლივი და მძიმე პოლიტიკურ-კულტურული პროცესები, საბოლოო ჯამში, ქართველების უპირატესობით წარიმართა და სომხების პოლიტიკური და კულტურული ექსპანსია, საბოლოოდ (IX ს-ში

ტაოში და XI ს-ში ქვემო ქართლში) შეჩერებულ იქნა: “ქართველობა” აღსდგა ძველისძველ პოლიტიკურ და ეთნო-კურ საზღვრებში – ჭოროხ-ევფრატისა და მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ მიჯნამდე. ასევე, საბოლოოდ X ს-ში დასრულდა ზემოხსენებული დიდი კულტურული პროცესის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ძველი ივერიის სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე (იხ. ქვემოთ).

ის გარემოება, რომ უძველესი ხანებიდანვე და ვიდრე ადრეფეოდალური პერიოდის დასასრულამდე კამბეზოვანი ისევე, როგორც დღევანდელი კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი საერთოდ, ხან ქართული და ხან ალგანური სახელმწიფოების მფლობელობაში ხვდებოდა კარგად იცოდნენ ძველმა ქართველმა მემატიანებმაც, კერძოდ, ლეონტი მროველმა, რომელიც უძველესი პერიოდისათვის კამბეზოვანის ტერიტორიას “ჰერეთში” ათავსებს. ჰერეთი კი მისი ეთნოლოგიური კონცეფციით არ შედიოდა ქართლის სამეფოში, ხოლო ჰერები არ მიეკუთვნებოდნენ ქართველ ტომებს. სწორედ ის ფაქტი, რომ თვით ლეონტი მროველის დროს (XI ს.) ჰერეთი პირ-წმინდა ქართული თემი იყო, ხოლო ჰერები თავანკარა ქართველები, რაც ლეონტიმ ცხადია ჩვენზე უკეთ იცოდა, მის ზემოხსენებულ კონცეფციას ფრიად საყურადღებოს ხდის და სერიოზული განსჯის საგნად აქცევს.

ლეონტისათვის ჰეროსი (ჰერების ეპონიმი) ქართლოსის ანუ ქართველთა მამამთავრის ძმა ისევე, როგორც პაოსისა (სომებთა ეპონიმი) ან ლეკანისა (ლეკთა ეპონიმი) და სხვათა. ამ ძმათა მამამ, თარგამოსმა, როგორც ცნობილია, შვილებს დაუნაწილა მთელი კაგკასია და “ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკუარისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვან გულბულა, და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზნანთასა და უწოდა სახელი თვესი ჰერეთი. და მის გამო ჰქვან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქვან



ხორანთა”.

მცირე ალაზანი იგივე მდ. იორია. წულგულა თუ კადა მცირე ალაზანი წყალზე მდებარე სოფელია, ხოლო ქალაქი პერეთი ანუ ლეონტის დროინდელი ხორანთა, როგორც უკვე ვიცით, იორალაზნის შესართავს შორის მდებარეობს. ვახუშტი ბატონიშვილთან შემონახული გადმოცემის მიხედვით, “ხოლო ნაგებს (ე.ი. რუსთავს, დ.მ.) ქვეითი პერეთისა არს და აწ უწოდებენ ყარაიას, და გარეჯის მთას მასვე ძველ სახელს”. ამ ორიენტირების გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ როგორც შიგნით კახეთის, ასევე გაღმა მხრის დიდი ნაწილი ალაზნის ველზე და ყარაია-გარეჯის უდაბნოები იორ-მტკვარს შორის ვიდრე მტკვარ-ალაზნის შესართავამდე ლეონტის მიხედვით თავდაპირველად პერეთი იყო და ცხადია, რომ კამბეჩოვანიც მის მიერ პერეთშია ნაგულისხმევი.

უნდა ადვნიშნოთ, რომ ამდროინდელ წყაროებში ტერმინს “პერეთი” სამი სხვადასხვა მნიშვნელობა პქონდა. ზემოხსენებულ ფარგლებში (ლეონტი მროველის ცნობა) “პერეთი”, ასე ვთქვათ, ვიწრო მნიშვნელობით იხმარება ანუ ეს არის ქვეყანა, რომელიც რამოდენიმე თემს მოიცავს: კამბეჩოვანს, სუჯეთს (მდ. იორის შუაწელი, კამბეჩოვანის დასავლეთით), ლოპოტის ხევს (ალაზნის ზემო წელის მარცხენა შენაკადი), ველისციხეს, და, ბოლოს, საკუთრივ პერეთს – ველისციხისა და კამბეჩონის ჩრდილოეთი ტერიტორია: ალაზნის გაღმამხარი, საინგილო.

წყაროებში შემოინახა აგრეთვე პერეთის მესამე, ფართო მნიშვნელობა, რომელიც ძველი ალვანეთის ფარდად გამოიყენება. და ეს სწორედ იმიტომ, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმდროინდელი ავტორისათვის პერეთი ვიწრო მნიშვნელობით, და ე.ი. კამბეჩოვანის ჩათვლით, ძველად არ შედიოდა ქართლის ცნებაში, ხოლო პერები ალვანურ ტომთა კაჭშირის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ.

ქართული წყაროების მიხედვით უკვე ძალიან ადრე ჩანს

სახელმწიფოს ხელისუფალთა საქმიანობა აღმოსავლეთის/პერიფერიაზე. კერძოდ, უკვე მეოთხე მეცე ფარნავაზონია დინასტიიდან, ფარნაჯომი, რომლის ზეობის წლებსაც ვანუშტი ბატონიშვილი ძვ.წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე სდებს, იწყებს “შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისასა, რომელ არს ნეკრესი”. ხოლო მეფე არშაქმა (ვახუშტით ძვ.წ. I ს-ის მიწურული) “ამან განაშორა ნელქარ ქალაქი კახეთისა” ე.ი. არშაქს დაუმთავრებია ქალაქის მშენებლობა. ნელქარი ანუ ნეკრესი, რომელიც აწინდელ შილდასთან მდებარეობდა და რომლის გათხრებიც ამ რამოდენიმე წლის წინ წამოიწყო ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, საქმაოდ დაშორებულია იმ საზღვარს კახეთ-ჰერეთისას, რომელიც ლეონტი მროველის მიხედვითაა საგულისხმო. მისი მიხედვით ნეკრესი პერეთში უნდა ყოფილიყო და კახეთს რომ ამბობს აქ ლეონტი, შესაძლებელია იმას მოწმობდეს, რომ გაღმამხრის ეს ნაწილი ადრევე იქნა შემოერთებული ივერიის მიერ.

საინტერესოა, შეიძლება თუ არა ვენდოთ ჩვენი წყაროების ამ ცნობებს და ე.ი. დავადგინოთ ჩვენ წელთაღრიცხვამდე გაცილებით უფრო ადრე დაწყებული პროცესი ქართლის ალვანეთთან შერწყმისა. საინტერესოა აგრეთვე ასეთი ტენდენცია თუ ვლინდება საკუთრივ კამბეჩოვანის მიმართ და თუკი ვლინდება – როდინდლიდან.

ვიდრე ამაზე პასუხს გავცემდეთ, უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე დასტურდება და რომელიც ახასიათებს ივერიისა და ალვანეთის ანუ ქართლისა და პერეთის პოლიტიკურ ურთიერთობებს.

ქართლის სამეფოს პოლიტიკურ კურსს თან სდევდა, უფრო სწორად კი, როგორც ჩანს, წინ უსწრებდა და აპირობებდა ქართული ეთნიკური ელემენტის ინტენსიური მშვიდობიანი ინფილტრაცია ალვანეთის ტერიტორიაზე (პერეთში

და, ხაშუილობრივ, რანშიც, – ალგანეთის მტკვრის სამხრეთი ტერიტორია), რასაც, ცხადია, თავის მხრივ უნდა გამოიწვიო ქართული კულტურის მძღვანელი ნაკადის დენა იმავე შიმართულებით. ქართული ეთნიკური ელემენტის ინფილტრაცია, ძირითადად, ხდებოდა მეზობელი ოლქებიდან (კახეთი, კუხეთი) და აგრეთვე მთიანეთიდან, “კახეთის მთეულეთიდან”.

ეს რომ სრულიად რეალური ამბავია ამას მოწმობს დღევანდელი ტოპონიმიკა: ის გარემოება, რომ არაგვისა თუ ივრის ხეობაში (ან შიდა ქართლში) და ჭველი ჰერეთის ტერიტორიაზე ერთი და იგივე სახელწოდების სოფლები გვხვდება, ხოლო ხშირად ჰერეთის ტერიტორიაზე დამოწმებული სახელწოდებანი სადაურობის სუფიქსითაა წარმოდგენილი – იმის უეჭველი საბუთია, რომ ძველი მოსახლეობის მიგრაცია ხდებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამ ფაქტს პირველად ყურადღება აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია.

ასეთი სახელწოდებანია:

ბუშატი – ივრის ხეობაში (დღ. ორხევი).

ბუშატი – წინანდალთან.

ყვარა – ნახოვლარი ივრის ხეობის სათავეებში.

ყვარელი – კახეთის გაღმა მხარში.

გომერარი – სოფ. ფშავეში და თემი თუშეთში.

გომერელი – სოფ. გაღმამხარში.

ხორხი – არაგვის ხეობაში.

ხორხელი – შიგნით კახეთში და ა.შ.

ჩვენთვის პირველ რიგში საინტერესოა ქიზიუის, ძველი კამბეჩოვანის ტერიტორიაზე თუ გვაქვს დამოწმებული მხგავსი ვითარება. როგორც ირკვევა არც ეს ტერიტორია ყოფილა გამონაკლისი:

ყოდანთო – ქიზიუში (ვახუშტი).

ყოდანთო – შიგნით კახეთში (ვახუშტი).

მაჩხაანი – ქიზიუში.

მაჩხაანი – ქართლში (დიღმის ხეობაში).

ჭოტორი – ქიზიუში (ვახუშტი).

ჭოტორი – გარე კახეთში (ვახუშტი).

ბედიყარი – ქიზიუში (ვახუშტი).

ბედიყარი – შიგნით კახეთში (ვახუშტი).

ბოდი (ბოდბე) – ქიზიუში (“ქც~ა”, “მოქცევად ქართლისად”).

ბოდავი – არაგვის ხეობაში.

მაღაროსკარი – ფშავში.

მაღარო – ქიზიუში.

როდინდელია ყველა ეს ტოპონიმი? ანუ როდის არის მომხდარი მიგრაცია ქიზიუში?

ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ზემოხსენებული ქიზიური ტოპონიმი უკვე ვახუშტი ბაგრატიონთან გვაქვს დამოწმებული და ამდენად ისინი, უეჭველია, XVIII ს-ზე ძველად წარმოქმნილან.

არსებობს დოკუმენტი, რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ სოფ. მაღარო (ისევე როგორც ყვარელი) XV ს-შია წარმოქმნილი სწორედ მთიანეთიდან (კერძოდ, ფშავიდან) მიგრაციის შედეგად. გარდა ამისა ბოდი-ბოდინი-ბოდბე მოიხსენიება არა მარტო ლეონტი მროველთან (XI ს.), არამედ “მოქცევად ქართლისად”-ში (IX ს.), ასეთ მიგრაციულ ტალღას, არა მხოლოდ ამ დროისათვის უკვე განხორციელებულად გვავარაუდებინებს, არამედ გვაფიქრებინებს, რომ ეს მიგრაცია არაგვის ხეობიდან IV ს-მდე უნდა მომხდარიყო: იმდენად ნიშანდობლივია წყაროს ცნობები წმინდა ნინოს ცხოვრების ბოლო წლებთან დაკავშირებით, რომ უეჭველი ხდება ამ ტოპონიმის არსებობაც ამ საუკუნეში (იხ. ქვემოთ).

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მოსახლეობის მიგრაცია ივერიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან კამბეჩოვანში მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში რეალურია და, ცხადია, მოწმობს ამ პროცესის, როგორც, შეიძლება ითქვას, მუდმივ, პერმანენტულ ხასიათს, ასევე მის დიდ სიძველეს.

მართლაც, ამ უკანასკნელის ანუ ქართველი მოსახლეობის აღმოსავლეთის პროვინციებში მიგრაციის დიდ სიძლეებს წვენი აზრით, ბოლოს და ბოლოს, ადასტურებს ბერძნებს გეოგრაფოსის, სტრაბონის ზემოთ უკვე აღნიშნული ცნობაც, რომელსაც ერთხელ კიდევ მოვიტანთ: “სომხეთი ნაწილობრივ წარმოადგენს ველს, ნაწილობრივ კი მთიანი მხარეა, როგორც, მაგალითად, კამბისენე, სადაც სომხები ერთდროულად ემიჯნებიან ივერიელებსაც და ალვანელებსაც”. სტრაბონის ეს ცნობა სწორედ იმითაა შესანიშნავი, რომ იგი აქ აღნიშნავს არა პოლიტიკურ საზღვარს, უფრო სწორად, არა მხოლოდ პოლიტიკურ საზღვარს ივერიისას, არამედ მაინცადამაინც ივერიელთა ეთნიკურ საზღვარს, რომლის მიხედვითაც, თუკი ჩვენ გავიზიარებთ ზემომოგანილ მოსაზრებას, რომ კამბისენე-კამბეჩოვანის ოორ-მტკვარს შორისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ძვ.წ. I საუკუნეები სომხებით იყო დასახლებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველებს ეჭირათ კამბეჩოვანის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია და, კერძოდ, მეტ-ნაკლებად კომპაქტურ მასად იყვნენ განსახლებულნი იორ-ალაზნის შორის ტერიტორიაზე.

რომ ამ დროსაც მიმდინარეობდა ინტენსიური დემოგრაფიული პროცესები, ამის მოწმობად მიგვაჩნია ცნობილი რომაელი ისტორიკოსის და ენციკლოპედისტის პლინიუსის (ახ.წ. I ს.) შემდეგი ჩვენება: “მთელი ველი, დაწყებული მდ. კიროსიდან (ე.ი. მტკვრიდან) დასახლებულია ალვანელების ტომით, შემდეგ – ივერიელებით, რომლებიც პირველთაგან გამოყოფილნი არიან მდ. ალაზანით”. ისტორიულ-გეოგრაფიული კონტექსტი ამ ცნობისა, თუკი გავიხსენებთ ყველაფერ ზემოთქმულს სტრაბონის ცნობებთან დაკავშირებით, ისეთია, რომ ეჭვი არ არის აქ ალაზნის სულ ქვემო დინებაზეა საუბარი (მოსაბრუნიდან მტკვრამდე) და ე.ი. ივერია-ალვანეთის საზღვარი ამ მონაკვეთზე სწორედ ალაზნის ქვემო წელზე გადიოდა. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ იმავე ავტორს

მეორეგან აღნიშნული აქვს, რომ საზღვარი ივერიას
სომხეთს შორის მდ. კიროსზე ანუ მტკვარზე გადიფლია
სწორედ კამბენოვანის ზონა უნდა იგულისხმებოდეს, რად
გან პლინიუსითვე ქვემო ქართლი (თრიალეთი, ტაშირი) ივერი-
ის სამეფოს ფარგლებშია და ამდენად ქართლის ტერიტო-
რიაზე საზღვრის დადება სომხეთთან მტკვარზე სრულიად
გამორიცხულია.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს რომ, პლინიუსის დროს
მთელი კამბენოვანი, ალაზან-მტკვარს შორისი ტერიტორია
ქართლის სამეფოში იგულისხმება. ეს ასეა, მაგრამ მთავარი
მაინც ის არის, რომ, სტრაბონისა არ იყოს, პლინიუსიც,
როგორც მისი ზემომოტანილი ცნობის კონტექსტიდან ჩანს,
არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ეთნიკურ საზღვარზე
საუბრობს ივერიელებსა და ალვანელებს შორის და ამდენად
ცხადი ხდება, რომ დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ
პომპეუსის ლაშქრობიდან ამ საზღვარს აღმოსავლეთისკენ
გადაუწევია. ვფიქრობთ, ეს არის უძველესი პირდაპირი მოწმო-
ბა ივერიელების აღმოსავლეთისკენ ინფილტრაციის პროცესი-
სა, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდით.

როგორც უკვე აღნიშნავდით, მართალია საამისოდ მეტად
მწირი ცნობები გაგვაჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პოლი-
ტიკური და ეთნიკური პროცესები, რომლებიც ამიერკავკასიის
სამი სახელმწიფოს, ივერიის, ალვანეთისა და სომხეთის
ურთიერთმომიჯნავე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა რთული
და ცვალებადი იყო და, თუმცა კი, როგორც ქვემოთ დავრწმუნ-
დებით, საბოლოო ჯამში, ეს მრავალსაუკუნოვანი ურთიერ-
თობა ქართველთა უპირატესობის ტენდენციით ხასიათდე-
ბოდა, მაინც პოლიტიკური სიტუაცია ამ ზონაში ადრეულ
საუკუნეებში ხშირად იცვლებოდა.

ასე მაგალითად, თუკი ა.წ. I ს-ის 50-60-იან წლებში,
როგორც ეს პლინიუსის ჩვენების მიხედვით უნდა ვიგულის-
ხმოთ, კამბენოვანი, მნიშვნელოვანწილად ქართველებით და-

სახლებული, მთლიანად ივერიის სახელმწიფოში შემოდის, უფრო გვიან, დაახლოებით I-II საუკუნეების მიჯნაზე პოლონე ტიპური ვითარება შეცვლილი ჩანს.

ასეთი ვარაუდის საფუძველს “ქართლის ცხოვრების” ერთი ცნობა გვაძლევს, რომელიც ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ უკვე განვიხილეთ. მხედველობაში გვაქვს ლეონტი მროველის მიერ მოთხრობილი ბრძოლის ეპიზოდი ქართველებსა და სომხებს შორის აზორკისა და არმაზელის ქართლში მეფობის დროს. როგორც ვიცით, სომხეთის ტერიტორიის მორბევის შემდეგ “ესე ყოველი ჩრდილონი განსრულ იყვნეს მტკუარსა და მისრულ იყვნეს კამბეზოანს, და დაებანაკათ იორსა ზედა, და განიყოფდეს ტყუესა და ნატყუენავსა.” სომებთა მხედართმთავარი სუმბატ ბივრიტიანი წამოეწია მათ, დადგა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე და მოითხოვა ტყვების დაბრუნება. უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ “მაშინ სუმბატ ბივრიტიანმან განვლო მტკუარი... და უფროვსად განბოროტნეს და შეკრბეს ყოველნი სპასალარობასა ქეეშე არზოკ და არმაზაელისსა, ქართველთა მეფეთასა, და ყოველნი მიეტევნეს სუმბატს და სპათა სომხითისათა. მაშინ იქმნა ბრძოლა დიდძალი მათ შორის... მაშინ იძლია ბანაკი ჩრდილოვსა სომებთაგან, მეოტ იქმნეს და დაიფანჩნეს ყოველნივე... მაშინ სუმბატ გამარჯვებული შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქართლი”...

ჩვენ რომ სწორად გავიგოთ ზემომოტანილი ცნობის ისტორიულ-გეოგრაფიული კონტექსტი, უნდა გავითვალისწინოთ ერთი ვითარება: ლეონტი მროველი, გამომდინარე თავისი ეთნოლოგიური კონცეფციიდან, რომ ქართლოსი და პეროსი ძმები არიან, მთელი თავისი თხზულების მანძილზე ქართლსა და პერეთს თანასწორ ერთეულებად სახავს. მოვიტანთ ერთ მაგალითს: “მირიან მეფემან, – წერს ლეონტი მროველი, – განამტკიცა ყოველი ქართლი და ერეთი სარწმუნოებასა ზედა”. აქ როგორც ვხედავთ, ქართლი და პერეთი ერთი კატეგორი-

ის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ერთეულებად იგულისხმება, რაც ჩანს კონტექსტიდან: ქართლში აქ იგულისხმება ამდენად “პერეთი” არის ის, რაც ჯერ არ არის “ივერია”. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ასეთი დაპირისპირება.

ამიტომ ზემომოტანილ ლეონტისეულ ცნობაში აზორკ და არმაზელთან დაკავშირებით, როდესაც მემატიანე წერს, რომ კამბეჩოვანში გამართული ბრძოლის შემდეგ “სუმბატ გამარჯვებული შემოვიდა ქართლად”, ბუნებრივია იგულისხმება, რომ კამბეჩოვანი (ან მისი ყოველ შემთხვევაში იორმტკვარს შორისი ნაწილი) ამ დროს აღარ შემოდის ქართლის სახელმწიფოში.

ახ.წ. II ს-ის 60-იანი წლებისათვის ჩვენ კვლავ გვეძლევა საშუალება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. სახელგანთქმული ალექსანდრიელი გეოგრაფოსი, კლავდიოს პტოლემაიოსი მოგვითხრობს: “ქალაქები და სოფლები ალბანიაში შემდეგია: იბერიასა და მდინარეს შორის, რომელიც გამომდინარეობს კავკასიიდან და უერთდება კიროსს, რომელიც მიედინება მთელ იბერიაზე და ალბანეთზე, გამოჰყოფს რა მათგან არმენიას”, და შემდეგ ჩამოთვლის ამ ქალაქებს, რომელთა იდენტიფიკაცია, ჯერჯერობით მაინც, შეუძლებელია. კომენტატორების აზრით, პტოლემაიოსის მიერ მითითებული ეს უსახელო მდინარე უნდა იყოს ალაზანი. მაგრამ ჩვენ გვვინია, რომ ეს შეცდომაა. საქმე ის არის, პტოლემაიოსი იცნობს ალვანეთში მდ. ალბანოსს, რომელიც ასევე კავკასიონის მთიანეთიდან გამოდის. სწორედ ეს მდ. ალბანოსი უნდა იყოს იგივე ალაზანი, რასაც ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ ასეთი სახელწოდებით ალაზანს, როგორც უკვე ვიცით, სომხური “გეოგრაფია” (“აშხარაცუიცი”) იცნობს.

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ეს უსახელო მდინარე პტოლემაიოსისა უნდა იყოს ალაზნის მარცხენა შენაკადი მდ. აგრი-

ჩაი, რომელიც ალექსანდრიელ გეოგრაფოსს ალაზნის ქვედა
დინებიანად ერთ მდინარედ წარმოუდგენია.



ამას შესაძლებელია ისიც მოწმობდეს, რომ იჯოროსხ
და ამ უსახელო მდინარეს შორის მოთავსებულ ქალაქების
რიცხვში პტოლემაიოსი “ნიგა”-ს ასახელებს, რომელიც შესა-
ძლებელია გვიანდელ “ნუხა”-ს უდრის. და თუ ეს ასეა, მაშინ
უნდა ვიფიქროთ, პტოლემაიოსი ამ მონაკვეთში გულისხმობს
ალვანეთის იმ ტერიტორიის დასახლებულ პუნქტებს, რომ-
ლებიც საკუთრივ პერეთის ანუ სომხური წყაროების “ეხნი”
(“ხენი”) და “ბებ”-ის კანტონების ფარგლებს მოიცავდნენ.

მაგრამ პტოლემაიოსის მიხედვით ალბანეთშია ქალაქი
ტელაიბა, რომელიც კომენტატორების აზრით გვიანდელი
(და დღევანდელი) თელავია. თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია,
უნდა ვივარაუდოთ, რომ არამცუუ კამბისენეგვე კამბეჩოვანი,
არამედ შიგნით კახეთის დიდი ნაწილიც პოლიტიკური თვალ-
საზრისით ალვანეთს უნდა მიეკუთვნოს.

მე ხაზს ვუსვამ, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო პოლი-
ტიკური თვალსაზრისით, თორემ მოსახლეობის მიხედვით
აქ, რა თქმა უნდა, ქართული მოსახლეობაა, რაზედაც ეჭვს
არ გვიტოვებს სტრაბონისა და პლინიუსის ჩვენთვის უკვე
ცნობილი მონაცემები. რომ თვით პტოლემაიოსის დროსაც
ასეთივე ვითარებაა, ამას უცილობლად მოწმობს მის მიერ
“თელავის” დასახლება. ეს ტოპონიმი კი უცილობლად ქართუ-
ლია. ასეთი ტიპის ტოპონიმები ბევრია აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს ტერიტორიაზე (ბოდავი, ზანავი, მოლავი, ფიტავი...).
“თელავი” ნიშნავს თელების ადგილს, თელიანს.

არც ის არის ნათელი, პტოლემაიოსის ჩვენება მის თანა-
მედროვე ვითარებას ასახავს თუ არა, რადგან ცნობილია,
რომ მისი თხზულება წარმოადგენს მისთვის ცნობილი ან-
ტიკური ხანის გეოგრაფიული ცოდნის კომპენდიუმს, რომელ-
შიც არა ერთი მისი წინამორბედი მწერლის ჩვენებაცაა ჩართუ-
ლი. მაგრამ მისი ცნობები სწორიც რომ იყოს, ეს არ იძლევა

საფუძველს უარვეოთ პლინიუსის ჩვენებანი, რომლებიც რომელი მხედართმთავართა რელაციებზე და კავკასიის აბორიუს თა ანუ სიტუაციაში კარგად გარკვეულ პირთა მონათხოვბება დაფუძნებული.

საქმე ის არის, რომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელზედაც ზემოთ გაკვრით მივუთითეთ და რომელიც, ბუნებრივია, თან სდევდა ქართლ-კერეთის ურთიერთობის ზემოადნიშნულ ტენდენციას: ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ივერია-ალვანეთის პოლიტიკური ურთიერთობანი სწორხაზოვნად ვითარდებოდა ისეთ ლიმიტრით ულ ტერიტორიაზე, როგორც ჰერეთი და, კერძოდ, კამბეზოვანი იყო. მთელი ეს პროცესი ცვალებადობით ხასიათდებოდა და უკუქცევისა და მიძალების პერიოდულობის მონაცვლეობით იყო აღნიშნული, რაც განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკური მდგრამარეობით იყო გაპირობებული. ასე, მაგალითად, პლინიუსის ცნობა ივერიის აღმოსავლეთი საზღვრის შესახებ მდ. ალაზნის ქვემო დინების გასწვრივ და მისი ჩვენებული ინტერპრეტაცია კამბისენე||კამბეზოვანის პოლიტიკური სტატუსის შესახებ, იმითაც მართლდება, რომ ა.წ. I ს-ში ქართლის სამეფო აღმავლობას განიცდის და, როგორც ეს საყოველთაოდაა ცნობილი, დიდ პოლიტიკურ სიძლიერეს აღწევს. რაც შეეხდა სტრაბონის ცნობას იგივე კამბისენეს შესახებ, ესვც სავსებით რეალური უნდა იყოს იმიტომ, რომ ძვ.წ. I ს-ის 60-იან წლებში ივერია არ წარმოადგენს ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს და, პირუე, ამ დროს სწორედ სომხეთის სამეფოს ძლიერება აღწევს კულმინაციურ წერტილს და ა.შ. ამაზე ქვემოთაც დავრწმუნდებით. ამიტომ, თუკი ჩვენ ალვანეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ გავლენას ვნახავთ იქ, სადაც ერთი საუკუნის წინ ივერიელებით დასახლებულ ტერიტორიას ვადასტურებთ, ეს ჩვენ მხოლოდ ჩვეულებრივ ამბად უნდა მივიჩიოთ. მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ მიძალება-

უპარევის ცვალებად პროცესში, რომელიც საუკუნეების/განმავლობაში ვითარდებოდა, ქართული ტომების უძლიერეს/სობა თანდათან და განუხრელად მედავნდებოდა, რამაც, როგორც ვნახავთ, საბოლოო ჯამში თავისი შედეგი გამოიღო.

ცნობებს გვიანდელი ქიზიების, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის ძველი ისტორიის შესახებ ჩვენ კვლავ ვხვდებით ძველქართულ წყაროებში IV საუკუნისათვის.

ცნობილია, რომ აღნიშნული საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის სამეფოში კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა კაპადოკიიდან მოსული ქრისტიანი მისიონერი ქალი, წმინდა ნინო. როგორც ჩანს, სოციალური და კულტურული ნიადაგი ქართველ საზოგადოებაში იმ დროისათვის უკვე იმდენად იყო შემზადებული, რომ ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგებას დიდი წარმატება ხვდა და იგი ქართლის სამეფოში 337 წლის ახლო ოფიციალურ კულტად, სახელმწიფო რელიგიად იქნა გამოცხადებული.

სოციალური და კულტურული სათანადო ფონის გარდა, საქართველოს ისტორიაში ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენას დრმა პოლიტიკური საფუძვლებიც ჰქონდა. საქმე ის გახლავთ, რომ დაწყებული ა.შ. 14 წლიდან, როგორც ივერიამ, ქართლის სამეფომ, რომის იმპერიის მეგობრის სტატუსი მიიღო, მის მესვეურებს დასავლური ორიენტაციისათვის ზურგი აღარ შეუბრუნებიათ და ამიერიდან საქართველოს დიდი პოლიტიკის ვექტორი, ფაქტობრივად, დასავლეთისკენ იყო მიმართული. ამიერიდან აშკარად გამოიკვეთა ქართლის მეფეთა ე.ი. ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკური კურსის არსებითი მახასიათებელი – კულტურული ორიენტაცია დასავლეთისკენ. აი ამ კულტურულ და პოლიტიკურ ორიენტაციას მყარი იდეოლოგიური საურდენი მიეცა IV ს-ის დასაწყისში, როგორც საქართველომ (ქართლისა და უგრისის სამეფოებმა) სასანური ერანის მცდელობის საწინააღმდეგოდ, აქ ცეცხლთაყვანისმცემლობა დაუ-

ნერგა, რომის იმპერიასთან თითქმის ერთდროულად სახელ-
მწიფოებრივ რელიგიად ქრისტიანობა აღიარა.

სწორედ ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით
ძველქართულ მატიანეგებში ვხვდებით ჩვენი თვალსაზრისით
საინტერესო ზოგიერთ ფაქტს.

მას შემდეგ, რაც ქართლის სამეფო კარმა მირიან მეფისა
და ნანა დედოფლის თაოსნობით ქრისტეს მოძღვრება იწამა,
გადაწყდა მთელი ხალხის მოქცევა.

ჩვენი თვალსაზრისით საინტერესოა ის გზა, რომელსაც
გადის წმინდა ნინო სხვადასხვა წარმართ ქართველ ტომთა
ქრისტიანობაზე მოსაქცევად.

მცხეთიდან წმინდა ნინო “წარვიდა და დადგა წობენს
და მოუწოდა მთიელთა: ჭართალელთა და ფხოველთა და
წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოება”. შემდეგ “გარდავიდა
ერწულ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს და ნათელსცა
ერწულ-თიანელთა”... ამის შემდეგ ნინო “შთავიდა ქხოეთა (ვარი-
ანტი: კაუხეთად ე.ი. კუხეთში, დ.მ.) და დადგა კაწარეთს და
მონათლნა კხოელნი (ვარიანტი: კაოხნი ე.ი. კუხნი, დ.მ.) და
სოჯნი (ვარიანტი: სუჯნი, დ.მ.) ერთითურთ მათით. და გარ-
დავიდა კახეთა (ვარიანტი: დიდად კახეთად, დ.მ.) და დადგა
ქცელ (ვარიანტი: ქველ, დ.მ.) დაბას და მოიყვანნა კაცნი
მთავარნი და მონათლნა. და დასხეულდა და წარმოემართა
მცხეთად და ვითა მოიწია კხოეთას (ვარიანტი: კოხეთად,
დ.მ.), დაბასა რომელსა პრქვან ბოდინი (ვარიანტი: ბოდისი,
დ.მ.), ვერდარა ეძლო სლვად”.

განგებ მოვიტანეთ დაწვრილებითი ამონაწერი, რადგან
გვაინტერესებს ნინოს ზუსტი მარშრუტის დადგენა: წობენი-
დან, რომელიც არაგვის ხეობაშია, წობენის მთის ჩრდილო
ფერდობზე, არაგვის მარცხენა შენაკადის, წირდლის ხევზე
(აქ ამჟამადაც დგას არაგვის მარცხენა სანაპირო მინდორზე,
უზარმაზარი ვერტიკალური კლდის ლოდი, რომელსაც ახლაც
“ნინოს ქვას” უწოდებენ და რომლიდანაც, გადმოცემით, ნინო

ქადაგებდა), ნინო, მართლაც უნდა “გარდასულიყო ერწული” კი. ერწოში. ტოპონიმი “ჟაღეთი” აგრეთვე დღესაცაა შემორჩენილი და ასე ეწოდება ერწოს მიმდებარე ივრის ხეობის ტერიტორიას. ჟაღეთიდან კი იგი, მართლაც, უნდა “შთასულიყო” კაწარეთს (დღ. ”ხაშმის სამება“) და აქედან კი კვლავ “გარდასულიყო კახეთა” ალბათ კაწარეთზე გამავალი გომბორის უდელტეხილზე დღესაც არსებული გადასასვლელი გზით. კახეთიდან კი წმინდა ნინო წამოსულა მცხეთისკენ და გზად გამოუვლია ბოდინში, რომელსაც ბოდბესთან აიგივჭინებ. აქ იგი გარდაიცვალა და აქვე იქნა წმ. ნინო დამარხული.

დაბა ბოდბე იმ დროს საკმაოდ მნიშვნელოვანი დასახლება უნდა ყოფილიყო, რაზედაც ძველქართული წყაროები გვარწმუნებენ.

მხედველობაში გვაქვს, პირველ რიგში, “მოქცევად ქართლისაას” თხრობა სვეტიცხოვლის ეკლესიის მშენებლობის შესახებ, როდესაც “იყვნეს რაღ ყოველნი იგი ეკლესიასა შინა და იხილეს ყოველმან სიმრავლემან ქალაქისამან ყოველთა მათ ღამეთა და აპა ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისად დაგურგნებული ვარსკულავითა და დაადგრის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადამდც. და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა ამას ზედა.

და განთიად რიუირაჟუსოდენ გამოვიდის მისგან ორი ვარსკულავი: ერთი იგი წარვიდის აღმოსავალით და ერთი დასავალით. და იგი თავადი ეგრევე დგან. მბრწყინვალედ და ნელიად ნელიად განდგის მიერ კერძო არაგუსა და დადგის ბორცუსა ზედა კლდისასა, ზემო კერძო ახლოს წყაროსა მას, რომელი იგი აღმოადინეს ცრემლთა წმიდისა ნინოისათა, და მუნით აღმაღლდის ზეცად.

ესე მრავალგზის იხილა ყოველმან სიმრავლემან ერისამან მაცხოვარებად ღმრთისა ჩუენისაა. მაშინდა ვიწყეთ ნეტარისა ნინოესა კითხვად, ვითარმედ: “რამე არს, რამეთუ გამოვიდის ნაბერწკალი მისი და წარვიდის აღმოსავალით და დასა-

ვალით”?

ხოლო წმიდამან მან პრქეა მეფესა და ყოველსა  „განავლინებით კაცნი მთათა ზედა მაღალთა აღმოსაზრდოდათ ვიდრე კახეთისა მთამდეც და დასავალით, ვიდრე მიაწევდეს სამეფო შენი. და ოდეს მთიებნი იგი გამობრწყინდენ, იხილონ, თუ სად დადგენ, და მუნცა აღჭმართებით ორნი ესე ჯუარნი საცოდ ყოველთა ქრისტიანეთა და დასამტობელად მტერისა”.

ხოლო მეფემან ყო ეგრეთ. და შეიცვნა თავნი მთათანი მიწუებით ათ დღე. ესე იყო პარასკევსა. შაბათ-და განთენებოდა და იყო სასწაული იგივე იქმნა ეგრევე, ვითარცა ყოველივე იქმნის.

ხვალის დღე მოვიდეს დასავლითნი იგი, რომელნი იგი დგეს მთათა ზედა, რომელ არს მთავ ქუაბთა თავისავ და უთხრეს მეფესა, ვითარმედ დაადგრა ვარსკულავი იგი მთათა თხოთისათა და შთავიდა გარდასავალსა ზედა კახისასა და დაადგრა ადგილსა ერთსა და ნელად უჩინო იქმნა.

ეგრევე მოვიდეს აღმოსავალით და თქუეს: “ვიხილეთ ვარსკულავი იგი აქამ მომავალი და დაადგრა დაბასა ბოდს კახეთისა ქუეყანასა”.

მაშინ ბრძანა ნეტარმან ნინო, რამთა წარისუნებ ორნი ესე ჯუარნი და აღმართენ ერთი თხოთს, სადა იგი ამხილა ღმერთმან მეფესა ძალი თვისი. “და ერთი იგი მიეც საღომეს უქარმელსა, ჰეშმარიტსა მცევალსა ქრისტესსა, და აღჭმართოს იგი უქარმას ქალაქესა. და დაბად ბოდისი არა წინა აღედგეს ქალაქესა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მენ.”

დაბად კელა ბოდისი თკთ ვიხილოთ-ხათხოვ იგი ადგილი ღმრთისა”. და ვყავთ ეგრეთ ვითარცა გკბრძანა ჩუებ წმიდამან ნინო”.

ამგვარად, კარგად ჩანს, რომ დაბა ბოდი || ბოდბე ფრიად მნიშვნელოვანი პუნქტია ამ დროისათვის. აქ ვარსკვლავის “დადგრომა”. უმჯველია იმის მანიშნებელია, რომ მომავალში აქ საეკლესიო ცენტრი უნდა დაარსდეს. უკეთ რომ ვთქვათ,

მთელი ეს თხრობა იმის მაუწყებელია, რომ როდესაც იყო იწერებოდა ბოდბე უკვე მნიშვნელოვანი საექლესიო ტენირისა იყო და ჩექნ, მართლაც, ვნახავთ, რომ V ს-ში აქ ქართული საეპისკოპოსო არსდება. ამ პუნქტის მნიშვნელობისათვის იხიც საქმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ აქ იმარხება მისივე სურვილის მიხედვით წმინდა ნინო.

რა აპირობებდა დაბა ბოდი||ბოდის ასეთ მნიშვნელობას?

უაქცევლია ის, რომ უძველესი დროიდანვე ბოდბე, ჩანს ფრიად მნიშვნელოვან სავაჭრო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა ქართლის სამეფოსათვის. ასე მაგალითად, წმინდა ნინოს და მეფე მირიანის ოანამედროვე მცხოველი ებრაელი, აბიათარი გვაუწებს: “მე, აბიათარ, მოგითხოვ თქუენ თხრობასა მას, რომელი მეუწეა და ყურითა ჩემითა ვისმინე მამისა და დედისა ჩემისაგან და რომელი წიგნთა განცა უწყი. რამეთუ მათცა პაპათა და მშობელთაგან თუსთა მოთხრობით და სმენით უწყოდეს ესრეთ, ვითარმედ: ოდეს იგი პეროდე მეფობდა იერუსალემს, მაშინ გუესმა ესრეთ, ვითარმედ “იერუსალემი სპარსთა დაიპყრესო”. რომლისათვე-იგი იქმნა გლოვა და წესილი პერიათა ზედა ქართველთა, მცხეთელთა მკვდრთა, ბოდელთა მდდელთა, კოლისწყაროელთა მწიგნობართა და სობის კანანელთა თარგმანთა – ესე ყოველნი აღიძრნებს სივლტოლად”.

მაშახადამე საქმე ეხება ახ.წ. I საუკუნის პირველ მესამედს და გადმოცემით ბოდბე ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია, რომელშიც ქართველი ებრაელები, ბოდბელი ქურუმები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. მაგრამ ის ფაქტი, რომ აქ სწორედ ქართველ ებრაელებზეა საუბარი, იმის საფუძველსაც გვაძლევს, ბოდბე I ს-ში მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრადაც კიბულისხმოთ. საინტერესოა, რომ ქრონოლოგიის თვალსაზრისით ეს ვითარება სწორედ სტრაბონის დროინდელია, ხოლო ამ უკანასკნელის ზემოთ



არაერთგზის დამოწმებული ცნობის მიხედვით, მის კამპანიაში კამბისენე კამბესოვანის ჩრდილო-დასაელეოთი ნაწილში გმირებული ის ტერიტორია, სადაც ბოდბე მდებარეობს, ივერი-ელებითაა დასახლებული, ივერიის ფარგლებში შედის. მაშასა-დამე, ამ თვალსაზრისით აბიათარის გადმოცემა ხავსებით რეალურია და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ შეიძლება ისიც ვივარ-უდოთ, რომ ბოდბე ბოდბე – ტოპონიმი – უკვე I ს-ში არსებობდა, რაც თავის მხრივ დამოწმებდა სტრაბონის ცნობის რეალურობასაც და კერძოდ, არაგვის ხეობიდან (ბოდავიდან) ჰერეტში ქართველი მოსახლეობის მიგრაციის ფაქტსაც უკვე I ს-ის დასაწყისისთვის.

ეჭვი არ არის ქართული კულტურისა და კერძოდ ქართული ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრად უნდა ვიგულისხმოთ ბოდბე მირიანის დროსაც: ტყუილად ხომ არ იმარხება იქ წმინდა ნინო და ტყუილად ხომ არ ზრუნავს მეფე მირიანი დაბა ბოდბის მომავალი კეთილდღეობისათვის, როდესაც თავის ანდერძში მეუღლეს უბარებს: “შენ... განიუო სამეფო განძი ჩვენი ორად: და მიიღე სამარხავსა ნინოსა განმანათლებელსა ჩვენსა, უამთა შეცვალებისათვის, რათა არა შეირყიოს უკუნისამდე იგი ადგილი: რამეთუ მეფეთა საჯდომი არს, არამედ მწირ არს”.

ამგვარად, მეფე მირიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭება ბოდბეს, როგორც მომავალ ქართულ, ქრისტიანულ საეკლესიო ცენტრს, რომლის დანიშნულება, ცხადია, ის არის, რომ ის მხარეში, რომლის ცენტრიც იგია ან რომლის ცენტრიც იგი მომავალში უნდა გახდეს, ქართული ქრისტიანული კულტურა გავრცელდეს, ქართული ენით, ქართული დამწერლობით. უკვე წმინდა ნინოს იქ ყოფნის დროსვე “მოვიდოდეს მისსა კახეთით, პკითხვიდეს და აღიარებდეს სწავლასა მისსა ხიმრა, ლე ერისა”. ჩვენ თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რგვიან ბოდბელი ეპისკოპოსის სამწმებოს, მირითადად ქიზიფი ტერიტორია შეაღენდა, მაშინ ცხადი გახდება ისიც, რ

IV სის ბოდგი ახლადდაარსებული ქართული ქრისტიანული კულტურის ცენტრის სამოქმედო ასპარეზი სწორველებულ ბეჭოვანი უნდა ყოფილიყო, რომელშიც იმ დროს, განსაკუთრებული ბით მის აღმოსავლეთ ნაწილში ქართულთან ერთად აღვანური მოსახლეობა უნდა არსებულიყო და სწორედ მათი გაქართველების მისია უნდა ეკისრა ბოდგეს საეკლესიო ცენტრს.

ის გარემოება, რომ “მოქცევად ქართლისად”-ს ზემომოტანილი ცნობებით დაბა ბოდი||ბოდგე პერეთში კი არა, არამედ კახეთშიც, ან კუხეთში ლოკალიზებული, ადვილი ასახსნელია.

მოვიგონოთ, რომ “მოქცევად ქართლისად”-ს ცნობით იმხად ჯვრის აღმართვა ნინოს მიზანშეწონილად უცვნია ქალაქ უჯარმაში და არა საკუთრივ ბოდგეში. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ქალაქი უჯარმა, IV სის ქართლის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებისა და უდიდესი ცენტრია დედაქა-ლაქის, მცხეთის შემდეგ. კერძოდ, ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-აღმინისტრაციული ერთეულის ცენტრია, რომლის საგამგეოში შედიოდა კახეთი, კუხეთი და პერეთის ნაწილი დაბა ბოდბიანად. ამდენადვე პოლიტიკურ-აღმინისტრაციულად პერეთის ეს ნაწილი კახეთ-კუხეთი იყო და ამიტომაა, რომ ბოდგე ხან კახეთშია და ხან კუხეთში.

სხვათა შორის ფრიად ნიშანდობლივი ჩანს, რომ “ქართლის ცხოვრების” არაერთ ხელნაწერში დაბა ბოდი პერეთშია ლოკალიზებული.

კიდევ მეტი. “მოქცევად ქართლისად”-ს ცნობათა მიხედვით იმის დაკონკრეტებაც კი შეიძლება, თუ პერეთის რომელ თემში მდებარეობს დაბა ბოდი||ბოდგე.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ წმინდა ნინომ კაწარეთში ყოფნისას ჩო “მონათლა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით”. აქ საუბარია კუხებისა და სოჯთა თუ სუჯთა ტომის მთავრებსა და მიმათ ერზე ანუ ქვეშევრდომებზე. სუჯები ერთ-ერთი პერელი

ტომი უნდა ყოფილიყო, რომელთა ქართულ ქრისტიანობაზე/ მოქცევა და ამდენად გაქართველება IV ს-ში უკვე ჟაკი და მაგრამ ქაწარეთში, ჩანს, მხოლოდ მათი ნაწილის მოქცევა მოხერხდა. მოგვიანებით, როდესაც წმინდა ნინო ბოდს მივიდა, “მოინათლა სოჯი დედოფალი და მის თანა მთავარნი მრავალნი... ბოდს ზინა”. თვით წმინდა ნინოც მოგვითხრობს, რომ “მივიწიე ქუჯანასა კუხეთისასა და დაბასა ბოდისასა. და ას ჭხენებულმცა არს დედოფალი ეგე სოჯი, რამეთუ აღიძრა ეგე შურთა საღმრთოთათა დალეწად კერპთა და მოქცევად ერისა მათისა საერისთავოსა”.

ამ ამონაწერიდან, როგორც ეს უკვე დადგენილია, ცხადი ხდება, რომ სოჯი დედოფლის საგამგეოს ანუ საერისთავოს ანუ “სუჯეთის” ლოკალიზაცია უნდა მოხდეს მდ. იორის შუა წელზე ქაწარეთსა და ბოდს შორის. მაგრამ თვით დაბა ბოდი აგრეთვე სუჯეთში მდებარეობდა, რაზედაც გვარწმუნებს სოჯი დედოფლის მიმართვა მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიის კრებულისადმი: “დაბაც დიდი ბოდისი შენდა შევსწირეო”.

ამგვარად, ცხადი ხდება რომ ძველ მემატიანეთა წარმოდგენით IV ს-ში დაბა ბოდი||ბოდბე ჰერეთში, კერძოდ კი სუჯეთის საერისთავოშია, რომელიც თავის მხრივ ქალაქ უჯარმის საგამგეოში შედის და ამიტომ იგივე მემატიანეთა ცნობებში დაბა ბოდი||ბოდბე უფრო ხშირად კახეთში ან კუხეთშია, რადგან IX-XI საუკუნეებში, როდესაც ისინი პირველწყაროებზე დაყრდნობით თავის მატიანეებს ქმნიდნენ, ეს ტერიტორია უკვე კახეთ-კუხეთი იყო.

როდის მოხდა დაბა ბოდი||ბოდბეს კამბეჩოვანისადმი (და შემდეგ ქიზიყისადმი) მიკუთვნება ძნელი დასადგენია: შესაძლოა სწორედ მაშინ, როდესაც ბოდბის საეპისკოპოსოს სამწესო მთლიანად კამბეჩოვანი გახდა და ამდენად თვით ბოდბეს ტერიტორიაც, ძველი სუჯეთის აღმოსავლეთი ნაწილიც მას მიეკუთვნა. თუ ეს სწორია, მაშინ V ს-ის ბოლოს-

თვის ეს უკვე მომხდარი ფაქტი უნდა იყოს (იხ. ქვემოთ) მაგრამ IV ს-ში ბოლგის კულტურული გავლენა კამბეზოვანის აღმოსავლეთ ნაწილზე უნდა ვიფიქროთ ნაკლებად ჭრულებულ დებოდა.

ამას გვავარაუდებინებს სომხური “გეოგრაფიის” ანუ “აშხარაცუიცის” მონაცემები.

IV ს-ის მეორე ნახევარში, რომელსაც უნდა განეკუთვნებოდეს სომხური წყაროს, – “აშხარაცუიცის” ცნობები, კამბეზოვანი კვლავ ალვანეთის სამეფოს შემადგენლობაშია. ჩანს, ქართლის მეფე მირიანისა და წმინდა ნინოს ინტენსიური საქმიანობის მიუხედავად, რომელიც მიმართული იყო პერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ და რომელიც ამ თემის მნიშვნელოვან ნაწილში წარმატებითაც დაგვირგვინდა, რისი გამოხატულებაც იყო ქართველი მემატიანის კონსტატაცია, რომ “მირიან მეფემან განამტკიცა ყოველი ქართლი და ერეთი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა”, მაინც პერეთის გარკვეულ ნაწილში, მის აღმოსავლეთ მხარეში და, კერძოდ, კამბეზოვანში ქართველების ეს კულტურულსაგანმანათლებლო მისია წინააღმდეგობას აწყდებოდა და არა მხოლოდ ალვანელთაგან, არამედ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სომხებისგანაც. შესაძლებელია ეს იყო მიზეზი, რომ ამჯერად ქართული ქრისტიანული კულტურის აღმოსავლეთისკენ გავრცელების ცენტრის როლი ახლად მოქცეულმა ბოდებმ ვერ იტვირთა და ეს მისია ქალაქმა უჯარმამ იკისრა, რომელიც, როგორც ვიცით, ვრცელი საგამგეო ერთეულის (რომელშიც ძველი პერეთის გარკვეული ტერიტორიაც შედიოდა) ცენტრი იყო და, საერთოდ, მცხეთის მერე ამ დროს ქართლის სამეფოს მეორე ქალაქად ითვლებოდა.

მგონია ასე უნდა გავიგოთ ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი – ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო – დროებით “აღიმართოს იგი უერმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინა აღუდგეს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმ-



რავლე არს მუნ”.

ასეა თუ ისე, “აშხარაცუიცი” კამბექოვანს ალფანტონის პროვინციად მიიჩნევს. ჩვენ ეს ცნობა ზევით სხვა საკითხთან დაკავშირებით უკვე მოვიტანეთ ნაწილობრივ: “ავწერთ თავდაპირველ ქვეყანას ალვანეთისას, რომელიც დიდი მდინარის მტკვრისა და კავკასიის მთის შორის (მდებარეობს). ჯერ ქართლის მახლობლად: გავარი (=თემი) ეხნი ალუანის მდინარის პირას და ქამბეჭანი მტკვრის პირას და მის სამხრეთში ციხე ვარაზმანავარი დაბაქალაქ კუდრათითურთ და უდაბნო აღგილები მდინარე მტკვრამდე, რომლის აღმოსავლეთით (არის) ქალაქი გევგავი, მდინარე ალუანის პირას. და გავარი ბის კავკასიის (მთასთან) და მის აღმოსავლეთით – შაქე”...

ამგვარად, კამბექოვანი ქართლის სამეფოს მომიჯნავე თემია, რომელიც მტკვრის პირასაა. საინტერესოა ავტორის ფრაზა, რომ იგი “თავდაპირველ ალვანეთს” აღწერს. ეს ნიშნავს, რომ მის დროს ამ ქვეყანას, ასე ვთქვათ, სხვა კონტურები აქვს, მაგრამ იგი “ნამდვილ”, “ძირითად”, “თავდაპირველ” ალვანეთს აღწერს. ასეთ განმარტებას “აშხარაცუიცის” ავტორი იმიტომ იძლევა, რომ მის დროს ალვანეთის სამეფოს მტკვრის სამხრეთი ტერიტორიები უჭირა, მაგ.: შიკაშენი, გარდმანი, უტი და სხვ., რომლებიც სომები გეოგრაფოსის მიხედვით ალვანელებს სომხებისგან პქონდათ მიტაცებული (სინამდვილეში პირუჟუ იყო!). ეს ასეა, მაგრამ შესაძლოა აქ ის ცვლილებებიც იგულისხმება, რომლებიც ივერია-ალვანეთის საზღვრებზე მოხდა. სომებს ავტორს, ცხადია, სომხეთი აინტერესებდა პირველ რიგში და ამიტომ ალვანეთის დასავლეთ და შესაბამისად ივერიის აღმოსავლეთ ლიმიტოფულ ზონაში მომხდარ ცვლილებებზე ყურადღებას არ ამახვილებს.

ერთი რამ თვალშია საცემი: “აშხარაცუიცის” მიხედვით ალვანური ქამბეჭანის ცენტრები ამ თემის სამხრეთით მტკვარალაზნის შესართავ ზონაში უნდა ვიგულისხმოთ: “მის სამხრეთში ციხე ვარაზმანავარი დაბაქალაქ კუდრათითურთ

და უდაბნო ადგილები მდინარე მტკვრამდე, რომლის აღმო-
სავლეთით (არის) ქალაქი გევგავი, მდინარე ალუანის ჰარაბული-
ებს გარემოება ნიშანდობლივი უნდა იყოს: ეს არის ტერიტორია,
სადაც უკელაზე მძლავრად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი
ალვანური მოსახლეობა კამბეზოვანში, რადგან ჩვენ ვიცით,
რომ ამ თემის ჩრდილო-დასავლეთში უკვე ძველი წელთაღ-
რიცხვის I ს-ში ქართველები ცხოვრობენ, ხოლო ას.წ. I
საუკუნეში ქართველებსა და ალვანელებს მდ. ალაზნის ქვემ
დინება მიჯნავს. ბუნებრივია, რომ ალვანური ქამბეჭანის
ადმინისტრაციული ცხნტრები (მთავარი ციხე-სიმაგრე, ქალაქი
და დაბაქალაქები) სწორედ იმ ზონაში იყოს სადაც ალვანური
მოსახლეობა ჭარბობდა.

ვითარება კვლავ იცვლება V ს-ში.

მაგრამ ვიდრე V ს-ის კონკრეტულ ვითარებას განვიხი-
ლავდეთ, ერთი რამ უნდა შევნიშნოთ. ჩვენ ზემოთ, აღვნიშ-
ნეთ რომ ლეონტი მროველი, რომელიც საქართველოს უძვე-
ლეს ისტორიას მოგითხოვთ, თავისი ეთნოლოგიური კონ-
ცეფციის შესაბამისად ქართლსა და პერეთს ორ თანაბარ
ერთეულად წარმოგვიდგენს, თუმცა კი მას არ გამორჩენია
მხედველობიდან ის დიდი კულტურული პროცესი, რომელიც
გამოიხატებოდა ქართული ქრისტიანობის ინტენსიური გავრცე-
ლებით პერეთის ტერიტორიაზე, რამაც მისივე წარმოდგენით
ეს ორი ერთმანეთისაგან ეთნიკურად, ფაქტობრივად, განსხვა-
ვებული ქვეყანა IV ს-ში ერთ კულტურულ ერთეულად აქ-
ცია. სწორედ ამას მოწმობს ისტორიკოსის მიერ IV ს-ის
პირველ ნახევარში განვითარებული პროცესების შეფასება:
“მირიან მეფემან განამტკიცა ყოველი ქართლი და ერეთი
სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა”.

ისტორიკოსის თვალსაზრისით ამიერიდან ქართლი და
პერეთი კულტურის მხრივ ერთმანეთს შეერწყა, მაგრამ ეს
ჯერ ასე არ არის პოლიტიკური ასპექტით. პოლიტიკური
შერწყმა პერეთისა ქართლთან, ჩანს, უფრო გვიან მოხდა

(ყველან აქ, თუკი ეს არ არის სპეციალურად აღნიშნული, ჩვენ “ჰერეთს” ვიწრო მნიშვნელობით ვხმარობთ და ვმოგადის ბეჭოვანსაც ამ ქვეყნის ფარგლებში ვგულისხმობთ).

სხვაგვარი ვითარება გვაქვს ისტორიკოს ჯუანშერთან, რომელმაც დაგვიტოვა “ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა”. ჯუანშერი ლეონტი მროველივით ჰერეთს ქართლს კი არ უპირისპირებს, არამედ კახეთს, რომელიც თავის მხრივ, ქართლის (ივერიის) ერთ-ერთი თემია. ამდენად წინააღმდეგ ლეონტის კონცეფციისა, ჯუანშერის კონცეფციით ცნება “ქართლი” ფარავს “ჰერეთს”, ე.ი. ჰერეთი ქართლის (ივერიის) ერთ-ერთ ნაწილად ითვლება ისევე, როგორც კახეთი ან კლარჯეთი და ა.შ. ეს რომ ასეა, ამაზე ქვემოთაც დავრწმუნდებით, აქ კი მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიტანთ: ჯუანშერი მოგვითხოვთ, რომ VI ს-ში, ბაკურ მეფის ჩამომავლებმა “დაიპურეს კახეთი და ერეთი”; ანდა: “ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკუიდრო ქმნილი იყო, ხოლო ერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო”...

ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ “ქართლისა” და “ჰერეთის” ცნებათა ურთიერთმიმართების საკითხში ლეონტი მროველისეულ და ჯუანშერისეულ ინტერპრეტაციაში არსებითი განხხვავებაა.

რაში უნდა გამოხატულიყო რეალურად ასეთი განხხვავება?

ჩვენი აზრით სავარაუდოა, რომ თავდაპირველად ჰერეთი ქართლთან ვასალურ დამოკიდებულებაში ყოფილიყო (ლეონტის კონცეფცია), ხოლო უფრო გვიან ჰერეთი უშეალოდ იქნა შემოერთებული ქართლის სახელმწიფოს მიერ (ჯუანშერის კონცეფცია). ეს უკანასკნელი მოვლენა მოსალოდნელია მომხდარიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰერეთის მოსახლეობა ქართულთან კულტურულად ერთ მთლიანს შეადგენდა, ხოლო თვით ჰერები მთლიანად თუ არა დიდ ნაწილში მაინც ასიმილირებულნი იქნებოდნენ. ე.ი. ასეთი

მოვლენა სავარაუდოა, მაინცადამაინც, მეფე მირიანის შექმნა
დღომ. მირიანის მეფობამ საამისოდ მკვიდრი საფუძვლები გადა
ჩაყარა.

ვის მიერ უნდა ჩატარებულიყო ეს მნიშვნელოვანი ოფიციალური რე
ფორმა?

ჩვენი აზრით, ეს დიდმნიშვნელოვანი აქცია უნდა განეხორ-
ციელებინა ვახტანგ გორგასალს, ადრეფეოდალური ხანის საქართველოს უდიდეს პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვა-
წეს. მართლაც, მის დროს პირველად იხსენიება ქართლის ერისთავთა შორის, “გრიგოლი, ერისთავი პერეთისა” და მაშა-
ადამე პერეთი ქართლის სახელმწიფოს ერთ-ერთ საერისთა-
ვო ქუეყანას წარმოადგენდა. რომ “ქართლის ცხოვრების” ეს ცნობა სავსებით რეალურია, ამას მოწმობს სრულიად სხვა წყარო, V ს-ის შესანიშნავი პაგიოგრაფიული თხზულება “მარტვილობამ შეშანიკისი”, ვახტანგ გორგასალის თანა-
დროული ლიტერატურული ძეგლი, რომელშიც მოიხსენიება “საზღვართა ქართლისათა ქუეყანამ იგი პერეთისაა”. ამგვა-
რად, უძველესი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებიც გვარწმუნებს, რომ პერეთის ქუეყანა ქართლის (ივერიის) ტერი-
ტორიის ორგანული ნაწილია.

როგორც აღნიშნეთ, ყველაფერი ზემოთქმული ეხება, რა თქმა უნდა, კამბექოვანსაც, რომელიც, როგორც ვიცით, ზოგადად პერეთის ერთ-ერთ თემს წარმოადგენდა. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის კონკრეტული ცნო-
ბები, რომელიც საკუთრივ კამბექოვანს შეეხება. საბედნიე-
როდ, საამისოდ მეტად მწირი, მაგრამ ნიშანდობლივი ჩვენებე-
ბი გაგვაჩნია.

ჯერ ერთი, ჯუანშერით, იმ თორმეტ საეპისკოპოსოთა-
გან, რომელნიც ვახტანგ გორგასალმა დააარსა თავის სამე-
ფოში, ერთი კამბექოვანშია. ეს არის ხორნაბუჯის საეპისკო-
პოსო. მაგრამ ჯუანშერის ცნობა სრული არ არის. ამ დროს,
თუ უკვე IV ს-დანვე არა, არსებობდა ბოდბის საეპისკო-

პოსოც. ქართველი ეპისკოპოსი, ლაზარე ბოდბელი მოიხსენიება 506 წლის ერთ სომხურ წევაროში, რაც აშკარა მოწმობაა, რომ ასეთი საეპისკოპოსო V ს-ში მაინც უნდა ჰქონიდა ლიუო. ცხადია ბოდბელს თავისი სამწყსოც უნდა ჰქონიდა და რამდენადაც “ქვეყანა ჰერეთისა” ამ დროს უეჭველად ქართლის სამეფოში იგულისხმება, ამდენად გვაქვს საფუძველი ბოდბელის სამწყსოდ ისევე, როგორც ხორნაბუჯელის სამწყსოდ ჰერეთის თემები, სუჯეთი და კამბეჩოვანი ვივარა-უდოთ.

❖ მაგრამ ხორნაბუჯი მხოლოდ საეპისკოპოსო ცენტრი არ ყოფილა. მისი ეს საეკლესიო ფუნქცია, როგორც ჩანს, მაღვე, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო ბოდბეზე გადადის (ხორნაბუჯის ეპისკოპოსი, ფაქტობრივად, მხოლოდ ვახტანგ გორგასლის დროს იხსენიება). ხორნაბუჯი კამბეჩოვანის პოლიტიკური ცენტრი იყო: “ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი”.

ჩვენ უკვე ვიცით ამ ციხე-ქალაქის ადგილმდებარეობა, დღევანდელი დედოფლისწყაროს ჩრდილოეთით კლდოვან მასივზე, რომელიც ალაზნის ველს (უფადარს და წინამინდორს) გადაჰურებს. როგორც ვხედავთ კამბეჩოვანის ცენტრმა გადმოინაცვლა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სადაც იგი ერთი საუკუნის წინ იყო, ჩრდილო-დასავლეთისკენ, შეიძლება ითქვას კამბეჩოვანის ცენტრალურ ნაწილში.

ცხადია, ცენტრის ასეთი გადანაცვლება ღრმა მიზეზებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. აქ, პირველ რიგში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას შემდეგ, რაც კამბეჩოვანი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის სფეროში მკვიდრად შემოვიდა, მისი ცენტრიც იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ქართული მოსახლეობა იყო. ხოლო ქართული მოსახლეობა, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, სწორედ კამბეჩოვანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არსებობდა უძველესი დროიდანვე.

გარდა ამისა, მართალია, კამბეჩოვანის ტერიტორიის

უდიდესი ნაწილი მნიშვნელოვანზილად სამესაქონლეო, კულტურულ ძოლი, ზამთრის საძოვრების ზონა იყო, თუმცა ძველი ნაკრების ლების არსებობა აქ ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც მიუთითებს, მაინც ეს უკანასკნელი უფრო დამახასიათებელი სწორედ ჩრდილო-დასავლეთი მხარისთვის ჩანს, სადაც სოფლები დღესაც და შეასაუკუნეებშიც კახეთის სხვა რაიონებისთვის ჩვეულებრივი სიხშირით არის განლაგებული. ბუნებრივია, მხარის ცენტრიც ინტენსიური მეურნეობის ზონაში ყოფილიყო, თუმცა ხორნაბუჯის ციხე-ქალაქის მდებარეობა სწორედ იმას უნდა მოწმობდეს, რომ იგი ამ ორი ზონის – ინტენსიური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ზონების ურთიერთთანხვედრის ადგილზე წარმოიქმნა და მისი წარმოქმნა-განვითარების საფუძველი სწორედ ეს უნდა ყოფილიყო.

შემდეგ, როგორც ჩვენ უპვე აღვნიშნეთ ხორნაბუჯის ციხე-ქალაქი სტრატეგიული გზების გადაკვეთის კვანძზე მდებარეობს და ესეც მეორე საფუძველი უნდა იყოფილიყო მისი ფუნქციონირებისა.

ე.წ. “პევტინგერის ტაბულაზე” რომელიც წარმოადგენს IV ს-ში შედგენილს “მსოფლიო რუკას”, გამოხაზულს ვაჭარ-მოგზაურთათვის და ამდენად ზედ დატანილია იმ დროს ცნობილი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალები, ერთ-ერთ სეგმენტზე გამოხაზულია ე.წ. “შემოვლითი გზა”, რომელიც აღმოსავლეთისკენ გამოეყოფა სომხეთის მაშინდელი დედაქალაქიდან, არტაშატიდან მცხეთისკენ მიმავალ გზას, შემოუვლის ქვეყანას, რომელსაც “პიროვე” || “ეროონ” ეწოდება და მცხეთასთან უერთდება ზემოხსენებულ გზას.

ამ რუკის მეცნიერ-კომენტატორთა აზრით ეს ქვეყანა “პიროვე” || “ეროონ” უნდა იყოს ქართული “პერეთი” და ამდენად “შემოვლით გზასაც” პერეთზე უნდა გაევლო. არ არის გამორიცხული ამ გზის ერთი მონაკვეთი სტრატონის მიერ აღვა-

ნეთიდან ივერიაში შემომავალ გზას დამთხვეოდა და ამდე
ნად კამბექოვანზე გაევლო, როგორც ამას ზოგიერთი მატერიალური ნიერი ვარაუდობს კიდევ. საინტერესოა, რომ VII ს. ე.წ.
“რავენის ანონიმს”, რომელიც ავტორია გეოგრაფიული თხზულებისა (“კოსმოგრაფია”) და “პევტინგერის ტაბულაზე” აღნიშნული პუნქტების ნუსხაც უფრო სრულად აქვს შემონახული, ერთ-ერთ პუნქტად დასახელებული აქვს “კამია”, რომელსაც აღადგენენ “კამბისა”-დ. თუკი ეს აღდგენა სწორია, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს არის “ქალაქი კამბექოანი”, რაც იმის მოწმობა იქნებოდა, რომ IV-VII სს-ში საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალი მაინცდამაინც ხორნაბუჯზე გადიოდა.

ამის დადასტურებაა 1977 წ. დედოფლისწყაროს მახლობლად აღმოჩენილი VII ს. სასანურ-ბიზანტიური მონეტების შერეული განძი, რაც კამბექოვანზე გამავალი გზის საერთაშორისო-სატრანზიტო მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს.

გარდა ზემოხსენებული განძისა, ამაზევე მიანიშნებს სპარსეთის შპის, ორმიზდ VI-ის (579-590 წწ.) ორ ათეულზე მეტი მონეტა დედოფლისწყაროს რაიონიდან, რომლებიც შესაძლებელია დაუკავშირდეს ხორნაბუჯში მჯდომ “ვეზანს, ერისთავსა ჯაჭარ ჩუბინისსა” (იხ. ქვემოთ) და მის საქმიანობას კამბექოვანში.

შესაძლებელია იგივე გზა იგულისხმება მემატიანესთან, როდესაც იგი ვახტანგ გორგასლისთვის საბედისწერო ომის წინ სპარსეთის შპის ლაშქრის მარშრუტს აღწერს: “და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბექოანი, და ჭერმისა ციხე და ველის-ციხე, და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს ოორსა ზედა”...

ვახტანგ გორგასლის დროს ჰერეთში და, კერძოდ, კამბექოვანში ინტენსიური კულტურული საქმიანობა მიმდინარეობს, რისი მოწმობაცაა ბოდბის ერთნავიანი ეკლესია და ხირსის ეკლესია, რომლებიც სწორედ V ს-ის მეორე ნახევრით



თარიღდება.

ამ დროსაც, ჩანს, წინააღმდეგობა დიდი იყო, კულტურული აღვანეთის მხრიდან, რომლის მესვეურები აღვილად არ თმობდნენ პოზიციებს. ამის გამოხატულება უნდა იყოს აღვანეთის მეფის, ვაჩაკანის ენერგიული მცდელობა კამბეჩოვანში, სავარაუდოა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აღვანური ეკლესიის გავლენის დამყარებისათვის. აღვანეთის ისტორიკოსი მოსე კალანქატუელი მოგვითხრობს, რომ მან V ს-ის 80-იან წლებში “კამბეჯსა და აღვანეთში... ადგილ-ადგილ დანიშნა ეპისკოპოსები, მღვდლები და ზედამხედველები”. ნიშანდობლივია: აღვანეთის ისტორიკოსის ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ კამბეჩოვანი არ არის აღვანეთში უშუალოდ შემავალი მხარე, არამედ მაინცდამაინც ცალკე თემადაა მიწნეული, რომელზედაც (უკეთ, მის ნაწილზე) ამჯერად აღვანთა მეფის ხელისუფლება ვრცელდება.

ეს სწორედ იმით უნდა აისხებოდეს, რომ კამბეჩოვანი ქართულ სამყაროს ეკუთვნოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული ამ დროს აქ ჯერ კიდევ არსებულიყო აღვანური მოსახლეობაც, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც, ალბათ, უნდა დაყრდნობოდა ვაჩაკანი.

ვახტანგ გორგასალმა “ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის მისცა ქალაქი ჭერამისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა რომელ არს ხორნაბუჯი, და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლეთით. და თვით ვახტანგ დაჯდა უჯარმოს. და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა”. როგორც ჩანს, ვახტანგს ჰერეთი კამბეჩოვანიანად საუფლისწულოდ უქცევია. ეს თავისთავად მაუწყებელია იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც ჰქონდა ამ მხარეს ქართული სახელმწიფოსათვის, რადგან ქართლში ისევე, როგორც სასანურ ერანში და სხვაგანაც უფლისწულებს სამართავად, როგორც წესი, უაღრესად მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო პროვინციებს აძლევდნენ, სადაც მათ უნდა შეეძინათ მეფისათვის აუცი-

ლებლად საჭირო გამოცდილება ქვეყნის გამგებლობის სფეროში და უკონტროლირებულ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას.

რით იყო ბოლოს და ბოლოს, ჰერეთი, და, კერძოდ, კამბეჩოვანი ასე მნიშვნელოვანი ქართლის სახელმწიფოსთვის?

ისეთი ჰავისა და რელიეფის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც აღმოსავლეთი საქართველოა, ცხადია, განსაკუთრებით ისტორიულ ხანაში, დიდი მეურნეობრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მესაქონლეობას და, კერძოდ, მეცხვარეობას. ასეთი ვითარება, მაინცდამაინც, დამახასიათებელი იყო სწორედ კახეთისათვის. ეს სრულიად უდავო საამისო არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული წყაროების მონაცემებით. ცხადია, ამ გარემოებას უნდა გამოეწვია გარკვეული პოლიტიკური კურსი ქართლის სამეფოს მესვეურებისა, რომელსაც ისინი ატარებდნენ კავკასიონის მთიანეთის მოსახლეობის მიმართ. ის ინტენსიური ურთიერთობა, რომელიც ქართული სამეფოს გარიურაჟზევე ჩანს, ქართლის მეფეებისა მთიანეთის მიმართ მხოლოდ ამ რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობით (იმიერკავკასიაში გარდამავალი გზების კონტროლი, მთიანეთის მოსახლეობის გამოყენება სამხედრო თვალსაზრისით და ა.შ.) კი არ განისაზღვრებოდა, არამედ მთის დიდი სამეურნეო პოტენციალითაც. ამ მიზნებს ემსახურებოდა “ქართლის ცხოვრებაში” ხშირად დამოწმებული ფაქტები, ქართლის სამეფო სახლის წევრების ქორწინებისა იმიერკავკასიის არისტოკრატიასთან. ამასვე ემსახურებოდა, საბოლოო ჯამში, მირიანის მიერ ქრისტიანობის გავრცელება ქართლ-კახეთის მთიანეთში და სხვ.

ცხადია, ეს დიდი პროცესი ცალმხრივად ან მხოლოდ კეთილგანწყობილებით არ მიმდინარეობდა. თვით მთიელთა ბარში ექსპანსიისა და ბრძოლის ფაქტებიც კარგადაა ცნობილი ჩვენი წყაროებიდან. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, კავკასიის მთისა და ბარის მოსახლეობის ინტენსიური კონ-

ტაქტები ურთიერთგაპირობებული იყო. ობიექტური სამურნეო, დემოგრაფიული და, ბოლოს და ბოლოს, ფიზიკურული გეოგრაფიული რეალობა გარდუვალს ხდიდა საზოგადოებრივი განვითარების შედეგად მათ დაახლოებას და ერთ სამურნეო-სოციალურ კომპლექსად ჩამოყალიბებას: მთა, გარეკვეული ფიზიკურ-გეოგრაფიული ვითარებისა და სამურნეო პოტენციალის გამო, მოსახლეობის მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას იტევდა. ნამატი იძულებული იყო ბარში ჩამოსახლებულიყო და ასეთი ჩამოსახლება ბარის სიძლიერის პირობებში მხოლოდ მშვიდობიანი შეიძლება ყოფილიყო.

გარდა ამისა მთის მოსახლეობა, საარსებო საშუალებათა შეზღუდულობის გამო მნიშვნელოვანწილად, ზოგჯერ კი სასიცოცხლოდაც დამოკიდებული იყო ძლიერი და მდიდარი ბარის დოკლათისაგან. ტყუილად ხომ არ ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი ფშავ-ხევსურებზე, რომ ისინი ემორჩილებიან ბარელებს, “რამეთუ იზრდებიან მუნიდამ”. თვით იმიერკავკასიის მთიელებიც კი ქართლისა და კახეთის ბარის ეკონომიკაზე იყვნენ დამოკიდებულნი. აი რას წერს ვახუშტი ჩრდილოეთიდან კახეთის მიმდებარე დიდო-ლეკების შესახებ: “კახეთის მკრისანი (დიდონი) ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშქართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინათგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა (ტანისამოსს) და სახმარსა თუსთა”.

ასევე კახეთის ბაზარზე იყვნენ შუასაუკუნეებში დამოკიდებული თუშებიც. გადაუჭარბებდლად შეიძლება ითქვას, რომ თუშების ძირითადი მეურნეობის, მეცხვარეობის განვითარება სასიცოცხლოდ იყო დამოკიდებული კახეთის ბაზზე, რადგან, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, “კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათგან აქუთ ზაფხულს თუსთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმამგარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა”.

კახეთის ბარისა და მთის ურთიერთდამოკიდებულების გკონომიკური მიზეზები კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომელიც ლევან კახთა მეფის (XVI ს.) შესახებ აღნიშნული აქვს იგივე ვახუშტის: “არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არდა-რა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი და ამან ლევან დაიპყრა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უკნოდ მძოვარ-იყუნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა და მიერთგან მისცემდენ ლაშქარსა და ბეგარასა”. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს კახეთის მთისა და ბარის ისტორიული ურთიერთობის გან- მაპირობებელ ძირითად ეკონომიკურ ბერკეტს.

ამგვარად, ურთიერთობა მთასა და ბარს შორის უძველესი დროიდანვე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულება უნდა ყოფილიყო ქართველ მეფეთა შინაგანი პოლიტიკისა. ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ეს ასე იყო. მაგრამ რომ ეს სტრატეგიული სახელმწიფოებრივი ამოცანა რეალურად განხორციელებულიყო, ამისათვის სრულიად აუცილებელი იყო ერთი პირობა.

საქმე ის არის, რომ როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ძველი საქართველოს აგრო-ბოტანიკური რუკის განხილვისას, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მიერ არის შედგენილი, თვალში საცემია ერთი გარემოება, კერძოდ, საზაფხულო და საზამთრო საძოვრების ურთიერთშეუსატყვისობა: სივრცით საზაფხულო საძოვრები რამოდენიმეჯერ აჭარბებენ ზამთრისას. თუკი ამას დავუმატებთ, რომ ტევადობის თვალსაზრისით ანუ საქონლის რაოდენობის გამოკვების მიხედვით საზაფხულო საძოვრები ორჯერ აღემატება საზამთრო საძოვრის შესაბამის ფართობს, შეუსაბამობა მათ შორის გამოსაკვები პირუტყვის სულადობის თვალსაზრისით კიდევ უფრო აშკარა გახდება. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ ასეთ ვითარებაში მესაქონლეობის და, კერძოდ, მეცხვარეობის განვითარება ქართლის სამეფოში შეზღუდული უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვიცით, რომ საზამთრო საძოვრების დიდი უმეტესობა
სწორედ პერეთის მხარეში იყო, კერძოდ კი გარეჯის უდაბნო-
ების ტერიტორიაზე და კამბეზოვანში. ჩვენ ვიცით აგრეთვე
რომ უძველესი დროიდან და მთელი აღრეფეოდალური პე-
რიოდის მანძილზე კამბეზოვანში იკვეთებოდა ერთდროულად
სამი ამიერკავკასიური სახელმწიფოს ინტერესები და ამის
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი სწორედ აქ მდებარე
საზამთრო საძოვრები უნდა ყოფილიყო. ასეთ პირობებში,
რადენადაც მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის გან-
ვითარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთი
საქართველოს მთიელთათვის და ამდენადვე ქართლის სახელ-
მწიფოს ეკონომიკისთვისაც, სრულიად აუცილებელი იყო მისი
ზამთრის საძოვრებით უზრუნველყოფა და უკანასკნელთა
მკიდრად დაუფლება. ეს კი ნიშნავდა კამბეზოვანის მთელ
ტერიტორიაზე ქართლის მეფეთა იურისდიქციის გავრცელე-
ბას. სწორედ ეს განახორციელა ვახტანგ გორგასალმა.

ქართლის მეფეთა ამ აღმოსავლურ პოლიტიკას, როგორც
ვიცით, ეკონომიკური ფაქტორების გარდა პირობებდა დემო-
გრაფიული პროცესებიც, რომელიც გამოიხატებოდა, ჩვენთვის
უკვე ცნობილი მიზეზის გამო, ქართული მოსახლეობის, კერ-
ძოდ, აღმოსავლელ – ქართველ მთიელთა მიგრაციით კამბე-
ზოვანში. ეს პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, უძველესი
დროიდანვე ვითარდებოდა და გრძელდებოდა მთელი შუა-
საუკუნეების განმავლობაში. უკანასკნელ ძლიერ ტალღას
მთიელთა აქ ჩამოსახლებისას ადგილი ჰქონდა ჩვენი საუკუნის
დასაწყისში, როდესაც ფშავლები ჩამოვიდნენ შირაქის ველზე.

კამბეზოვანის დიდი მნიშვნელობა ქართლის სახელმწი-
ფოსათვის მხოლოდ ზამთრის საძოვრებით არ იყო გაპირობე-
ბული. აქ ინტენსიური მიწათმოქმედებაც, როგორც ვიცით,
საკმაოდ განვითარებული იყო და არა მხოლოდ მის ჩრდი-
ლო-დასავლეთ ნაწილში. ამის მოწმობაა უძველესი ხანი-
სათვის ე.წ. “ალაზან-იალოილუ თაფას” არქეოლოგიური

კულტურისათვის ანუ, როგორც ფიქრობენ, იგივე “პერედი კულტურისათვის” დამახასიათებელი საღვინე ჭურჭლის აღმოჩენა აღაზნის ველზე, დღევანდველი ქიზიყის ტერიტორიაზე. ამაზევე მიუთითებს ყოდოთოს ხევის (ძველ ანაგასთან) ფეოდალური ხანის (IX-XII სს.) ნამოსახლარიდან მოპოვებული რკინის სასხლავი დანის ფრაგმენტი. ყველაფერი ეს კამბეჩოვანში მევენახეობა-მედვინეობის განვითარებაზე მიგვითითებს. ასევე იყო უფრო გვიანაც. ასე მაგალითად, ვახუშტი როდესაც აქ დასახლებულ თურქმან მომთაბარეებზე წერს, აღნიშნავს, რომ “სთესდნენ ესენი ყოველსავე”. მაშასადამე ეს “თათრის ელები” მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. გარდა ამისა ადსანიშნავია ისიც, რომ კამბეჩოვანის ტერიტორიაზე საირიგაციო არხების ნაშთებია მიკვლეული და ინტენსიური ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები უეჭველად კიდევ უფრო მეტს გამოავლენს. ამასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა ვახუშტის ცნობა, რომ “პერეთის ქვეყანასა აკეთებენ ყოველგან აბრეშუმს... გარნა იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესვენ ბრინჯ-ბამბასა” – ცხადია, აქ კამბეჩოვანის ტერიტორიაც იგულისხმება.

ფრიად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმასაც, რომ ძველად აქ განვითარებული ყოფილა როგორც კერამიკული, ასევე მინის წარმოებაც, რაც დასტურდება ყოდოთოს ზემოხენებულ ნამოსახლარზე დამოწმებული კერამიკული ნახევარფაბრიკატებით და მინის დეფორმირებული სამაჯურით (წარმოების წუნი).

კამბეჩოვანის ტერიტორიაზე, როგორც ვიცით, ძველთაგანვე გადიოდა გზები, რომელნიც არა მხოლოდ სავაჭრო, არამედ სამხედრო ოვალსაზრისითაც ფრიად მნიშვნელოვანი იყო. ამ გზებით, რომლებიც ერთმანეთს უკავშირებდა ქართლს (ივერიას), ალვანეთს და სომხეთს არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ რომაელი ვაჭრებიც და ლეგიონებიც დადიოდნენ. უძველეს ხანაშივე ამ კომუნიკაციების ერთ-ერთ

მონაკვეთს “ქალაქსა კამბეზოანზე” (=ხორნაბუჯი) და გარეჯის/უდაბნოზე უნდა გაევლო, თუკი რავენის ანონიმის მიერთება დასახელებულ პუნქტოაგან “კამია” კამბისა|| კამბეზოვანად, ხოლო “გარე” გარეჯად უნდა აღდგეს, როგორც ეს ზოგიერთ მეცნიერს არც თუ უსაფუძვლოდ ჰგონია. ეს სავაჭრო მაგისტრალები აპირობებდა მნიშვნელოვანწილად ქართული მოსახლეობის მიგრაციასაც კამბეზოვანისაკენ. ერთ-ერთი ასეთი გზა – “პანტიშარა” – დღესაც ფუნქციონირებს და კკვეთს ქიზიყის ალაზან-იორს შორის ზეგანს აღმოსავლეთიდან დასავლეთით.

ზემოთქმული უნდა მოწმობდეს, რომ კამბეზოვანს პქონდა არა მხოლოდ უაღრესად დიდი ეკონომიკური, არამედ სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც და სწორედ ამით უნდა ყოფილიყო გაპირობებული ინტერესი და, ჩანს, დაპირისპირებაც, რომელიც შეიმჩნევა ქართლის, ალვანეთის და სომხეთის სახელმწიფოებს შორის ამ თვალსაზრისით: კამბეზოვანის ტერიტორიაზე – ზემოხსენებული ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთსასაზღვრო ზონაში – ძველთაგანვე ერთმანეთს ეხლართებოდა მათი, როგორც სავაჭრო-სამეურნეო, ისე სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები. ამიერკავკასიული პოლიტიკის ამ ლოკალური კვანძის გახსნა ხვედრად ვახტანგ გორგასალს ერგო, რომელმაც თავის პოლიტიკურ ნებას დაუმორჩილა “ქალაქი კამბეზოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით”. ფაქტობრივად, სწორედ ამ დროს უნდა მიეღო კამბეზოვანს ქართლის სამეფოს “სანაპირო საერისთავოს” ანუ სასაზღვრო სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსი, რომელიც მან, როგორც ვნახავთ, გვიანაც შეინარჩუნა.

მართლაც, VI ს-შიც, მას შემდეგ, რაც ქართლი ერანელებმა დაიპყრეს და მეფობა გააუქმეს, კამბეზოვანი ქართლის სამეფოშია, თუმცა კი ხორნაბუჯში სპარსელი მოხელე ზის, რომელიც ზედამხედველობს ამ კუთხეს და უმჭველია, ქარ-

თლის მარზანს ემორხილება.

XI ს-ის ქართველი მემატიანე, სუმბატ დავითის ძე, ქართველი თლში ბაგრატიონთა მოსვლის საკუთარ ვერსიას გვიამდობასა „შვილი ძმანი, ძენი ამის სოლომონისნი, წარმოვიდეს ქუეყანით ფილისტიმით (პალესტინით), ტყუეობით წარმოსულნი ჰურიანი და მოიწივნეს ეკლეცის წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ იღეს. და დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდლად დღედმდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს.

და ოთხი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატონიანნი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი. ხოლო ძმა მისი, სახელით საპაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს (კახეთის ერისთავეს). და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხვდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას „შინა”... მეორეგან იგივე ავტორი კიდევ ერთხელ ეხება, მოკლედ, ამ ეპიზოდს: “ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავესა ბაჟარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს კამბეზოანი”...

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული, რომ 1926 წ. ძველ ანაგაში შემთხვევით გამოვლენილი მდიდრული სამაროვანის ქვით ნაგებ ერთ-ერთ აკლდამაში სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილ იქნა სასანური კულტურის წრისადმი კუთვნილი ოქროს ბალთებიანი სარტყელი მაღალი წრის წარჩინებული მამაკაცის (ვარაუდობენ – ხორნაბუჯის ერისთავის?) გამოსახულებით, რომელიც სწორედ VI-VII საუკუნეებით თარიღდება.

ამგვარად, როგორც ვხედავთ VI ს-ში, კამბეჩოვანი ცენტრით ხორნაბუჯში ქართლის სახელმწიფოში ერთ-ერთი საერისთავოა, კახეთის გვერდით, თუმცა მისი სტატუსი შეძინებული არა ანს, სხვაგვარია, რამდენადაც აქ სპარსელი მოხელე ზის. ქართველი მემატიანის ამ ცნობას უნდა ადასტურებდეს არაბი ისტორიკოსის, ბალაზურის, ცნობა, რომ ერანის შპმა ხოსრო ანუ შირვანმა (531-579 წწ.) ააგო კამბეჩოვანის ციხე-ხიმაგრე. აქ, გვგონია, სწორედ ხორნაბუჯი იგულისხმება, რომელიც შპმს, ცხადია, არ აუგია, მაგრამ, შესაძლებელია, რაიმე მშენებლობა ჩაატარო. ასეთი ვითარება, ჩვენი აზრით, სწორედ კამბეჩოვანის სტრატეგიული მდებარეობით უნდა აიხსნებოდეს, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, კერძოდ, მისი, როგორც ქართლის სახელმწიფოს სასაზღვრო ერთეულისა ალვანეთთან და სომხეთთან, სადაც თავს იყრიდა ამ ქვეყანათაგან მომავალი მაგისტრალური გზები და საიდანაც ამდენადვე ადვილი მისაწვდომი და გასაკონტროლებელი იყო ეს ქვეყნები.

VI ს-ის ბოლოს ვეზან სპარსელი ერისთავი, ბარამ ჩუბინის დიდმოხელე მოუკლავთ და კამბეჩოვანი კვლავ ქართლი-სოვის დაუმორჩილებიათ.

ასეთივე პოლიტიკური ვითარებაა VII ს-ის პირველ ნახევარში: კამბეჩოვანი, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული ქართლის სამთავროშია. ამაზე გვარწმუნებს ალვანთა ისტორიკოსის, მოსე კალანკატუელის ჩვენება. მისი სიტყვით “ჯივანშირი, გარდმანის უფალი და ალვანთა მთავარი” სპარსელებთან საბრძოლო შეტაკების შემდეგ თავის ქვეყანაში, “სწრაფად მიბრუნდა თავისი მამეული ქვეყნის საზღვრებიდან მტკვარგალმა კაპიჭანის მხარეში”, სადაც კიდევ ერთხელ დაამარცხა ერისთავები და “კვლავ სახელოვნებით ისვენებდა ქართლის საზღვრებზე და იქ მოვიდა მასთან დიდად პატივცემული კაცი, ატრნერსკი, მთავარი იმ ქვეყნისა, რომელსაც სამგზისი დიდი წოდებულება პქონდა ბერძენთა მეფობისაგან, და თავისი ნებით უხვევდა მას ჭრილობებს

და უხაროდა მისი (ჯივანშირის) დიდი სიმხნის გამარჯვება. მაშინ დაამყარეს ერთმანეთში სამშვიდობო და ურდვევით თანხმობა. და აიყვანა (ჯივანშირმა) დასახმარებლად ჭარტალის ლაშქარი და სწრაფად გაეშერა უტის მხარეში”. ეს ატრენერს კი მოსე კალანგატუელისა ქართული წყაროების ადარნასე ქართლის ერისმთავარია და, როგორც ასეთი, არის “მთავარი იმ ქვეყნისა” ანუ კამბეჩოვანისა. სწორედ ამიტომ მოდის აქ ჯივანშირის სანახავად და მტერზე გამარჯვების მისაღოცად.

ვიდრე კამბეჩოვანის შემდგომ თავგადასავალს შევეხებოდეთ აქ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე უნდა შევჩერდეთ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველი კამბეჩოვანის ტერიტორიაზე ქართველებს, სტრაბონის მიხედვით, ურთიერთობა უხდებოდათ არა მხოლოდ ალვანელებთან, არამედ სომხებთანაც, რამდენადაც იმ დროისათვის გაძლიერებულ სომხეთის სამეფოს, როგორც ჩანს, კამბეჩოვანის სამხრეთი ნაწილიც დაუჭერია.

არავითარი “შტკვარსიმიერი სომხეთი”, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასოდეს არ არსებობდა. ასეთი ტერმინის შემთლება სცადა სომქემა მეცნიერმა ა. მხაცაკანიანმა, რომელიც ამ მის მიერვე გამოგონილი ტერმინის ქვეშ გულისხმობდა “მთლიანად კამბეჩოვანის თემს და მასთან აღმოსავლეთით მომიჯნავე მიწებს”. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ უნდა გავიგოთ სტრაბონის ცნობა და ამდენად ამაზე აღარ შევჩერდებით.

სომხური გავლენის ფაქტად კამბეჩოვანის ტერიტორიაზე მოაქვთ ერთი ეპიზოდი დავით გარეჯელის “ცხორებიდან”. კერძოდ, “ცხორების” ერთი რედაქციის მიხედვით გარეჯის უდაბნოთა მიდამოებში მოსულ ბერს, ადგილობრივი ხელისუფალი, “ბარბაროზი ვინმე (რომელი-იგი) აღმოსრულ-იყო ნადირობად” ანუ რომელიც ნადირობდა ამ სანახებში, გაკვირვებული ეკითხება: “ვინ ხარ შენ, კაცო, და სადათ

მოწევნული ადგილთა ამათ შინა დამკვდრებულ ხარ? 

ხოლო წმიდად იგი ეტყოდა მას სომხურითა ენეთა მე მონა ვარ უფლისა ჩეენისა იესუ ქრისტესი”... საქმე ჭხვის საუკუნეს.

პაგიოგრაფის ეს ცნობა კვალიფიცირებულია, როგორც ფაქტი, რომელიც სავსებით ნათლად მიუთითებს ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ კუთვნილებაზე, ანუ ამ კვალიფიკაციით VI ს-ში გარეჯის უდაბნოთა და ე.ი. კამბეჩოვანის ტერიტორიაზე სომხური მოსახლეობაა.

“ცხოვრების” ამ ჩვენების ამგვარი ინტერპრეტაციის ავტორი იგივე ა. მნაცაკანიანია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი, რადგან: ჯერ ერთი, გარეჯის უდაბნო, რომელიც ოდესადაც, მართლაც, შედიოდა პერეთში (ვიწრო მნიშვნელობით) და, შესაძლებელია, კიდეც ითვლებოდა კამბეჩოვანის ფარგლებში (თუმცა, უფრო სავარაუდოა ასეთად სუჯეთის თემი წარმოგვედგინა, რომელიც როგორც ვიცით, კამბეჩოვანის დასავლეთით მდებარეობდა მდ. იორის შუა დინებაზე), VI ს-ში ივერიის ტერიტორიად ითვლებოდა. ეს ჩანს იქიდანაც, რომ დავით გარეჯელის “ცხოვრების” მეორე რედაქციის მიხედვით ზემოხსენებული ხელისუფალი, რომელიც დავითთან სომხურად საუბრობს იყო “ერისმთავარი იგი რუსთავისა”, ხოლო რუსთავი კი დღიდან მისი დაარსებისა იყო აღმოსავლურ-ქართული ქალაქი და კუხეთის ცენტრს წარმოადგენდა. რადგან რუსთავის ერისმთავარი გარეჯის უდაბნოთა მიდამოებში ნადირობს, აქედან ცხადია, რომ ეს ტერიტორია რუსთავის საგამგეოში შედის.

ამგვარად, პაგიოგრაფის ჩვენება და მისი ა. მნაცაკანიანისეული ინტერპრეტაცია ეხება არა კამბეჩოვანს, არამედ კუხეთს.

მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარია ის, რომ არაკორექტულია თვით ა. მნაცაკანიანის ინტერპრეტაცია: მას წყაროს ცნობიდან გამოაქვს ის ინფორმაცია, რომელსაც ეს

წყარო, ფაქტობრივად, არ შეიცავს. რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მართალი იყო მ. ბროსე, როდესაც პაგიოგრაფის აღმ ჩვენებაზე დაყრდნობით თვლიდა, რომ დავით გარეჯელი კუხეთში სომებს სენიორს შეხვდა. მართლაც, წყარო გვეუბნება, რომ “რუსთავის ერისმთავარი” საუბრობს სომხურ ენაზე და ე.ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი სომები იყო. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, თითქოს აღგილობრივი მოსახლეობაც სომხური იყო.

რა მოსახლეობა უნდა ყოფილიყო ამ დროს კუხეთში? თუ გავითვალისწინებთ ყველა იმ ცნობათა ერთობლიობას, რომელიც ამ მხარის ისტორიულ განვითარებას შეეხება, ეჭვი არ არის, რომ ეს მოსახლეობა ქართულია. ჩვენ გვაქვს კონკრეტული საბუთებიც საამისოდ: ჯერ ერთი, თვით სახელწოდება “რუსთავი”, რომელიც, ცხადია, ქართულია; შემდეგ – არქეოლოგიური ძიებით მოპოვებული კერამიკული. ფრაგმენტები ქართული წარწერებით: ერთი თვით ქალაქ რუსთავიდან, დათარიღებული VII ს-ით; ორი – რუსთავის სანახებიდან, დათარიღებული V-VI საუკუნეებით; დაბოლოს, ქართული წარწერა ქვის სტელაზე თვით დავით-გარეჯის უდაბნოდან, ნათლისმცემლის მონასტრიდან, რომელიც ასევე VII ს-ით თარიღდება:

“ესე ჯუარი მე მართუეც აკმართე სალოცველად
ჩემდა და ცოლისა და შვილთათვს”.

ამგვარად არავითარი ეჭვი არ არის, რომ გარეჯის უდაბნოს მიდამოების მოსახლეობა უძველეს ხანაშივე ქართული იყო.

რა ვითარებაა ამ მხრივ საკუთრივ კამბეჩოვანში?

ძველი ვითარება ჩვენთვის უკვე ცნობილია და ძვ. წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებიდან მაინც აქ ქართული მოსახლეობის არსებობა უმჭველია. მირიანის და წმინდა ნინოს მოღვაწეობაც, მაინცდამაინც, ბოდბესთან დაკავშირებით, რაზედაც აგრეთვე ზემოთ იყო საუბარი, ამაზე ეჭვს არ

ტოვებს IV ს-თვის და ამის მატერიალური მოწმობაა, ამა-
მხოლოდ ბოდის IV ს-ის სამღვევლო, არამედ ხერხებს
V-VI საუკუნეების ბაზილიკაც.

VII საუკუნისათვის გვაქვს ზემოთ ერთხელ უკვე მოტა-
ნილი ცნობა არსენი საფარელისა, რომლის მიხედვით სომხუ-
თის “ქუცყანით განვდილი” იოანე ბერი “წარვიდა ოტებული
კავკასიის მთასა და მუნით უკ-მოიქცა მსწრაფლ, რამეთუ
არა შეიწყნარეს იგი მთეულთა მათ კაცთა, რამეთუ იყვნეს
იგინი კერპთმსახურ და გარდამოვიდა კამბეჩანს და დაემჯდრა
ჭევსა შინა მცირესა, რომელსა პრექიან ჭევი სომხითისა და
მრავალნი დაიმოწაფნა არა თუ მას შინა ოდენ, არამედ
ამიერ მტკურისა, არარატს, გარდმანს, ძორფორს და სომხითს”.
რამდენადაც არმენიას ძველი ქართველები “სომხითს” უწოდე-
ბენ ამდენად ა. მნაცაკანიანი ასკვნის, რომ VII ს-ში კამბე-
ჩანი დასახლებული იყო სომხებით და მის ერთ-ერთ ხევს
ასევე ეწოდებოდა “ჰაიოც ძორ” – “სომებთა ხევი”.

როგორ არის საქმე სინამდვილეში?

ჯერ ერთი, წყაროში დასახელებულია არა “სომებთა
ხევი”, არამედ “ხევი სომხითისად”

შემდეგ, “სომხითი”, როგორც ცნობილია, ძველ ქართულ
წყაროებში იხმარება, როგორც სომხეთის (არმენიის) მნიშ-
ვნელობით, ასევე ქვემო ქართლის მნიშვნელობითაც. საამი-
სოდ არსებობდა საფუძველი მას შემდეგ, რაც IX ს-ის ბოლოს
ანისის მფლობელმა აშოგ ბარეპაშტმა ივერიისაგან დაიპყრო
ეს ტერიტორია და ამიტომ “სომებთა და ქართველთა ერის-
თავთ-ერისთავიც” გახდა.

არსენი საფარელი თავის თხზულებაში ამ ტერმინს რამო-
დენიმეჯერ სწორედ “ქვემო ქართლის” მნიშვნელობით ხმა-
რობს (ასეა, კერძოდ, ზემომოტანილ ამონაწერშიც!) და მისი
“შევი სომხითისა” სწორედ ქვემო ქართლისადმი კუთვნილუ-
ბას გამოხატავს და არა “არმენიის ხევს”.

მაგრამ სწორედ ისე რომ გავიგოთ ქართული წყაროს

ცნობა, როგორც ეს ა. მნაცაკანიანს სურს, ვითომ აქ “სომებით ხევზეა” საუბარი ანუ ერთ ხევზე, რომელშიც სომხებიც ცხოვრობდნენ, მაშინ სწორედ ასეთი ინტერპრეტაცია გამოდგება მისი დასკვნის უპირობოდ უარსაყოფად. სავსებით ცხადი უნდა იყოს, და ეს ეთნო-ტოპონიმიკის წარმოქმნის კანონზომიერებას წარმოადგენს, ისეთი ტოპონიმი, როგორიცაა “სომხეთის ხევი” ან “სომხური ხევი” არ შეიძლება წარმოიქმნას სომხურ გარემოში. პირუეჟ ასეთი ტიპის ადგილის სახელები შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სომხეთისათვის უცხო გარემოში: როგორც წესი დასახლებულ პუნქტებს, სოფლებს ტომობრივი კუთვნილების მიხედვით სახელწოდებანი ეძლევათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი გარემოცულნი არიან უცხო ეთნიკური გარემოთი ანდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი მდებარეობენ ორი სხვადასხვა ეთნოსის ურთიერთსასაზღვრო ზონაში.

ამგვარად, ეთნო-ტოპონიმიკის წარმოქმნის კანონზომიერებიდან გამომდინარე სრულიად გამორიცხულია VII ს-ის კამბჯოვანში ერთიანად სომხური მოსახლეობის არსებობა და უკეთეს შემთხვევაში სომხები შეიძლება აქ ყოფილიყვნენ ცალკეული იზოლირებული დასახლებების სახით არასომხურ ეთნიკურ გარემოცვაში. მართლაც, არსენი საფარელის ცნობით ეს “ხევი სომხითისა” ხომ “ხევსა მცირესა” წარმოადგენდა!

ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესო ჩანს, მართალია, ცოტა უფრო გვიანდელი, მაგრამ მაინც ნიშანდობლივი ვითარება: გარეჯის ტერიტორიაზე, მდ. ივრის მარჯვენა სანაპიროზე, აღგილ მაღაზანაში, კლდეში გამოკვეთილია სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც “საბერები” ეწოდება. აქ ფიქსირებულია VIII-IX საუკუნეების გუმბათოვანი ეკლესიები, IX-X საუკუნეების ფრესკული მოხატულობით და წარწერებით. წარწერები ქართულია, მხოლოდ ერთ ეკლესიაშია წმინდანთა ფრესკებზე მიწერილი რამდენიმე სომხური წარწერა,

რაც მოწმობს რომ ამ პერიოდში მაღაზანას ქართულ მონასტერში თავშეფარებულნი იყვნენ სომეხი-დიოციზიტემის და გარემონტის მაღაზანას

გარდა მაღაზანას ქართული წარწერებისა, საკუთრივ კამბეჩოვანიდან, კერძოდ, ხირსის სამონასტრო კომპლექსიდან, გვაქვს კიდევ ერთი ქართული წარწერა სამშენებლო ხასიათისა, რომელიც თარიღდება 886 წლით, საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ შექმნილია ვიდაცის “ერისთაობასა”. მეორე წარწერა, X საუკუნისა, ბოდისხევის ეკლესიიდანაა. განსაკუთრებით საინტერესოა მდ. მდ. ალაზნისა და იორის შეერთების ადგილზე, კამბეჩოვანის ამ ყველაზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე განლაგებულ ძველ ნაქალაქარზე, რომელიც ქართული წყაროების ხორანთა უნდა იყოს, ანაკრეფ კერამიკულ მასალაში დადასტურებული დოქის ყურის ფრაგმენტი, რომელზეც ამოჭრილი იყო ქართული ასო.

ჩვენი საკითხისათვის საინტერესოა ისიც, რომ კამბეჩოვანის ტერიტორიაზე VIII-IX საუკუნეებში აგებულ იქნა ხირსის და ოზაანის ქართული გუმბათოვანი ტაძრები.

ეხლა შეგვიძლია კიდევ ერთხელ ვიკითხოთ: რა მოსახლეობა ცხოვრობს აღნიშნულ საუკუნეებში, ე.ი IV-X საუკუნეებში, კამბეჩოვანში? თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს – პოლიტიკური, კულტურული და ეთნიკური პროცესების განვითარებას, ამ კუთხის ძველ არქიტექტურას და ეპიგრაფიკას, უნდა დავასკვნათ, რომ ამ საუკუნეებში კამბეჩოვანის ძირითადი მოსახლეობა, რა ოქმა უნდა ქართული იყო და საამისო მყარი საფუძველი უკვე ანტიკურ ხანაში იყო შექმნილი. კამბეჩოვანის ქართულ მოსახლეობაში ცალკეული, იზოლირებული კუნძულების სახით ჯერ კიდევ დასტურდება სომხური მოსახლეობის არსებობა. შესაძლებელია ასევე ალაგ-ალაგ არსებობდა ალვანური მოსახლეობის ნაშთებიც.

ის გარემოება, რომ V ს-ის მეორე ნახევრისთვის კამბეჩოვანი ქართლთან ერთად ფაქტობრივად, ერთ ეთნო-კულ-

ტურულ კომპლექსს ქმნიდა, რაც, არსებითად, იმის ხაფუნდებული გახდა, რომ ვახტანგ გორგასალს იგი უშუალოდ შემოერთებინა ქართლის სამეფოსათვის და იგი საუფლესო წელოდ თავისი მემკვიდრისათვის გადაეცა, როგორც კამბენოვანის ისტორიაში, ისე საერთოდ ქართლ-კერეთის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის თვალსაზრისით ეტაპური მნიშვნელობის მოვლენაა, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა ამ თემის შემდგომი ისტორია, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილისა. მისი საბოლოო დაუფლებისათვის მრავალსაუკუნოვან ჭიდილში ამიერკავკასიის სამ სახელმწიფოს – ქართლის, ალვანეთის და სომხეთის სამეფოთა შორის, რომელიც თავის მხრივ გაპირობებული იყო კამბენოვანის სტრატეგიული მნიშვნელობით, ეკონომიკური პოტენციალით და, პირველ რიგში, მისი ფიზიკური მდებარეობით ამ სამი სახელმწიფოს ურთიერთშეხების ზონაში, გამარჯვებული საბოლოოდ ქართლის სამეფო გამოვიდა: კამბენოვანი ქართული სამყაროს ორგანული ნაწილი გახდა, არა მხოლოდ მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, როგორც ეს უკვე ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნისათვის მაინც ფაქტია, არამედ მთელი მისი ტერიტორიის თვალსაზრისით.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამიერკავკასიის დანარჩენ ორ სახელმწიფოს, ალვანეთს და სომხეთს საბოლოოდ ხელი აეღოთ საქუთარი პრეტენზიებისაგან და თუ სომხეთი ამის განაღებას კულტურულ-საეკლესიო გავლენის გავრცელების საშუალებით ცდილობდა, ალვანეთის ხელისუფალნი პოლიტიკური თვალსაზრისითაც არ აკლებდნენ მცდელობას კამბენოვანი კვლავ თავისი გავლენის ქვეშ მოექციათ.

ამ პროცესების შეფასებისას ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ მას შემდეგ, რაც ქართლისა და სომხეთის სახელმწიფოებს შორის 607 წელს საეკლესიო განხევთქილება მოხდა, ქართლმა ქრისტიანობის დიოციზიტური მრწამსი

ანუ მართლმადიდებლური კულტი აღიარა, ამით კიდევ ურთხელ დაადასტურა თავისი კულტურული ორიენტაციის დასაცალური მიმართულება (ბიზანტიის კენ) და ამდენად დაუპირისპირდა სომხურ მონოფიზიტურ პროირანულ მრწამსს, ბრძოლა ჰერეთისა და, კერძოდ, კამბეჩოვანის კულტურული დაუფლებისთვის კიდევ უფრო გართულდა, რადგან თვით ალვანეთმაც საბოლოოდ მონოფიზიტურ მრწამსს დაუჭირა მხარი და ამით, ფაქტობრივად, სომხური ძლიერი კულტურის გავლენის ქვეშ მოექცა. ასე რომ როდესაც ალვანეთის სახელმწიფო ცდილობს ივერიის აღმოსავლეთ პროვინციებზე თავისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებას, ეს იმავდროულად სომხური საეკლესიო-კულტურული ექსპანსიის მოწმობაცა.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ალვანეთის მტკვრისსამხრეთი პროვინციები, სადაც სომხური გავლენა, როგორც ვიცით, უკვე ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებში საკმაოდ ძლიერი იყო, გასომხდა, ხოლო ალვანეთ-ივერიის ლიმიტროფული მხარე – ჰერეთი კამბეჩოვანიანად, სადაც ქართულ მოსახლეობასთან ერთად ალვანელებიც ცხოვრობდნენ – ქართლის სახელმწიფოს ძლიერი ეთნიკური და კულტურული გავლენის შედეგად ქართულ სამყაროს შეერწყა, ქართულ ეთნო-კულტურულ ერთეულად იქცა. საკუთრივ ალვანურმა სახელმწიფომ და კულტურამ თავი იმით “გადაირჩინა”, ძლიერი სამხრეთელი და დასავლეთელი მეზობლების კულტურული გავლენისაგან, რომ არაბთა შემოსევების შედეგად ისლამი მიიღო, რამაც, საბოლოო ჯამში, მისი მოსახლეობის გათურქმანება-გააზერბაიჯანელება გამოიწვია, მაგრამ ყველაფერი ეს გაცილებით გვიან მოხდა...

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხანაში კი, VII ს-ის 50-იან წლებში როდესაც არაბები ამიერკავკასიის ქვეყნებში, ერანის დამორჩილების შედეგ, თავისი პოლიტიკური ძალაუფლების დამყარებას ახერხებენ, წყაროთა ჩვენებების მიხედვით კამბეჩოვანი ალვანეთის სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში



შედის.

არაბი ისტორიკოსი, ჩვენთვის უკვე ცნობილი ბალაზეური (IX ს.) მოგვითხრობს, რომ ამიერკავკასიის ჯერ კიდევ დასაპურობი ქვეყნებიდან ჯურზანი (ქართლი) წილად ხვდა პაბიძ იბნ-მასლამას, არაბთა მხედართმთავარს, ხოლო არანი (ალვანეთი) – სალმან იბნ-რაბიას.

პაბიბმა ქართლის ერისმთავართან ზავის დადებისა და თბილისის, ქვემო ქართლის და შიდაქართლის დაჭერის შემდეგ დაიმორჩილა ჯურზანის დანარჩენი ქვეყნები: ხუნანი, ქასალი, გარდაბანი, თრიალეთი, კახეთი, კუხეთი, ბაზალეთი, ქსნის ხევი, კასპი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, დარიალანი წანარებითურთ და დიდოელები.

რაც შეეხება სალმან იბნ-რაბიას, როდესაც იგი არანის დასაპყრობად წავიდა, პირველად მან დაიჭირა ქალაქი ბაილაქანი (მტკვრისა და არაქსის შესართავთან) და მისცა მას დაცვის სიგელი. შემდეგ იგი მიდის ჩრდილო-დასავლეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირის აყოლებით და იპყრობს ქ. ბარდავს მისი მახლობელი სოფლებით. შემდეგ იჭერს ძველ ალვანურ პროვინციებს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე: შაკაშენს, მეწეკევანს, უტის, მეწირანს და სხვა ადგილებს არანში. უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი არანისა მტკვრის სამხრეთით, რომელსაც არაბთა მხედართმთავარი იპყრობს ძველი ქალაქი შამქორია, რომელიც დღესაც არსებობს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და რომელიც VII ს-ში, უფრო აღრეც და უფრო გვიანაც სასაზღვრო ქალაქი იყო ივერიასა და ალვანეთს (უფრო გვიან: საქართველოსა და არანს) შორის. აქედან სალმანი უკან ბრუნდება მტკვარ-არაქსის შესართავთან, აქ გადადის მტკვრის ჩრდილოეთით, იპყრობს ალვანეთის (არანის) დედაქალაქს, ყაბალას და “ზავს დებს შაქანისა და კამიბერანის მფლობელებთან ხარკის გადახდის პირობით”.

თუმცა არაბი ისტორიკოსი ბალაზური IX საუკუნეში ცხოვრობდა, მაგრამ ცნობილია, რომ იგი სწორედ VII ს-ის

შუახანების ოფიციალური დოკუმენტური წყაროებით სამ-
გებლობდა და ამდენად მის მიერ გადმოცემული სურათი
ამიერკავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიული სიტუაციის
შეესატყვისება სწორედ არაბთა პირველი შემოსევის წლებს.
ამდენად ამ ცნობათა რეალურობაზე ეჭვის მიტანა არ შეიძლე-
ბა, რაც თვით მათი დეტალური ინფორმაციითაც დასტურდება.

როგორც ვხედავთ, ჯურზანში ანუ ქართლის საერისმთავ-
როში ჩამოთვლილ თემთა შორის “კამბეზოვანი” არ ჩანს.
რაც შეეხება ალვანეთის თემებს, აქ მტკვრის ჩრდილოეთ
მხარეში ყაბალასა და შაქის (შაქან) გვერდით “კამიბერანია”
დასახელებული, რომელიც, როგორც ამას სამართლიანად
ფიქრობენ, უნდა იყოს შერყვნილად გადმოცემული “კამბე-
ზანი” ”კამბეზოვანი”. არაბული დამწერლობის ნიადაგზე ეს
შეცდომა ადვილი ასახსნელია.

ამგვარად, ბალაზურის ჩვენების მიხედვით VII ს-ის შუახა-
ნებში კამბეზოვანი კვლავ არანის ანუ ალვანეთის სახელმწი-
ფოს ფარგლებში შედის და, მაშასადამე, პოლიტიკურად გამო-
თიშულია ქართლიდან. მართლაც, კამბეზოვანი და შაქიც
ალვანეთში რომ შედის, ეს კონტექსტიდანაცა ჩანს, ჯურზა-
ნის (ქართლის) დაპყრობის ანალოგიით: პაბიძ იბნ-მასლამა
იჯერს თბილისს, ქართლის დედაქალაქს და ზავს ქართლის
დებს სხვა თემებთან. საღმან იბნ-რაბია კი იჯერს ყაბალას
— ალვანეთის ძველ დედაქალაქს და ზავს დებს ალვანეთის
დანარჩენ თემებთან.

ასეთი ვითარება გრძელდება, როგორც ჩანს, მთელი VII
ს-ის მეორე ნახევრის განმავლობაში და VIII ს-ის დასაწყის-
შიც, როგორც ეს ერთი ავთენტიკური წყაროს მიხედვითაა
სავარაუდო.

კერძოდ, შემონახულია დოკუმენტი, რომელიც დაცული
აქვს X საუკუნის ალვანთა ისტორიოსს და რომელიც შედგა
ნილი ყოფილა ხალიფა აბდ-ალ-მალიქის (685-705 წწ.) დროს,
უფრო ზუსტად კი 699-705 წლებში, როდესაც ალვანეთში

მთავრობდა შერო. ეს დოკუმენტია, როგორც მას თვით  რიკოსი უწოდებს “ნუსხა ალვანეთის ნახარართა სახელმწიფო სა რიგის მიხედვით, რომელიც ამირ-მუმნ-ალ-მალიქის ნაჯუ-რისმა წაიღო და სამეფო დივანში დადო”. აქ ჩამოთვლილი არიან ალვანეთის მთავარსა და სპასეტს გარდა სხვადასხვა მხარის, თემის ერისთავები (ნახარარები) და მათ შორის “ვაჟან ვარაზ-იოპანიანი მაღიანელთა ტომიდან, იაკობიტური რწმენისა, რომლებიც მოვიდნენ და დაესახლნენ კამბიჭანში”.

როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტში, რომლის სანდოობაზე თითქოს ეჭვის მიტანა მნელია, მიუხედავად იმისა, რომ იგი გვიანდელ ავტორთან არის შემონახული, კამბეჩოვანი ალვანეთის მხარედ იგულისხმება, თანაც ივარაუდება, რომ მაღიანელთა გვარის წარმომადგენლები დიდი ხანია, რაც აქ დასახლებულან. შესაძლებელია ალვანელი ისტორიკოსის ეს ცნობა უკავშირდებოდეს სუმბატ დავითის ძის ჩვენებას იმის თაობაზე, რომ VI ს-ის ბოლოსთვის “ფილისტიმით” მოსულ ოთხ ძმათაგან ორნი “სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს... დაიპყრეს კამბეჩანი... და ამა უამამდე შვილი მათნი მთავრობენ მას შინა”. რა თქმა უნდა, ამ ორი ცნობის შეთანხმება საკმაოდ ხელოვნური ჩანს, მაგრამ არ არის გამორიცხული ისინი ერთი და იგივე ამბის გამოძახილს წარმოადგენდეს.

მაგრამ ეს არც არის ჩვენთვის მთავარი. ამ ცნობიდან საინტერესოა ის, რომ VIII ს-ის დასაწყისში კამბეჩოვანი კვლავ ალვანეთის სახელმწიფოში ითვლება.

ის გარემოება, რომ მთელი VII ს-ის მეორე ნახევრის განმავლობაში, ვიდრე VIII ს-ის დასაწყისის ჩათვლით, კამბეჩოვანის თემი ალვანეთს მიეკუთვნებოდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ცხადია, იმასაც უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ ამ პერიოდში აქ ალვანური, ფაქტობრივად კი უკვე სომხური საეკლესიო და კულტურული გავლენა უნდა გავრცელებულიყო წარჩინებულთა შორის, რისი მოწმობაცაა ის,

რომ კამბეჩოვანის ერისთავი ვაჟან ვარაზ-იოჰანიანი იაკობიტზ/ რი რწმუნისა ყოფილა. ამ ვითარებას გარკვეული მნიშვნელობა პქონდა მხარის შემდგომი ისტორიისათვის.

ვითარება სწრაფად იცვლება და ამავე VIII ს-ის 30-40-იან წლებში კახეთ-პერეთში ქართლის ერისმთავრის, არჩილის მოღვაწეობის დროს სიტუაცია სხვაგვარია. ქართველი მემატიანეს ცნობით, არჩილის ერისმთავრობის დროს სომები ბაგრატუნიანები “წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი, და დაემკვიდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკუდრო ქმნილიყო. ხოლო პერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილი იყო, და დაემკვდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის”. ამგვარად, როგორც ვხედავთ, არჩილი, რომლის ხელისუფლება უკვე შაქს (შაკიხს) გადასწვდება, ამ პროვინციას აძლევს ვასალობის პირობაზე სომხეთიდან მოსულ ბაგრატუნიანებს. მათვე აძლევს იგი ტერიტორიას შაკიხიდან “ვიდრე გულგულამდე”. როგორც ვიცით, სოფ. გულგულა (თურდოს ხეობაზე) ტრადიციულად კახეთისა და პერეთის საზღვრად ითვლებოდა. ამიტომ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ანონიმის მიხედვით სომებს ბაგრატუნიანებს არა მარტო შაკიხი დაუმკვიდრებიათ, არამედ შიგნით კახეთიც (ალაზნის მარჯვენა სანაპირო), და ე.ი. ქართული პერეთიც (ვიწრო მნიშვნელობით). კერძოდ, რამდენადაც შიგნით კახეთსა და შაქს შორის კამბეჩოვანის ვრცელი ტერიტორიაა გადაჭიმული, ამდენად საგულისხმოა, რომ წყაროს თვალსაზრისით კამბეჩოვანიც მათ მფლობელობაში უნდა მოხვედრილიყო. ამგვარად ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგიით ამ სამ მთავარს რგებია შაკიხი, კამბეჩოვანი, ველისციხე და საკუთრივ პერეთიც. რამდენადაც ისინი “დაემკვდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა”, ცხადია, ვასალური ურთიერთობის საფუძველზე, ამდენად, ეს ტერიტორიაც არჩილის სამფლობელოდ ე.ი. ქართლის საერისმთავროს

ტერიტორიად უნდა ვიგულისხმოთ.

ქართველი მემატიანის ამ ცნობას არ ეწინააღმდეგება ალვანელი ისტორიკოსის ზემომოტანილი, ავთენტიკურობული ბა: თუ VIII ს-ის დასაწყისში კამბეჩოვანი ალვანეთისაა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამავე საუკუნის 30-40-იან წლებში ასეთივე ვითარებაა. სრულიად ადვილი წარმოსადგენია იმ შფოთიან პერიოდში, რომელიც ქართლს დაუდგა მაინცდა-მაინც VIII ს-ის 30-იანი წლებიდან (მასლამა იბნ-მერვანის, მურვან ყრუს შემოსევები), როდესაც ხალხთან ერთად ფეოდალური სახლებიც ამოძრავდნენ, მცირე ხნის განმავ-ლობაში ამა თუ იმ ქვეყნის მფლობელი სახლი (გვარი) რამ-დენჯერმე შეცვლილიყო. ფეოდალური სახლების მოძრაობა საერთოდ დამახასიათებელია მთელი ფეოდალური პერიო-დისათვის, ხოლო რომ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ეს უცილობელი ფაქტია, შორს რომ არ წავიდეთ ზემომოტანი-ლი ამონაწერიც მემატიანის თხზულებიდან არჩილის კახეთ-პერეთში მოღვაწეობას რომ შეეხება, სრულიად საკმარისია.

არჩილის ერისმთავრობის პერიოდი, ეს არის საქართვე-ლოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აღრეფეოდა-ლური ეპოქის დასასრული და სავსებით მომწიფებული ფეო-დალური ურთიერთობის დადგინების ხანა. საზოგადოებრივი განვითარების ეს უკანასკნელი ეტაპი სოციალურ-პოლი-ტიკური თვალსაზრისით ხასიათდება ერთიანი ცენტრალი-ზებული აღრეფეოდალური სახელმწიფოს დაშლით ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებად, ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. სოციალური განვითარების ამ კანონზომიერების შესანიშ-ნავ ილუსტრაციას გვაძლევს სწორედ საქართველოს ისტო-რია: VIII ს-ის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთის მიყოლებით წარმოიქმნენ ცალკეული ფეოდა-ლური სამეფო-სამთავროები.

ქართლის აღრეფეოდალურ საერისმთავროს ყველაზე ადრე გამოეყო უკიდურესი აღმოსავლური პერიფერია – პერე-

თის სამთავრო.

ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს VIII ს-ის სამუშაო-
ისტორიკოსის ლევონდ ვარდაპეტის ერთი ცნობა: 764 წ.
ხაზართა ხაკანი არაბების მიერ დამორჩილებულ ამიერკავკა-
სიაში აგზავნის ლაშქარს. ხაზარებმა “განაბნიეს თავისი
მარბიელნი ჩრდილოეთით დიდი მდინარისა, რომელსაც კური
(მტკვარი) ეწოდება, აიდეს მრავალი თემი: ჰეჯარი, ქადა,
ოსტანი, მარზანიანი, ჰაბანდი, გეღავუ, შაქე, ბეხი, ხენი,
კამბეჭანი, ხოღმაღი – თემები ალვანთა ქვეყნისა. დაუფლ-
ნენ აგრეთვე ბალასაკანის სანატრელ ველს, სადაც (იყო)
ურიცხვი სიმრავლე ცხვრის ფარებისა და დიდალი ნახირისა,
რომელიც იავარჟუებს. დაიპურეს აგრეთვე ქართველთა მფლო-
ბელობის ქვეყნიდან შვიდი თემი: შუჩქი (სუჯეთი), ქუმაფორი
(ქვემის ხევი), ჩელთდი (ჩელეთი), წუქეთი, ველისციხე, თიანეთი
და ხერკი”.

ამ ფრიად საინტერესო ცნობიდან, პირველ რიგში, საყუ-
რადლებოა ის, რომ თანამედროვე ისტორიკოსის ჩვენებით
შაქი, ეხნი (ხენი) და ბეხი (ანუ ქართული წყაროების საკუთრივ
ჰერეთი), აგრეთვე კამბეჩოვანი ანუ ყველა ის თემები, რომ-
ლებიც ამავე საუკუნის პირველ ნახევარში არჩილის საბრძა-
ნებელს წარმოადგენდნენ და ე.ი. ქართლის საერისმთავროში
შედიოდნენ, 764 წელს ალვანეთის თემთა რიცხვში იხსენი-
ებიან. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ IX-X საუკუნეებ-
ში ჰერეთის სამეფო, რომელსაც არაბულ თანადროულ წყა-
როებში შაქის სამეფო ეწოდება, იმავე დროის სომხურ წყარო-
ებში დამოწმებულ ალვანთა სამეფოს უდრის, მაშინ ბუნებრივი
იქნება ვიფიქროთ: ლევონდის ცნობა სწორედ იმის მოწმობაა,
რომ VIII ს-ის 60-იანი წლებისათვის ჰერეთის სამთავრო,
როგორც დამოუკიდებელი ერთეული გამოყოფილია ქართლის
საერისმთავროსაგან.

ქართლის საერისმთავროსაგან გამოყოფილი ჰერეთის
სამთავრო იხსენივე ქართული ფეოდალური ერთეული იყო,

როგორც ცოტა უფრო გვიან გამოყოფილი კახეთის სამთავრო, აფხაზეთის სამეფო თუ ტაო-კლარჯეთის სამეფო

ჰერეთის სამთავროს ძირითადი ტერიტორია მოიცვალდა საკუთრივ ჰერეთს (კახეთის გალმამხრის აღმოსავლეთი ნაწილი საინგილოითურთ), შაქს და კამბეჩოვანს. ამაზე გვარუშუნებს ქართული და სომხური წყაროების შეთანაპირება. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ სომხეთიდან წამოსულმა ბაგრატუნიანებმა, რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, “დაიპყრეს შაკიხიდამ გულგულამდე და შემდგომად ჯუანშერისა (არჩილის შვილის) სიკვდილისა დაიპყრეს სრულიად ჰერეთი და იწოდეს მეფედ და დასხნეს ერისთავნი ვითარცა იწერვის: ერისთავი შტორისა, ერისთავი ხორნაბუჯისა, ერისთავი ვეჯინისა, ერისთავი მაჭისა”.

ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანია ის, რომ კამბეჩოვანი ცენტრით ხორნაბუჯში ჰერეთის სამეფოს (IX ს-ის ბოლოდან) ერთ-ერთი საერისთავოა. მართლაც, ხორნაბუჯის ერისთავს ჩვენ უფრო გვიან, XI ს-ში ვხვდებით, მაგრამ რომ ვახუშტი სრულიად რეალურ ვითარებას გადმოგვცემს, ეს იმითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ ხორნაბუჯის ერისთავი, ფაქტობრივად უკვე VI ს-ში არსებობდა.

ამიერიდან კამბეჩოვანის ისტორია ჰერეთის ქართული სამეფოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია და ამ ფეოდალური ერთეულის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საერთო კალაპოტში მიედინება.

ამ თვალსაზრისით ერთი რამაა აღსანიშნავი.

ჩვენ ვიცით, რომ ალვანეთის სამეფო უძველესი დროიდანვე განიცდიდა სომხური კულტურის ძლიერ გავლენას, რაც იმითაც გამოიხატა, რომ ალვანეთში საბოლოოდ ქრისტიანობის მონოფიზიტური მრწამსი გავრცელდა.

ქართული წყაროების მონაცემებით თითქოს არ არის საეჭვო, რომ ჰერეთის ტერიტორიაზე, მას შემდეგ, რაც 607 წ. სომხურ და ქართულ ეკლესიათა შორის მოხდა განხეთქი-

ლება, ქართველი მართლმადიდებლური, დიოციზიტური მართლებისა მოქმედებდა და ეს ასე იყო არჩილის დროსაც შემდეგ VIII ს-ის პირველ ნახევარშიც, თუმცა როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საკუთრივ კამბეჩოვანში სომხურ-აღვანური გავლენა ამ თვალსაზრისით შეიმჩნევა VII ს-ის მეორე ნახევარსა და VIII ს-ის დასაწყისში. ეს გავლენა, აღბათ, კამბეჩოვანის მმართველი წრით შემოიფარგლებოდა.

ასევე უნდა გაგრძელებულიყო მას შემდეგაც, რაც კამბეჩოვანი ჰერეთის სამეფოს შეერწყა და მისი ერთ-ერთი საერისთავო გახდა.

X ს-ის დასაწყისის სომები ისტორიკოსი და კათალიკოსი, პოვანეს დრასესხანაკერტელი გადმოგვცემს, რომ ჰერეთის სამეფოს მოსახლეობა ერთმორწმუნება სომხებისა და კ.ი. მონოფიზიტურ მრწამსს აღიარებს.

თუკი ადრე სომებ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით ჰერეთის მოსახლეობა (ეგების, კამბეჩოვანის გამოკლებით, VII ს-ის მეორე ნახევრიდან) VIII ს-ის შუამდე მართლმადიდებლური მრწამსისა იყო, მაშინ როგორ მოხდა, რომ X ს-ის დასაწყისში თანამედროვის მოწმობით, იგი მონოფიზიტურია?

ამას ერთგვარ სინათლეს ჰყენს ქართველი მემატიანის ჩვენება, რომელიც X ს-ის ჰერებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ “ჰერეთსავე, მეფობადმდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყუნეს მწვალებელნი; ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან”. ნ. მარი მემატიანის ამ ტექსტის ასეთ რუსულ თარგმანს გვთავაზობს: “იშხანიკის მეფობამდე ადრინდელი (მოსახლეობა მხარისა) ერეტიკოსები (ანტიქალკედონიტები) იყვნენ”. ჩვენ გვგონია, რომ აქ მოსახლეობის ანტიქალკედონიტობაზე ანუ მონოფიზიტობაზე კი არ არის მითითება, არამედ “პირველნი ყოველნი” ეხება ჰერეთის მმართველებს იშხანიკამდე. მაშასადამე, შეი-

ძლება ვივარაუდოთ, რომ პერეთის სამთავროს წარმოქმნის თანავე ოფიციალურ კულტად მონოფიზიტზე იყო დამტკიცია, ხადებული. სამწუხაროდ ჩვენ არავითარი მონაცემები არა გვაქვს იმის წარმოსადგენად, თუ რა კონკრეტულ პირობებში ხდებოდა ეს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საქმეში უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო დინასტიის დამაარსებელთა კულტურული ორიენტაცია, ისინი ხომ ტარონელი ბაგრატუნები იყვნენ და ე.ი. ბუნებრივია – მონოფიზიტები. შესაძლებელია თვით ისინი ან მათი უახლოესი შთამომავლები, ადგილობრივ ანტიქალკედონიტურ ძალებზე დაყრდნობით, და სომხური ეკლესიის დახმარებითაც, ამართლებდნენ და ასაბუთებდნენ თავიანთ უფლებას ივერიისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესახებ სწორედ საკუთარი მონოფიზიტური მრწამსით და ამ სეპარატიზმში შესაძლებელია პერეთის მმართველებს კამბეჩოვანელი იაკობიტი ერისთავებიც ხელს უწოდდნენ.

ასეა თუ ისე, პერეთის მმართველთა დინასტია, ჩანს სომხური იყო. ამ დინასტიის წარმომადგენელი, ჰამამ ბაგრატუნი, რომელმაც IX ს-ის ბოლოს მეფის ტიტულიც შეიძინა, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იგივე სომეხი ღვთისმეტყველი ჰამამ ბაგრატუნია, რომელმაც სოლომონ ბრძენის იგავთა განმარტებანი შეადგინა. მისი შვილი შვილის, აგრეთვე პერთა მეფის, სახელი, იშხანიკი, წმინდა სომხურია. ცხადია, რომ ამ დროს პერეთის სამეფოში და ე.ი. კამბეჩოვანშიც სომხური გავლენა კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ გამორიცხავს პერთა სამეფო კარზე (და კამბეჩოვანშიც) ქართული ორიენტაციის ძლიერი გავლენის არსებობას.

მართლაც, ის ათასწლოვანი პროცესი ქართული სახელმწიფოს ძლიერი პოლიტიკურ გავლენისა, ქართული კულტურის ძლიერი დინებისა და ქართული ეთნიკური შედწევისა უძველესი დროიდანვე, რომელსაც ჩვენ კამბეჩოვანის მაგა-

ლითზე ვხედავთ, მთელი ჰერეთისთვის იყო დამახასიათებული და ამდენად ქართულ სამყაროსთან ეთნო-კულტურული და პოლიტიკური შერწყმის პროცესი დიდი ხანია, რაც შესძლებული გადი გამხდარიყო. მმართველი დინასტიის სომხურ ორიენტაციას, როგორც ცენტრში, ისე საკუთრივ კამბჯოვანში, ამ დიდი პროცესის განვითარების შეფერხება ადარ შეეძლო. და მოხდა დიდი მნიშვნელობის ფაქტი X ს-ის 40-იანი წლების ჰერეთში, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი იყო.

“მატიანე ქართლისა” ფრიად ლაკონიურად გადმოსცემს ამ დიდი მნიშვნელობის მოვლენას: “და ჰერეთსავე მეფობადმდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწვალებელნი; ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან”. იშხანიკ ჰერთა მეფის დედა დინარ დედოფალი “დიდი გურგენის”, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მმართველის დავ იყო და იგი გახდა ამ გადატრიალების ინიციატორი. არ არის გამორიცხული, რომ აქ თვით გურგენ ერისთავთერისთავის ხელიც ერია. მაგრამ, რა თქმა უნდა, სრულიად მართალია ნ. მარი, როდესაც აფასებს რა ჰერთა მართლმადიდებლობაზე მოქცევის ფაქტს, აღნიშნავს, რომ “ასეთი უეცარი მოქცევა წარმოუდგენელია უიმისოდ, რომ ქვეყანაში ქალკედონიტობა აღრევე არ ყოფილიყო გავრცელებული”. ამას მოწმობს ჩვენ მიერ კამბჯოვანის მაგალითზე დახასიათებული მთელი ის ხანგრძლივი პროცესი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ამგვარად ჰერთა მართლმადიდებლობაზე მოქცევის აქტი X ს-ის 40-იან წლებში, მომასწავებელია იმ მრავალ საუკუნოვანი პროცესის დასასრულისა, რომლის შედეგად ჰერეთი და ე.ი. კამბჯოვანიც ეთნო-კულტურული თვალსაზრისით საბოლოოდ შეერწყა ქართულ სამყაროს. ხანგრძლივი ბრძოლა ჰერეთისათვის და ე.ი. კამბჯოვანისთვისაც ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ქართული სახელმწიფოს გამარჯვებით

დამთავრდა.

ეთნიკურ და კულტურულ შერწყმას პოლიტიკური გამომართვის
თიანებაც მოჰყვა.

1008 წ. კახეთის მმართველმა დავითმა პერეთის ხელისუ-
ფალთა დახმარებით შეძლო ამ სამეფოს შემოერთება თავის
სამთავროსთან: ასე წარმოიქმნა კახეთის სამეფო.

იმავე სანებში, 1008-1010 წლებში დასავლეთი და სამხრეთ-
დასავლეთი საქართველოს მეფემ, ბაგრატ ბაგრატიონმა კახე-
თის სამეფო თავის სამფლობელოებს შემოუერთა. ამგვარად
X ს-ის ბოლო მეოთხედში და XI ს-ის დასაწყისში წარმოიქმნა
ერთიანი ფეოდალური მონარქია “საქართველო”. გაერთიანებუ-
ლი სახელმწიფოს მეფე ატარებდა ტიტულს: “მეფუაფხაზთა,
ქართველთა, რანთა (პერთა) და კახთა”. კამბეჩოვანი საქართვე-
ლოს ერთ-ერთი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო,
ცენტრით ხორნაბუჯში.

მაგრამ ბაგრატ III-ის სიკუდილის შემდეგ, გიორგი I-ის
მეფობის დროს, XI ს-ის 20-იან წლებში, “დაჯდა რა ესე
გიორგი მეფედ, განუდგა ამას ქუეყანა პერეთ-კახეთისა და
ლადობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს (ბაგრატის მიერ
დასმული) ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე უუფლნეს
მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი”.

ამ ფაქტს აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონიც, მაგრამ
გადმოგვცემს ისეთ დეტალებს, რომლებიც საინტერესოა
ჩვენთვის:

“შემდგომად ბაგრატ მეფის სიკუდილისა ამან კვირიკემ
(დავითის ძემ) დაიპყრა კახეთი და პერეთიცა და იწოდა
მეფედ კახთა: გარნა თუ ისხნენ ერისთავნი პერეთს, არამედ
ამან კვირიკე მეფემან უფროს განამტკიცნა და დასხნა სამი
კახეთს და ოთხი პერეთს. და კახეთისა ერთი რუსთავს და
მისცა სრულიად კუხეთი, რომელ არს ნაგები, ყარაია, ჩადი-
ვარ-სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი
და თიანეთი, არაგვის კერძო ჟინვანამდე. მეორე დასვა კვეტა-

რისა და მისცა უჯარმის ზემოთი ორთა მთათა შორის, რომელ
არიან კახეთისა და კუხეთისა, ვიდრე კავკასამდე და განკუთხული
მად. ესე არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი და დღლილები.
მესამე პანკისისა ანუ მარილისისა და მისცა პერეთის საზღუ-
რის ზეითი კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ.
პერეთს დასვა პირველი ხორნაბუჯს ანუ ხორანთას და მისცა
ქისიყი და გარეთ კახეთი კუხეთის საზღურამდე, ალაზანსა
და მტკუარს შიგნით და პერეთის მთისა. მეორე ვეჯინს და
მისცა ქისიყის საზღუარს ზეითი თურდოს-ხევამდე და ალა-
ზანსა და პერეთის მთის შიგნითი, რომელ არს აწ შიგნით
კახეთი. მესამე მაჭისა და მისცა მაჭის წყლის ქვეით და
ალაზნის აღმოსავლეთი შაკინითურთ და ხუნზახითურთ,
მეოთხე დასვა შტორისა და მისცა შტორის ხევიდან მაჭის
წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ
არს აწ გაღმა-მხარი და ამანვე შეაერთა კახეთი და პერეთი".

მართალია, ვახუშტი, როგორც ვხედავთ, თავის თანადრო-
ულ გეოგრაფიულ ნომენკლატურას ხმარობს და ზოგჯერ
შეცდომებსაც უშვებს (ასე მაგალითად, არ არის სწორი
ხორნაბუჯისა და ხორანთას გაიგივება, რომლებიც, როგორც
უკვე ვიცით ორი ხვადასხვა პუნქტია), მაგრამ მაინც, ჩანს,
იგი რაღაც ძველ წყაროებს ეყრდნობა, როდესაც ცალკეულ
საერისთავოს ფარგლებს აკონკრეტებს. ჩვენთვის ამჟამად
საინტერესოა ხორნაბუჯის საერისთავოს ფარგლები. ვახუშტის
მიხედვით ეს არის: "ქისიყი და გარეთ კახეთი კუხეთის
საზღურამდე, ალაზანსა და მტკუარს შიგნით და პერეთის
მთისა." ის რომ ხორნაბუჯის საერისთავოში ქისიყი ანუ
ძველი კამბექოვანი ე.ი. "ალაზანსა და მტკუარს შიგნით და
პერეთის მთის" ანუ ცივის მთის ტერიტორია შედიოდა, ეს
ჩვენთვის უკვე ცნობილია. საინტერესოა, რომ ვახუშტის მიხედ-
ვით ამ საერისთავოში "გარეთ კახეთი კუხეთის საზღურამ-
დე" შედის.. ეს ახალი რეალია, რომლის სინამდვილის შემოწ-
მება, სამწუხაროდ შეუძლებელია. მაგრამ თუ მოვიგონებთ,

რომ რუსთავის საგამგეოში VI ს-ში გარეჯის უდაბნოების/ტერიტორიაც შედიოდა, მაშინ ხაზდვარი სადღაც გადასაცავის/უდაბნოს აღმოსავლეთ კიდეზე უნდა გაგვევლო მტკვარსა და იორს შორის. გარდა ამისა, შესაძლებელია ხორნაბუჯის საერისთავოში შევიდა სუჯეთი ან უკეთ მისი აღმოსავლეთი ნაწილი ბოდბიანად და, ეგების, სწორედ ამიერიდან ე.ი. XI ს-იდან მიეთვალა ეს ტერიტორია კამბეჩოვანს. უძველეს ხანაში (IV ს.) ჩვენ ვიცით, რომ ბოდბე აღმოსავლეთი სუჯეთის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, ხოლო IX-X საუკუნეებში, ისე ჩანს, თითქოს ბოდბე კუხეთში შედიოდა.

ხორნაბუჯის ერისთავი აქტიურ როლს თამაშობდა XI ს-ის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი როგორც კახეთის სამეფოს დიდმოხელე, კახეთის ხევა ერისთავებთან ერთად თავგამოდებით იბრძოდა ბაგრატ IV-ის გამაერთიანებელი პოლიტიკის წინააღმდეგ კახეთის მეფის სეპარატისტული ტენდენციების მხარდასაჭერად. ასე მაგალითად, 1040 წლის ახლოს, როდესაც “იბირნა აფხაზთა მეფემან კახნი: აშოგ მთავარი მარილელი, დისიძე კვირიკე (კახთა) მეფისა და ხახულაგურნი ჯუარის-ციხითა... და ემტერა კახთა... გაილაშქრა აფხაზთა მეფემან კახეთს, შეება და შეუკვდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიპყრნა: სტეფანოს ვარჯანის ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული გოდერისა, შტორის ერისთავი(სა) და მაჭელისა. გარდადგა თიანეთს და დაწუა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კვრიკე მეფისა აგებული და ესე ერისთავნი ქენებით აძლევდეს ციხეთა მათთა”.

ეს კიზოდი დამახასიათებელია ხორნაბუჯის ერისთავის, ვაჩე გურგენ ბერის ძის და, საერთოდ ამდროინდელ ჰერკახთა ერისთავების ფსიქოლოგიისა და ამდენად, პოლიტიკური ორიენტაციის გასაგებად: ბაგრატ IV საქართველოს გაერთიანებისთვის უაღრესად აქტიური მებრძოლია და ამიტომ

ცდილობს, მამამისის დროს საქართველოდან გამოყოფილი კახეთის სამეფოს შემოერთებას. ამისთვის მან “იბირჩი”^{სამართლის შეითანხმა} შეითანხმა, შეიპირა კახი მთავრები: აშოგ მარილელი^{სამართლის შთავარი} (მარილისი დღევანდელი ახმეტის გარეუბანია) და ხახვილაგურნი ჯუარისციხის პატრონი (დღევანდელ ყვარელთან). მაშასადამე ეს მთავრები საქართველოს გაერთიანების და ამდენად ბაგრატ IV-ის მომხრენი არიან. პერ-კახთა ერისთავნი კი, მათ შორის ხორნაბუჯის ერისთავი – კახეთის მეფის მომხრენი და ბაგრატის მოწინააღმდეგები ანუ საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგები არიან. რატომ? იმიტომ რომ ბაგრატი, როგორც საქართველოს უდიდესი ნაწილის მფლობელი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე კვირიკე კახთა მეფე და ბაგრატის გამარჯვება კახეთის ერისთავთა, მათ შორის ხორნაბუჯის ერისთავის უფლებათა შეზღუდვას ნიშნავდა, რაც მათ, ცხადია, ხელს არ აძლევდა. რაც შეეხება კახ მთავრებს, ისინი ერთგულებისათვის ბაგრატისგან, რა თქმა უნდა, წყალობას და ე.ი. უფლებათა გაზრდას მოელოდნენ. მართალია, ბრძოლა ბაგრატმა მოიგო და კახეთის ერისთავები, მათ შორის ხორნაბუჯის ერისთავიც, დაატყვევა, რომელიც სხვებთან ერთად, თავის გადარჩენის მიზნით, “ქენებით” ანუ მუდარით უთმობდა ხორნაბუჯს საქართველოს მეფეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ამჯერად ვერ გამოიყენა უპირატესობა და ზურგში პოლიტიკური გართულებების გამო, იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო.

კამბეჩოვანი ცენტრით ხორნაბუჯში კვლავ ინარჩუნებდა თავის სტრატეგიულ მნიშვნელობას. როგორც იყო აღნიშნული უკვე ვახტანგ გორგასლის დროს გამოიკვეთა მისი, როგორც ქართლის სამეფოს სანაპირო საერისთავოს როლი. ასეთადვე რჩებოდა იგი XI ს-შიც, კახეთის სამეფოსთვის. მისი დაპყრობა, ფაქტობრივად, ქართული ხახელმწიფოს სამხხეთ-აღმოსავლეთი ზღუდის მორდვევას ნიშნავდა, საიდანაც ადვილად შეიძლებოდა შემოღწევა შუაგულ ქართლში.

ასე მაგალითად, როდესაც განძისა და არანის მფლობელმა ამირთ-ამირა ფადლონმა “იწყო ამპარტავნებასა და ურჯვებასა” და კახთა მეფეს აღსართანს, როგორც ჩანს, მისტკვეთი კამბექოვანი ხორნაბუჯითურთ, მისთვის უკვე ძნელი აღარ იყო კამბექოვანზე გამავალი გზით შეეღწია შიდა ქართლში.

1070 წლის ახლოს, “ვითარცა იქმნა გაზაფხული, გარდამოვიდა მეფე (ბაგრატ IV) ქართლად და ჩადგა დიდ-გორთა, რამეთუ საზაფხულო მეფეთა საღვომი არს ადგილი იგი. ხოლო ფადლონ არად შერაცხა დიდგორთა დგომა მეფისა. წარმოემართა ლაშქრითა, ოცდაცამეტი ათასითა კაცითა, მოვიდა ტფილისს და დაიბანაკა ველსა ისნისასა. ხოლო მუნ დაუტევნა კარავნი და აღმოვლო დამე ყოველი მუხნარისა, და არბივნა ქართლისა ნაპირნი”. ფადლონი სწორედ კამბექოვანის გზით უნდა წამოსულიყო, გარეჯა-ყარაიას გავლით და ისნის ველზე, დღევანდელ ავლაბარში დაებანაკა.

ნარეკვავთან ბრძოლაში ფადლონის ლაშქარი სასტიკად დამარცხდა. გაქცეული ამირთ-ამირა თხეოთმეტიოდე კაცის ამაღლით გადადის დართისკართან არაგვს და “ნარლუევთა გზით ერწოდ” მიდის, სადაც მას ატყვევებენ. დატყვევებული ფადლონი “მიჰგუარეს უალეთს ისაკ ტოლოშელის ძესა, აზნაურსა მესხესა”, რომელმაც “გასვა ჯორსა ფადლონ” და “მიჰგუარა აღსართანს (კახეთის მეფეს) თელავს. ხოლო აღსართან მსწრაფლ წარიყვანა ხორნაბუჯს, რამეთუ აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩამოდგომისა. მიუპყრეს ხორნაბუჯს ფადლონ, და მისცა ხორნაბუჯი”.

ამგვარად, ხორნაბუჯში ფადლონის მეციხოვნენი მდგარან, რომელთაც თავისი პატრონის გადასარჩენად უკან დაუბრუქეს აღსართანს ხორნაბუჯის ციხე-ქალაქი. ის სისწრაფე, რომლითაც მემატიანის გამოთქმით, აღსართანი მოქმედებდა სწორედ ხორნაბუჯის ციხე-ქალაქის მფლობელობის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს კახთა მეფისათვის, რომელსაც “აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩამოდგომისა” და ამდე-

ნად ზურგში ისეთ სტრატეგიულ პუნქტს, როგორიც ხორნი /
ბუჯი იყო მტრის ხელში ვერ დატოვებდა.

თარიღული
სილუეტები

XI ს-ის 60-იან წლებში საქართველოს ხელჩუკიანი თურქშ-
ბი შემოესივნენ. ეს ნომადი მეჯოგენი დედა-წულიანად მოდი-
ოდნენ და სახლდებოდნენ დაპყრობილ ტერიტორიებზე. მათი
ექსტენსიური მეურნეობა მოითხოვდა საზაფხულო და საზამ-
თრო საძოვრების დიდ ფართობებს. საქართველოს განვი-
თარებულ სოფლის მეურნეობას დიდი საფრთხე დაემუქრა.
ნომადები ჩეხავდნენ ვენახს, ხეხილს და ინტენსიური სოფ-
ლის მეურნეობის ფართობებს საძოვრებად აქცევდნენ. ქარ-
თველ სოფლის მეურნე მოსახლეობას სრული გადაშენება
დაემუქრა. განსაკუთრებით მძიმე დრო დაუდგათ ქართველებს
1080 წ-დან, როდესაც დაიწყო ე.წ. “დიდი თურქობა”, როდე-
საც გაზაფხულს შემოსულ “თურქთა, ვიდრე მოსლვამდე
თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვდეს თუ სადღა ვინ
დარჩომილ იყო” ხალხი.

თანამედროვე მემატიანე განაგრძობს: “და განგრძელდა
ესევითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა; რამეთუ არესა თანა
გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა
საქმეთაებრ იქმოდიან, და ზამთრის წარვიდიან. და არა იყო
მათ უამთა შინა თესვა და მკა: მოოკრდა ქუეყანა და ტყედ
გარდაიქცა”...

ბუჯებრივია, რომ მეჯოგე ნომადებისათვის განსაკუთრე-
ბით დიდი მნიშვნელობისა იყო საქართველოს საზამთრო
საძოვრებიც. ხოლო საამისო დიდი ფართობები კი აღმოსავ-
ლეთ საქართველოში მოიპოვებოდა, კერძოდ, როგორც ვიცით,
კამბექოვანის ველზე.

ამიტომაც იყო რომ, როგორც მემატიანე გადმოგვცემს,
დავით აღმაშენებლამდე “თურქნი დაიზამთრებდეს ქართლს,
რამეთუ ვიდრე აქამომდე ზამთრისა მოწევნასა თანა ფალან-
გებითა მათითა ჩამოდგიან პავჭალას და დიდომს, ჩაღმართ
მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური”.

უეჭველია, აქ რომ “იორის პირი” იხსენიება, პირველ რეგის, კამბეჩოვანის ველები უნდა იგულისხმებოდეს. ჟამთაც მამა რელთან ვხვდებით კიდევ ასეთ გეოგრაფიულ განსაზღვრულ ბას “კამბეჩიანი და იორის პირი”.

სელჩუკიან თურქთა ასეთი მასობრივი წამლებავი შემოსვა 1110 წ-დე გრძელდებოდა, როდესაც დავით აღმაშენებელმა სამშვილდის ციხე-ქალაქი წაართვა მათ. დავითის ისტორიკოსი მოგვითხოვთამ: “ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნებს, და დამით მეობ იქმნეს, და ჩუენთანა მოითუალნებს იგინი. რამეთუ ვიდრე მოაქამოდე სოუელთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათთა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შეენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თკოთოფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხვ, და აქუნდა ცხოვრება სანატრელი; ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან”.

მას შემდეგ, რაც დიდმა დავით აღმაშენებელმა სელჩუკიანი თურქები გადარეკა საქართველოდან, კამბეჩოვანი კვლავ ადდგა, როგორც სანაპირო საერისთავო და მას კვლავ დაეკისრა სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი მიჯნების დაცვა, თუნდაც იგივე თურქთა შემოსვებისგან, რომელნიც ხელსაყრელ ვითარებაში საამისო მცდელობას არ აკლებდნენ.

ასე მაგალითად, XII ს-ის 80-იან წლებში საქართველოდან გაძევებული გიორგი რუსი ტახტის დაბრუნებას განხის ათაბაგის მეშვეობით ცდილობდა. მემატიანე მოგვითხოვთამ: “მივიდა ათაბაგისა და მისგან აიდო არანის ქუეყანისა სამყოფი, შემს

გავსებული სკა მიხისა. მუნიდაღმან შემყრელი ლაშქართ/განძისა და არანისათა მოვიდა ჭუებანასა კამბეჩანისახალა უფლის შიგნით მინდორი მოარბია. და აიდო სიმრავლე ტყპნა და ნატყუენავისა”.

ჩვენ ვიცით, რომ კამბეჩოვანის (ქიზიყის) ჩრდილო-დასავლეთ ალაზნისპირა ველებს გვიან საუკუნეებში “წინა მინდორი” ეწოდებოდა. XII ს-ის მემატიანის მიერ ნახმარი, ზემოაღნიშნული ტერმინი – “შიგნით მინდორი” – უნდა მოწმობდეს, რომ “წინა მინდორი” ასევე ძველი ტერმინი შეიძლება იყოს, რაც გვაძლევს საშუალებას “შიგნით მინდორის” ლოკალიზაციისას – ეს უნდა ყოფილიყო დღევანდელი შირაქის ველი (თუმცა თვით “შირაქიც” არ არის ახალი ტერმინი).

ამგვარად, გიორგი რუსს განძის ათაბაგის ლაშქრით შირაქის ველი მოურბევია, რომელიც მაშინ თითქოს კარგად დასახლებული ჩანს.

“მაშინ ხორნაბუჯის პატრონმან საღირ მახატლის ძემან ცნა ესე და შეიყარა მცირედითა ლაშქრითა და მიეწია სამითა შვილითა წამებად თავისა... მცირედნი მიეწივნეს და გააჭცივნეს, ჩამოყარნეს და დაწოცნეს, ვინა რუსი ძლით სამე გარდაიხვეწა”.

ეს საღირ მახატლის ძე, ხორნაბუჯის პატრონი, სწორედ მონაპირე ერისთავად იყო თამარ მეფის მიერ “შეწყალებული”: “ქუემოთ წირქვალელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბრის ძენი და მახატლის ძენი, და თავნი კახეთისანი თორდას ძენი, – შეიწყალნეს თუთოეულნი თუსითა წესითა”. ეს სანაპირო ამჟამადაც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და სტრატეგიულად უაღრესად პასუხესაგებ უბნად რჩებოდა საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო-თავდაცვით სისტემაში, რამდენადაც იგი ემიჯნებოდა არანს ანუ განძის საათაბაგოს, რომელიც უკვე IX-X საუკუნეებში ისლამური სამყაროს, ხოლო XI ს-დან სელჩუკიან თურქთა ფორპოსტს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში ქრისტიანული სახელმწიფოს

წინააღმდეგ XII ს-შიც მთავარი საფრთხე საქართველოს აქედან ემუქრებოდა.

ამიტომ საქართველოს სამხრეთ პროვინციებს და, კერძოდ, კამბეჩოვანს და მის გამგებლებს ფრიად საპასუხისგებო მისია ეკისრებოდათ, ერთი მხრივ, ქრისტიანული საქართველოს დაცვისა აგრესიული მაჰმადიანური გარემოცვისგან, ხოლო, მეორე მხრივ, პირუკუ – ინიციატივისა შეტევისათვის.

XII ს-ში მონაპირე ერისთავთა ძირითად ფუნქციას შეადგენდა საქართველოს საზღვრების აქტიური დაცვა. შესანიშნავადა აქვს ეს ფორმულირებული თამარ მეფის მეორე ისტორიებს, ბასილი ეზოსმოძღვარს: “მონაპირეთა მონახნიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი, მოაწსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ დირს იყვის შეურასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას და ივანეს (მხარგრძელებს) და შეყარნიან ლაშქარნი”.

ერთ-ერთი ასეთი აქტიური მოღვაწეები იყვნენ კამბეჩოვანელი მახატლის-ძენი: “ქუემოთ ნაპირის კერძ გრიგოლის-ძენი, და უფროსდა ტბელი, და მაჭატლის-ძენი მონაპირობდეს, რომელთა შიშითა განძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედას, და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის პირსა საძოვარსა აწყენდეს”.

ამგვარად ხორნაბუჯის პატრონთა, მონაპირე მახატლის-ძეთა უპირველეს ამოცანად კვლავ კამბეჩოვანის საძოვრების დაცვა იყო სელჩუქიან თურქთა ურდოების ხელყოფისაგან, რასაც ისინი წარმატებით ახორციელებდნენ.

ვითარება შეიცვალა XIII ს-ის ოციანი წლებიდან.

ხორეზმ-შპის ჯალალ ედ-დინის შემოსევებით, შეიძლება ითქვას, დაიწყო ის სამსაუკუნოვანი რბევა-თარეში, რამაც საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს, საბოლოო ჯამში, დაქუცმაცება გამოიწვია.

შემოსეული სხვადასხვა ჯურის მტრის დამარბეველი

თარეში არაერთხელ კამბეჩოვანსაც შეეხო.

ასე მაგალითად, უამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ
ჯალალ ედ-დინის ჯარებმა “ესრეთ რა მოაოხრეს ტფილთამა
იწყეს რბევად, ტყევენვად, ჭოცად და კლვად სომხითისა და
კამბეჩიანისა და იორის პირთა, ქართლს და თრიალეთს,
ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორას
და ანისის მიმდგომთა ქუეყანათა”.

მონგოლების შემოსევების და მათ მიერ საქართველოს
დაპყრობის შემდეგ კამბეჩოვანის ველები, როგორც შესანიშ-
ნავი საზამთრო საძოვრები კვლავ მეჯოგე ნომადთა სარბიე-
ლი გახდა. მონგოლებიო, ამბობს მემატიანე, “ზამთრის დაიბა-
ნაკიან ბარდავს, მტკურისა პირსა, იორის პირთა და აღმოღ-
მართ გაგამდე. და მოტყუენვიდიან, არბევდიან ქართლს, კა-
ხეთს და პერეთს”... ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჩვენი მემატიანეე-
ბის გამოთქმა – ”იორის პირი” – პირველ რიგში სწორედ
კამბეჩოვანს უნდა გულისხმობდეს.

ისევე, როგორც ადრე, მონგოლების დროსაც კამბეჩო-
ვანი საქართველოს სახელმწიფოს ცალკე ადმინისტრაციულ
ერთეულად ითვლებოდა, თუმცა როდესაც მათ მთელი საქარ-
თველო ე.წ. დუმნებად დაჲყვეს ეს მხარე კახეთთან და პერეთ-
თან ერთად ერთ ასეთ სამხედრო ოლქში იყო გაერთიანებუ-
ლი: “განაჩინეს თათართა ბევრისა (ე.ი. ათიათასეულის) მთა-
ვარი, რომელსა დუმნის თავად უწოდეს, და გამოარჩივნეს
მთავარნი, პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად
მოუბარი, ხოლო არა ნიჭთა მქონებელი საკმართა, და მას
კელთ უდგეს, სპა პერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა,
ტფილისითგან აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა” – გვეუბნება
მემატიანე.

კამბეჩოვანის გამგებლის, ეგარსლან ბაკურციხელის
კარიერა ცუდად დამთავრდა.

უამთააღმწერელი მოგვითხრობს: “ესე ეგარსლან, კაცი
საკურველი და მჯედრობის ცოდნითა აღსავსე ეზომ განდიდნა,

რომელ კნინდა და სახელისა დებადცა მეფისა იკადრა, და ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილებულ დეს, ვითარცა მეფესა”. თვით მონგოლებსაც, რომელთა ურთ გულებითაც დაწინაურდა ეგარსლანი, “ეგულებოდა მთავარ ყოფა მათ (დიდებულთა ამის სამეფოსათა) ზედა ეგარსლანი, არა მათგან უგუარიანესისა კაცისა”... საბოლოო ჯამში ავაგ მხარგრძელმა, ამირსპასალარმა რომელსაც მონგოლებმა ასევე “მისცეს იერლაყი შეწყალებისა” და რომლის “არა ინება წესისაებრ პატივით ხილვა და ამბორსუოფად” ეგარსლანმა, ამ უკანასკნელს “თავსა მათრაპითა უხეთქნა და უბრძანა მას ქუეშე დაწესებულთა, რათა ცხენიდან უპატიოდ დაამჭუან ქუეყანად, და ყვესცა ეგრეთ, და პატივისგან უპატიო ყვეს, და განძრცლი განაძეს”...

არა ნაკლებ უბედური გამოდგა მისი თანამედროვე, კამბეწოვანის მეორე მფლობელი ვინმე “ბერი ხორნაბუჯელი”. მისი ისტორიაც უამთააღმწერელსა აქვს მოთხოვნილი.

ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ თამარის მეფობაში კახეთის ერისთავები იყვნენ “თავნი კახეთისანი თორდას ძენი”. 1250-იან წლებში, როდესაც ბათო ყაენმა დავით ლაშას ძე ოქროს ურდოში დაიბარა, წასვლის წინ ამ უკანასკნელმა “დაუტევა განმგებლად სახლისა სამეუფოსა დედოფალი ჯიგდა-ხათუნ და მესტუმრე ჯიქურ”, ხოლო “კახეთიცა პანკელსა თორდუას შევედრა”, როგორც ჩანს ზემოხსენებულ თორდასძეთა ჩამომავალს. “ჰერნა თორდუამან არდარა მოსლვა მეფისა, უკუდგა პანკისსა ციხესა, და თვისად დაიჭირა კახეთი, და არდარა მორჩილდებოდა დედოფალსა და მესტუმრესა ჯიქურსა”. როდესაც ბათო ყაენისაგან შეწყალებული მეფე დავითი უკან მობრუნდა “და ვითარ მოიწია ჰერეთს, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სამეფოსა მისისანი, ხოლო თორდუა შეშინებული უკუდგა პანკისს”. თბილისს დაბრუნებულმა მეფემ მოუწოდა თორდვა პანკელს, მაგრამ იგი მაინც არ გამოცხადდა დასჯის შიშით.

მაშინ შეამავლად ჩადგა ვინმე ხორნაბუჯელი ბერი  ხორნაბუჯის პატრონი და ამდენადვე კამბეზოვანის გამგებელი ეს უკანასკნელი “მივიდა თორდუას სახლსა, რათა მას ძიქნდოს, ფიცითა მტკიცითა. ხოლო თორდუა რქეა: “წარვალ ალავერდს გიორგის წინაშე და მუნ შემომფიცვ, და მუნ მიმინდევ”. და წარვიდეს ორნივე. ხოლო თორდუა გამოება ფეხუსა სამოხლისა ალავერდის მთავარმოწამისასა. და მივიდა ხორნაბუჯელიცა, შეპფიცა და გამოკინა ფეხუსაგან. ხოლო თორდუამან რქეა: “რა იგი პყო ჩემ ზედა, ამან წმიდამან გიორგი გიყოს შენ. რამეთუ მარტო ვარ, და სიკუდილითა ჩემითა უმკვდრო იქმნების მამული ჩემი. ეგრეთვე უმკვდრო პყოს წმიდამან მთავარმოწამემან სახლი შენი”. და წარმოიყვანა ხორნაბუჯელმან, ფიცითა მტკიცითა მიერ შეკრულმან, ტაბაკმელას. და შეურაცხ-პყო აღთქმა და ფიცი იგი, და შეიპყრა ჯიქურმან, განზრახვითა დედოფლისათა, თკნიერ მეფისა ცნობისა, და წარიყვანეს კლდე-კართა, და გარდმოაგდეს.

ხოლო ვითარ მიეგო ბოროტი ხორნაბუჯელსა ალავერდის მთავარმოწამისა აღთქმისა და ფიცის გატეხისათვის, იხილეთ, რამეთუ ესუა შვილი ხორნაბუჯელსა, სახელით შალვა, სიკეთე-აღმატებული. ამას შალვას ესხნეს შვილნი, და მყის დაიჭოცნეს, და ეგრეთ ბერი ხორნაბუჯელი მოკუდა მწუხა-რებითა, პხედავთ უმკვიდრობასა სახლისა მისისა. და დარჩა მათი შვილი, სახელით შალვა, რომელი უკანასკნელ თათართა მიერ მოიკლა, და უმკვიდრო იქმნა სახლი მისი. და ესრეთ შერი იგო ალავერდისა მთავარმოწამემან”. ასე ამთავრებს ამ სევდიან თხრობას ჟამთააღმწერელი.

როგორც ვხედავთ, XIII ს-ის მეორე ნახევარში ხორნა-ბუჯი, შალვა ხორნაბუჯელის მამული, უმემკვიდრეოდ დარჩენილა და, სავარაუდოა, შუასაუკუნეებში არსებული წესის თანახმად, მეფის ხელში გადავიდა. ყოველ შემთხვევაში, როგორც ვიცით, XVII ს-ში ხორნაბუჯის ციხე კახეთის მეფე-

ების ხელშია და თეიმურაზ მეფეს ამ ციხეში ჰყავდა დაკატომ-
რებული როინ ჯავახიშვილი.

საქართველო
სამეცნიერო
სამსახური

ეამთადმწერლის გადმოცემით ისიც სავარაუდოა, რომ XIII ს-ში და XIV ს-ის პირველ ნახევარშიც კამბეჩოვანის ცენტრი ჯერ კიდევ ხორნაბუჯია, მაგრამ სავარაუდოა, რომ იგი უკვე დაცემის გზაზე დგას. მართლაც, თუკი აღრე ხორ-
ნაბუჯი ციხე-ქალაქი იყო, XIII ს-ში ისე ჩანს, რომ იგი მხოლოდ-და ციხე-სიმაგრეა, რომელიც ფეოდალის მამულს წარმოადგენს. XVII ს-შიც “ხორნაბუჯის ციხე” იხსენიება.

რას უნდა გამოიწვია ძველი ხორნაბუჯის, საქართველოს ერთ-ერთი სანაპიროს ციხე-ქალაქის დამცრობა?

ბუნებრივია, თუ ამ ფაქტს იმ თემის ისტორიას დავუკავ-
შირებთ, რომლის ცენტრსაც იგი წარმოადგენდა და რომლის ნიადაგზედაც წარმოიქმნა და განვითარდა ეს ციხე-ქალაქი.

იმ განუწყვეტელ რბევა-თარეშს, რომლის ასპარეზიც უშუალოდ გახდა კამბეჩოვანის ტერიტორია, რა თქმა უნდა, არ შეიძლება კატასტროფულად არ ემოქმედა, როგორც მის ეკონომიკაზე, ასევე დემოგრაფიულ სიტუაციაზე. ცხადია, ასეთი ვითარება ჯერ კიდევ “დიდი თურქობის” დროს უნდა დაწყებულიყო.

ასე მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა ჩვენ შემოგვინახა ცნობა, რომ, როდესაც XI ს-ის 80-იან წლებში გიორგი II ქართველთა და თურქთა ლაშქრით კახეთს ჩავიდა და ვეჯინის ციხეს ალყა შემოარტყა, დიდი ხნის უშედეგო დგომის შემდეგ, “მეფესა გიორგის მოეკსენა ნადი-
რობა აჯამეთისა, არღარა ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჯინისა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოკრდა მუნ დღეინდელად დღემდე”.

ისტორიკოსი ამას XII ს-ის პირველ ნახევარში წერდა და, თუმცა აქ თითქოს უშუალოდ კამბეჩოვანის ტერიტორია არ იგულისხმებოდა და ამავე დროს XII ს-ის განმავლობაში,

სავარაუდოა, ეს მხარე კვლავ მოშენებულიყო, მაგრამ არის კარგი ილუსტრაცია იმისა თუ მომთაბარე ნომდებულის მიერ ამა თუ იმ მხარის საზამთრო თუ საზაფხულო სამოვრც-ბად გამოყენებას, რა შედეგი მოსდევდა ინტენსიური სოფ-ლის მეურნეობის მიმდევარი მოსახლეობისათვის. ცხადია, ასეთივე დღე დაადგებოდა XI ს-ის ბოლოს და XII ს-ის დასაწყისში კამბეჩოვანსაც, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

არანაკლები უბედურება უნდა დასტუდომოდა თავს კამ-ბეჩოვანის მკვიდრ მოსახლეობას ჯალალ ედ-დინისა თუ მონგოლთა თარეშის დროს, როდესაც გარდა იმისა, რომ ეს ტერიტორია კვლავ ნომადთა სარბიელი გახდა, იგი არა ერთ-ხელ სასტიკი ომების ასპარეზიც იყო.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ XII ს-ის 80-იან წლებში აქ ბრძოლა გაიმართა საღირ მახატლის ძესა და გიორგი რუსს შორის, რომელმაც “ქუეყანასა კამბეჩიანისასა შიგნით მინდორი მოარ-ბია და აიღო სიმრავლე ტყვსა და ნატყუენავისა”, ხოლო XIII ს-ის 20-იან წლებში ჯალალ ედ-დინის ლაშქართა “იწყეს რბევად, ტყუენვად, ჭოცად და კლვად კამბეჩიანისა და იორთა პირთა”. ასევე XIII ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში პულა-გუს წინააღმდეგ აჯანყებული მონგოლთა მხედართმთავარ ალათემურის მეომრებმა “განვლეს კამბეჩიანი, კახეთი, პერეთი, ყოველგან ომითა, და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა, შევიდეს დუნძეთს”...

ცხადია ყველაფერი ეს უაღრესად უარყოფითად იმოქმე-დებდა კამბეჩოვანის ეკონომიკაზე და მის მკვიდრ, დამჯდარ მოსახლეობაზე.

მაგრამ მაინც საქართველოს ამ კუთხემ გამოუსწორებელი ზიანი 1264 წელს განიცადა, როდესაც “მას უამსა გამოვიდა დიდი ყაენი ბერქა გზასა დარუბანდისასა აურაცხელითა ლაშქრითა... ბერქამან მოაოვრა ქუეყანა შირვანისა, პერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილი-სამდე... ხოლო ბერქა ყაენი დადგა მთათა შინა გარეჯისათა”.

საინტერესოა, რომ ხორნაბუჯის საბოლოო დაცვემასაც/ ვახუშტი ბატონიშვილი ბერქა ყაენის შემოსვლას უკავშირებელი “ხორნაბუჯი... კლდესა ზედა, შენი არ ს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოპრდა”. ზემოთქმულის ფონზე ვახუშტის ეს ცნობა სავსებით სანდოა.

როგორც ვხედავთ მონგოლთა ამ ლაშქრობის დროს მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია დაზარალებულა, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოს თემები და მათ შორის კამბეჩოვანიც.

ეს კარგად ჩანს იქიდანაც, რომ როდესაც XIII ს-ის 70-იან წლებში მონგოლებმა ხალხი აღწერეს და “ამათ უამთა კუალად მოვიდა იგივე არღუნ, რომელსა აღერიცხნეს ყოველნი საბრძანებელნი ყოველთა ყაენთანი, რათა აღთუალოს ქუეყანა და ცნას ვითარდი ქუეყანა აღშენდა, გინა აოჭრდა. აღთუალა ახლად და ცნა, რამეთუ უმრავლესი მოოპრებულ იყო, და უმეტეს პერეთი და კახეთი, რამეთუ კამბეჩის ვაკენი მოოპრებულ იყო გამოსლვასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაენი დიდი ბერქა”.

სურათი ნათელია: “კამბეჩის ვაკენი”, რომლებიც ჯერ კიდევ XII ს-ის 80-იან წლებში საკმაოდ ხალხმრავალი ყოფილა და სადაც ამ დროს ინტენსიური მეურნეობის მკვიდრი ქართული მოსახლეობა უნდა მჯდარიყო, XIII ს-ის 70-იან წლებში “უმეტეს მოოპრებულ იყო” და ამდენადვე ფაქტობრივად, დაცლილი სოფლის მეურნე გლეხობისაგან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ზემოხსენებულ ცნობაში ქართველი მემატიანე ხაზს უსვამს, რომ “კამბეჩის ვაკენი იყო მოოხრებული” ანუ კამბეჩოვანის სამხრეთ-აღმოსავლეთი უდიდესი ნაწილი, რომელიც შესანიშნავ საზამთრო საძოვრებს წარმოადგენდა, რაც ბუნებრივია, რადგან, პირველ ყოვლისა, მეჯოგე ნომადებს სწორედ ეს ტერიტორია აინტერესებდათ. და სწორედ ამიტომ აქ უნდა განადგურებულიყო ინტენსიური მეურნეობა და მისი მიმდევარი მოსახლეობა.

ამას მოწმობს, როგორც ვიცით, ვახუშტის ცნობების იორ-მტკვარს შორის ზეგანის შესახებ, იგი წერს: “^{ემართება და მოვალეობა მოვალეობის გარეშე} იყო ალაზნის შესართავამდე და ვიდრე სამორამდე შენობას დიდ ფრიად, არამედ მოოკრდა გამოსლვასა ბერქასა და შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელი ჩანან დღესაც”. ალაზნისპირა ვაკეებზე საუბრისას კი აღნიშნავს: “გარნა ყოფილ არსცა ძველად შენობა დაბნებითა, არამედ შემდგომად ბერქას გამოსვლისა ოკერ არს. კვალად ყოფილ არიან ალაზნის მოსაბრუნსა შინა ძველად შენობა ქრისტეანეთა”.

რაც შეეხება კამბეჩოვანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, სადაც ზამთრის საძოვრები არ იყო, ჩანს, არც მოსახლეობა აყრილა აქედან და განაგრძობდა ცხოვრებას. ხორნაბუჯის ციხე-ქალაქი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სწორედ ამ ინტენსიური სოფლის მეურნეობისა და უპირატესად სამესაქონლეო მეურნეობის ზონათა შორის მდებარეობდა, როგორც ამ ორი სახოფლო-სამეურნეო არეალის ორგანულად შემაკავშირებელი ცენტრი. ეხლა, როდესაც კამბეჩოვანის დიდი ნაწილი მოოხრდა, მოსახლეობისაგან დაიცალა და განუშევებელი რბევა-თარეში არ წყდებოდა, ის მაგისტრალური სავაჭრო გზებიც უნდა მოშლილიყო, რომელთა გადაკვეთაზე-დაც ეს ქალაქი აღმოცენდა. ხორნაბუჯის ქალაქობას, ამდენად, უნდა გამოსცლოდა ეკონომიკური საფუძველი. იგი ფაქტობრივად, “ქვეყნის” პერიფერიაზე აღმოჩნდა და მისი, როგორც კამბეჩოვანის ცენტრის ფუნქციაც უნდა მოშლილიყო. ცენტრს უნდა გადაეწაცვლა იქითკენ, სადაც ინტენსიური სოფლის მეურნეობის ზონა იყო და მკვიდრი მოსახლეობაც განაგრძობდა ცხოვრებას. ასეთად კი ამჟამად ძველი კამბეჩოვანის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი-და რჩებოდა და ბუნებრივია, თუ ქვეყნის ცენტრმაც აქ გადმოინაცვლა – დაბა ქიზიყში.

ამიტომ ბუნებრივია ისიც, რომ პირველად “ქისიჭი” სწორედ XV ს-ის ხელნაწერში გვხვდება. ცენტრის გადმონაცვლა-

ბა ხორნაბუჯიდან ქიზიყში, ამდენად, სადღაც XIV ს-ის შემოწმე
ნახევარსა ან XV ს-ის პირველ ნახევარში უნდა მომხდათ თუ არა.

ეს უკვე აღარ იყო ძველი კამბეჩოვანი. ეს იყო ახალი
“ქავანა”, რომელსაც სახელიც ახალი შეერქვა, მისი ცენტრის
სახელი – “ქიზიყი”. თვით მის ცენტრს, “ქიზიყს” კი XVIII
ს-დან, მას შემდეგ, რაც იქ ერეკლე II-მ ციხე-სიმაგრე ააგო,
“სიღნაღი” დაერქვა.

წყაროები

1. არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომებთა.
ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ, თბ., 1980.
2. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები.
ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1955.
3. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხოვნა. გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ., 1941.
4. დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, რედაქციობით პეტრე უმიკაშვილისა, ტფ., 1886.
5. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნოდარ ლომოურმა, თბ., 1964.
6. ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1968.
7. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
8. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913.
9. თემურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ., 1972.
10. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.

11. ითანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია. სომხური
ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა,
თბ., 1965.
12. ლევონდ დიდი ვარდაპეტის სომებთა ისტორია, ს.-პეტერ-
ბურგი, 1887 (სომხურად).
13. ლომოური ხ. კლავდიოს პტოლემაიოსი, “გეოგრაფიული
სახელმძღვანელო”, ცნობები საქართველოს შესახებ. მსკი,
32, თბ., 1955.
14. მოვსეს კალანკატუელი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, თბ.,
1913 (სომხურად). ქართული თარგმანი იხ.: მოვსეს კალანკა-
ტუელი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან
თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელნი დაურთო
ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985.
15. მოქცევად ქართლისად: ძველი ქართული აგიოგრაფიული
ლიტერატურის ძეგლები. I, 1963.
16. საბინინი შ. საქართველოს სამოთხე, თბ., 1882.
17. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და-
ყოფა, თბ., 1961.
18. საქართველოს სიძველენი, I, 1920.
19. საქართველოს სიძველენი, II, 1909.
20. საქართველოს სიძველენი, III, 1910.
21. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და
მწერლობისა, შექრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და
ახსნილი თ. ეორდანიას მიერ, თბ., 1967.
22. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი
ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბ.,
1955.
23. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი
ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II, თბ.,
1959.
24. ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტი გამოსცა,
შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ,
თბ., 1965.
25. ქართული სამართლის ძეგლები, IV, ი. დოლიძის გამოცემა,
თბ., 1972.
26. ქართული სამართლის ძეგლები, V, ი. დოლიძის გამოცემა,
თბ., 1974.

- ՀԱՐՄԱՆԱԿԱՆ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

 27. ქարտուլո სամարთլու ժեցլեბո, VI, օ. քողոծօն զամուշել,
տօ., 1977.
 28. ქարտուլո սամարտլու ժեցլեբո, VII, օ. քողոծօն զամուշել,
տօ., 1981.
 29. Վամեծ Շահանոյիս. մշելո կարտուլո ագոռագրագուլո լոթի-
րաբյուրու ժեցլեբո. I, 1963.
 30. Баладзори, Книга завоевания стран. Текст и перевод. Пере-
вод с арабского проф. П.К. Жузе, Баку, 1927.
 31. Плиний, Естественная история. ВДИ, №2, 1949.
 32. Полиевктов М. Посольство князя Мышецкого и дьяка Клю-
чарева в Кахетию, 1640-1643
 33. Страбон, География. Перевод, статья и комментарии
Г.А. Стратановского, 1964.
 34. Géographie de Moïse de Corène d'après Ptolémée. Texte arménien
traduit en français par le p. Arsène Soukry Mékhitariste, Venise, 1881.

ლიტერატუրა

35. თოფხიშვილი რ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., თბ., 1984.
 36. კაკაბაძე ს. ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეზის ხაյითხები. სმ, I, 1924.
 37. გუდავა ბ. X საუკუნის ორი წარწერა ბოდისხევის ეკლესი-იდან. “არტანუჯი”, №4, 1995.
 38. ლომოური ნ. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. იიშ, IV:1, 1958.
 39. მუსხელიშვილი დ. ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966.
 40. მუსხელიშვილი დ. კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრა-ფიის საკითხები XII-XIII სს-ში. სიგპ, III, 1967.
 41. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.
 42. რამიშვილი რ. კამარახევის სამაროვანი. მსკა, II, 1959.
 43. პაპუაშვილი თ. ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.
 44. საქართველოს ისტორიის ნარკევევები, III, თბ., 1979.
 45. სინაურიძე მ. ქიზიყის 1938-1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები. სსმმ, XXV-B, 1968.
 46. ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968.

- 1913
I
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՑԱՀԱԼԻ ԱՐԴՅՈՒՆԱՎՈՐՈՒՄ
47. Հազարի մշուղո օ. յարտցելո յրու օնթորու, I-II, տե., 1930.
48. Հազարի մշուղո օ. սայարտցելու ըստնոմուրու օնթորու, I,
տե., 1930.
49. Հանածոս Ա. Շրոմյեծո, II, տե., 1952.
50. Ակոպյան Ա.Ա. Ալբանիա – Ալւանք և հռոմեական և հռոմեական արմանական առաջնորդության մասին տեսական գրքեր, Երևան, 1987.
51. Ալիև Ի.Կ. Ինտերպրետացիա պարագրաֆներ 1, 3, 4 և 5 IV համարի համար՝ XI գլուխության մասին պարագրաֆներ, ՎԴԻ, №3, 1975.
52. Ջալագանյան Ի.Լ. Մոնետայի գույքաներ Հայաստանու, Երևան, 1980.
53. Երեմյան Ծ.Տ. Տորգություններ Հայաստանու և Վրաստանու մասին մատուցություններ, ՎԴԻ, №1, 1939.
54. Mapp H. Я. Аркаун, монгольское название христиан в связи с вопросом об армянах – халкедонитах. ВВ, XII, 1906.
55. Միացականյան Ա.Ռ. Օ լիտերատուր Կավկազական Ալբանիա. Երևան, 1969.
56. Մուսհելիշվիլի Դ.Լ. Ի պատմություն Վաստակական գույքաների մասին. Վաստակական գույքաներ, Երևան, 1982.
57. Քչեւլիշվիլի Մ.Դ. Կ պատմություն օվչերական արդյունաբանության մասին. Վաստակական գույքաներ, Երևան, 1953.
58. Պուշկանյան Մ. Կատալոգ սասանյան մոնետ Հայաստանու, Երևան, 1981.
59. Չինաշվիլի Գ.Ն. Արքայական պալատի ճարտարապետությունը Հայաստանու, Երևան, 1959.
60. Brossat M. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848. 2e livraison, St.-Pétersbourg, 1850. Premier rapport.
61. Brossat M. Histoire de la Géorgie. Introduction et Table des matières. St.-Pétersbourg, 1858.

Մյուս աշխատանքներ

ՕՕՇ – օնթորու օնթորու օնթորու մասին պատմություն.

ԹԵՋԱ – թասալու սայարտցելու դա յաջասաւու արքայական մատականություն.

ԹԵՋՈ – թասալու սայարտցելու դա յաջասաւու օնթորու մատականություն.

ԽՈՂՋ – սայարտցելու օնթորու մատականությունը գյուղացիու յշալու մասին.


ԽԹ – սատուրու մատականություն.

ԽՍԹԹ - սայարտցելու սատուրու մատականությունը մատականությունը.

ՀՅԱ – յարտցու վերաբերություն.

ՎՎ – Վիզանտիական պատմություն.

ՎԴԻ – Վեստնիկ պատմությունների.



ԵՐԵՎԱՆ ԹՐՆԱՍՑԵՐՈ




ხორნაბეჭვი

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის აღმოჩეული



პროექტის
სიტუაციური დანართი
(სიტუაციური დანართი გ. მ. ი. ე.)

საქართველოს
მონარქიის ხაზღვები

20 0 20 40 60 80



ქართლის მდგრადი (ტერიტორიული) უკავშირი





034/3